პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8 81

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 29 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 22 (2368)

დღიური

- გაიხსნა გერმანიის კომპარტიის მუშაკთა კონფერენცია.
- ელზასელ ავტონომისტების პროტესტი ძალით გაფრანგების წინააღმდეგ.
- ფინური გაზეთი საბჭოთა წინადადების შესახებ.
- საფრანგეთის კომერციულ სასამართლოს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საქმეზე.
- დამატებითი არჩევანი პიუტში (საფრანგეთი).—ყველაზე მეტი ხმები მიიღო კომუნისტმა მარტიმ.
- საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ამერიკის ებრაელ მუშათა დელეგაცია.

უცხოეთის პრესა განაგრძობს საბჭოთა წინადადებების კომენტარიებს

საკავშირო ცაკმა დაამტკიცა საბჭ. კავშ. და იემენის ხელშეკრულება მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ

შეკითხვა ჩჟან-ძო-ლინის მკვლელობის შესახებ იაპონიის პარლამენტში

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ახალ გამარჯვებებისაკენ

მოსკოვის ორგანიზაციის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციებმა დაამთავრეს თავიანთი მუშაობა. კონფერენციების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა დელეგატების არაჩვეულებრივად დიდი აქტივობა. საკმაოა აღინიშნოს, რომ მარტო კრასნაია პრესნიის კონფერენციაზე რაიონული კომიტეტის და საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში 500 დელეგატზე მეტი ჩაეწერა. ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალს კონფერენციებს, მას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ამ დადებით მოვლენას, რომელიც მოწმობს პარტიული მასების ღრმა პოლიტიკურ და კულტურულ ზრდას. მხოლოდ იმ ხალხს, რომელმაც კავშირი გასწყვიტა ჩვენს პარტიასთან, შეუძლია ილაპარაკოს, რომ პარტიული ცხოვრება მოდუნებულია, რომ პარტიაში გამეფებულია პირში ბურთის ჩაჩრის პოლიტიკა. სწორედ იმის მეოხებით, რომ უკანასკნელ წლებში ფართოდ ტარდება შინაპარტიული დემოკრატია და ფართოდ ხორციელდება თვითკრიტიკა, სწორედ ამიტომ აიწია პროლეტარულ და პარტიულ მასების პოლიტიკურმა დონემ და შეგნებამ.

მაგრამ საკმაო არ არის მხოლოდ აღინიშნოს პარტიული მასის აქტივობისა და შეგნების ზრდა. ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ გავარკვიოთ ამ პოლიტიკურ აქტივობის ხასიათი. ახალი და დადებითი მოვლენა აქ ის არის, რომ კონკრეტული მითითებანი და შენიშვნები მუშაობის ამა თუ იმ დარგში ხელმძღვანელობის დეფექტების შესახებ კონფერენციებმა სათანადო პრინციპიალურ დონეზე დააყენეს. მრავალრიცხოვანი რთული სადღეისო პრაქტიკული ამოცანები გადაიჭრა საერთო პოლიტიკურ ამოცანების თვალსაზრისით, რათა საქმით განხორციელებულ იქნას ის გენერალური ხაზი, რომელიც მე-15 ყრილობამ დაგვისახა.

ამიტომ სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ კონფერენციების ყურადღების ცენტრში იდგა ბრძოლა ორ ფრონტზე, ბრძოლა მკაფიო პარტიული ხაზისათვის. კონფერენციები სწორედ ორ ფრონტზე ბრძოლის ნიშან ქვეშ სწყვეტდნენ ყველა საკითხს. მაგრამ ამ კონფერენციებზე ადგილი ქონდა ერთ რამეს, რითაც ისინი წინა კონფერენციებისაგან განსხვავდებოდნენ. გასული წლის კონფერენციებზე მთავარი ყურადღება ექცეოდა „მემარცხენე“ ტროცკისტული გადახრის დაძლევას პარტიაში, შარშანდელი წლის განმავლობაში, როგორც ვიცით, პარტიამ დიდი მუშაობა ჩაატარა ლენინური ხაზისათვის და ტროცკიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მან პროლეტარიატის ფართო მასების წინაშე გამოაშკარავა ტროცკიზმის წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება. ამავე ხნის განმავლობაში ტროცკიზმმა ევოლუცია განიცადა და იგი საბოლოოდ გადავიდა კლასობრივი მტრების ბანაკში. კონფერენციებმა ერთხელ კიდევ მოუწოდეს პარტორგანიზაციებს და მუშათა კლასს—გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიონ კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის გამოცოცხლების ყოველ ცდას, აგრეთვე ტროცკისტული იდეოლოგიის ნაშთებს და ამ იდეოლოგიასთან შემარიგებლობას პარტიის რიგებში.

ხოლო მიმდინარე პერიოდის მთავარ საფრთხეს, როგორც კონფერენციებზე ერთსულოვნად აღინიშნა, წარმოადგენს აშკარა ოპორტუნიზმი—მემარჯვენე გადახრა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ სტრუქტურასთან და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან რეკონსტრუქციის პერიოდში. კონფერენციებმა სწორედ ამ ახალი საფრთხის წინააღმდეგ მიმართეს მახვილი. ფუჭად არ ჩაიარა იმ ბრძოლამ, რომელიც ამას წინად ჩატარდა მოსკოვის ორგანიზაციაში ლენინური ხელმძღვანელობისათვის, მემარჯვენე გადახრისადმი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. პარტიული მასა დაირაზმა ამ ახალი საფრთხის წინააღმდეგ, კონფერენციები განსაკუთრებით ფხიზლად მიუდგნენ კლასობრივი ბრძოლის საკითხებს, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხებს.

კონფერენციებზე მიღებული გადაწყვეტილებანი იძლევიან მკაფიო პოლიტიკურ გეზს ორ ფრონტზე საბრძოლველად, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის დაძლევას.

ამ ლენინური პოლიტიკური ხაზის თვალსაზრისით განხილულ იქნა კონფერენციებზე ის პრაქტიკული საკითხები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი პარტიისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონფერენციები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მრეწველობის გაშლის საკითხებს. ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი საკითხია პარტიის სამეურნეო პოლიტიკაში. კონფერენციებმა უკუაგდეს „მემარცხენეთა“ ზეინდუსტრიალისტური პროგრამა, რომელიც მოასწავებს საშუალო გლეხობასთან კავშირის გაწყვეტას, უკუაგდეს აგრეთვე ოპორტუნისტული პროგრამა, რომელიც გულისხმობს მშენებლობას „შესაძლებლობის ფარგლებში“, და ერთსულოვნად მოიწონეს ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის 1928-29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ საერთოდ ზრდისა და სამეურნეო მშენებლობის დარგში მიღწეულ დიდი წარმატებების საერთო ფონზე დელეგატები განსაკუთრებით ააშკარავებდნენ სუსტ ადგილებს, რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა გაძლიერებული ბრძოლა. კონფერენციებმა სავსებით მართებულად მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება თვითღირებულების შემცირებას, როგორც გადაუდებელ ამოცანას, რომლის წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს ინდუსტრიალიზაციის დასახული ტემპის ცხოვრებაში გატარებას. საწარმოო დისციპლინის გაძლიერება, სამეურნეო მშენებლობაში მუშათა მასების ჩაბმა და საწარმოო თათბირების მუშაობის შემდეგი განმტკიცება,—ყოველივე ეს, რაც მჭიდროდ დაკავშირებულია ზემოხსენებულ საკითხთან, ფართოდ აისახა კონფერენციების მუშაობასა და გადაწყვეტილებებში.

კონფერენციებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მუშათა ახალი კადრების დაწინაურების პრობლემას. არასოდეს ასე მწვავედ არ მდგარა დაწინაურების საკითხი, როგორც ამჟამად. ეს სავსებით გასაგებიც არის. უკანასკნელ წლებში ფაბრიკებსა და ქარხნებში აღიზარდნენ დიდი კადრები მუშათა აქტივისა, რომელსაც გავლილი აქვს წამოწყებებში საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა. ხოლო სახელმწიფო აპარატში დაწინაურება კუს ნაბიჯით მიდიოდა და ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ სუსტად სწარმოებს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან სახელმწიფო აპარატში: ადგილი აქვს მუშაკთა ნაწილის მოწყვეტას მასებისაგან, გაბიუროკრატებას, აპარატში უცხო და მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების მოკალათებას, აპარატის ცალკე ერთეულების გახრწნას და სხვ. იმის მსგავსად, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში საჭირო გახდა იმ ხელმძღვანელი კადრების გაფართოვება და განახლება, რომლებიც სამხედრო კომუნიზმის პერიოდში ჩამოყალიბდნენ, ისე ეხლაც, სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია უდიდეს ამოცანებთან, საჭიროა კადრების თვალსაჩინოდ გაფართოვება და გადახალისება სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში. აპარატიდან უნდა განიდევნოს ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს ბიუროკრატიზმს, ყოველივე, რაც აფერხებს სოციალისტური მშენებლობაში მასების ჩაბმას, ყოველივე, რაც გზას უკაფავს კლასობრივ მტერს. კონფერენციებმა სავსებით მართებულად დასვეს საკითხი სახელმწიფო აპარატის ენერგიული წმენდის შესახებ. აგრეთვე მართებულად დაისვა საკითხი აპარატში წარმოების მუშების მასიურად დაწინაურებისა და აპარატის ხელმძღვანელ ამხანაგთა ნაწილის წარმოებაში გაგზავნის შესახებ. ყველგან ერთსულოვნად მიღებულ იქნა წინადადება თანამდებობის პირთა არჩეულობისა და ცვალებადობის სისტემის გაძლიერების შესახებ.

რეკონსტრუქციის ამოცანები მოითხოვენ, რომ მაქსიმალურად განმტკიცებულ იქნას თვით პარტია—მუშათა კლასის ავანგარდი, გამორიცხულ იქნან მისი რიგებიდან გახრწნილი, კლასობრივად უცხო, მიტმასნილი და პროლეტარიატს მოწყვეტილი ელემენტები. მრავალმა დელეგატმა მოიყვანა ზოგიერთი კომუნისტების გახრწნის მაგალითები. კონფერენციების ერთსულოვანი ხმა ასეთია—უნდა ჩატარდეს საკუთარი რიგების გენერალური წმენდა, ამავე დროს უნდა გაძლიერდეს პარტიაში დაზგის საუკეთესო მუშების მიღება (აქვე აღვნიშნავთ, რომ მოსკოვში პარტიის წევრები მუშათა კლასში შეადგენენ 9 პროცენტს, მაშინ, როდესაც ლენინგრადში—19 პროცენტს).

დიდი ყურადღება მიექცა პარტიის კავშირის განმტკიცებას მასებთან და მუშათა კლასის აქტივობის გაძლიერებას რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეთა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. ამ საქმეში დიდია პროფკავშირების როლი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველა კონფერენციაზე განხილულ იქნა მოსკოვის პროფსაბჭოს ფრაქციის სპეციალური მოხსენება პროფკავშირების მუშაობის შესახებ. კონფერენციებმა აღნიშნეს პროფკავშირების მიღწევები და პროფკავშირთა მე-VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა სისწორე, მაგრამ ამავე დროს მკაცრად გააკრიტიკეს ის დეფექტები და შეცდომები, რომლებსაც ადგილი აქვთ პროფმუშაობაში (ბიუროკრატიული დამახინჯებანი, უგულო დამოკიდებულება მუშათა საჭიროებებისადმი, თვითკრიტიკის არასაკმაო განვითარება, ზოგიერთი ხელმძღვანელის მოწყვეტა მასებისაგან, კუდში მაჩანჩალობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი ივიწყებს საერთო კლასობრივ ამოცანებს, აწარმოებს ვიწრო საქმიანობას, გაურბის პოლიტიკურ საკითხებს, სცდილობს გაექცეს პარტიის ხელმძღვანელობას). ამიტომაც კონფერენციებმა თავიანთ დადგენილებებში უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ხსენებული დეფექტების აღმოფხვრას და აღნიშნეს, თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია თვითკრიტიკისა და პროფკავშირული დემოკრატიის ნამდვილად გაშლა, მუშათა წრეში წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენებთან ბრძოლის გაძლიერება და პროფკავშირების გადახალისება ქვეიდან, აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელობის ყოველმხრივ გაძლიერება პროფკავშირების მიმართ. ამავე დროს გადაჭრით უკუგდებულ უნდა იქნას ყოველი ცდა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ პროფკავშირები დაუპირისპირონ პარტიას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის უდიდესი ყურადღება, რომელიც კონფერენციებმა მიაქციეს იდეოლოგიურ ფრონტს. კლასობრივი მტერი აძლიერებს სოციალისტური მშენებლობისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ბურჟუაზიული იდეოლოგია გამოხატულებას პოულობს რელიგიურ და სექტანტურ მოძრაობასა და ანტისემიტიზმში და იჭრება მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ამავე დროს მოსპობილი არ არის წერა-კითხვის უცოდინარობა და კულტურული ჩამორჩენილობა მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში. ჩვენი მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე, როგორც დელეგატებმა აღნიშნეს, ჯერ კიდევ არ არის საკმაო. სუსტია ანტირელიგიური ფრონტი. მუშაობის ყველა დარგში საგრძნობია კულტურული ძალებისა და პროლეტარული სპეციალისტების ნაკლებობა. ამიტომაც კონფერენციებმა პარტიულ კომიტეტებს მისცეს დირექტივა—მაქსიმალურად გააძლიერონ ხელმძღვანელობა ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფრონტზე.

კონფერენციებმა ერთსულოვნად მოიწონეს ცეკას, მოსკოვის კომიტეტის ენერგიული ხელმძღვანელობის და რაიონული კომიტეტების პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი და პრაქტიკული მუშაობა. რამდენიმე ათეული პარტიული ამხანაგი—დაზგის მუშა პირველად აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში.

არსებულ სიძნელეთა მიუხედავად, პარტიული მასები წავიდნენ კონფერენციებიდან სავსებით დარწმუნებულნი იმაში, რომ პარტიამ და მისმა ცეკამ გამოიმუშავეს სოციალისტური მშენებლობის სწორი გენერალური ხაზი და კიდევაც ახორციელებენ მას.

მოსკოვის ორგანიზაცია იდეოლოგიურად განმტკიცებული ხვდება საგუბერნიო კონფერენციას, ხოლო შემდეგ—სრულიად საკავშირო კონფერენციას. იმ გარემოებამ, რომ კონფერენციები ერთსულოვნად დაირაზმნენ ცეკას ხაზის ირგვლივ, ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ პარტიისა და პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის ხელმძღვანელობა ლენინელთა საიმედო ხელშია. ყველას, ვინც მარჯვენიდან ან „მარცხნიდან“ შეეცდება ბრძოლას ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, პარტია ულმობელად უკუაგდებს. პარტიული მასა არ გაჰყოლია და არც გაჰყვება ბოლშევიზმისაგან გადახრებს. დროებითი სიძნელეების გამო მან არ გადაუხვევია და არც გადაუხვევს ლენინური ხაზიდან.

ვერც ტროცკიზმი, და მასთან შემარიგებლობა, ვერც აშკარა მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა ვერ გადაახვევინებს პარტიას ლენინური გზიდან.

მოსკოვის ორგანიზაცია, მთელ პარტიასთან ერთად, ცეკას და მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელობით შემდეგშიაც ივლის ლენინური გზით ახალ გამარჯვებებისაკენ.

„პრავდა“, 27 იანვარი.

საბჭოთა წინადადებების გარშემო

ფინური გაზეთი ლიტვინოვის ოქმის შესახებ.

ჰელსინგფორსი, 27 იანვ. პროგრესისტების ორგანო „გელსინგინ სანომატ“-ი სწერს:

„ფინეთი რომ ლიტვინოვის ოქმს შეუერთდეს, ეს ნათლად დაამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა არის მშვიდობიანობისა და არა ავანტიურის პოლიტიკა. სხვა განაპირა სახელმწიფოებთან ერთად ფინლიანდიის მიერ ოქმის ხელის მოწერა დაუმტკიცებს საბჭოთა კავშირს, თუ რამდენად არარეალურია ის შიში, რომელსაც ადგილი აქვს იქ; ამ შიშს იწვევს ომის საფრთხე, რომელიც ვითომ საბჭოთა კავშირს განაპირა სახელმწიფოებისაგან მოელის“. (ადს).

რუმინეთს ეშინია.

ვენა, 27 იანვარი. „ნეიე ფრეიე პრესე“ აქვეყნებს ბუქარესტელი კორესპონდენტის წერილს, რომელიც ეხება პოლონეთის, რუმინეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იმ დისკუსიამ, რომელიც გაიმართა პოლონეთსა და რუმინეთს შორის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხების ირგვლივ, გამოააშკარავა პოლონეთისა და რუმინეთის გენერალური შტაბების შეხედულებათა დიდი სხვადასხვაობა. რუმინეთი თავდაცვის ტაქტიკის მომხრეა, პოლონეთი კი—შეტევის. „როგორც ეტყობა,—სწერს კორესპონდენტი,—ადგილობრივი სარდლობის საკითხიც, იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი დაიწყო, რუმინეთის სასარგებლოდ არ უნდა იყოს გადაწყვეტილი, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წინადადებები მოწმობენ, რომ მოსკოვს მშვიდობიანი დემონსტრაციებით სურს დაამტკიცოს საბჭოთა კავშირის მეზობელთა თავდაცვის პოზიციის სრული უაზრობა და, ამრიგად, შეარყიოს ანტისაბჭოთა ფრონტი.

საბჭოთა წინადადებით შექმნილი მდგომარეობის გამო, რუმინეთს ეშინია, რომ არ შეირყეს პოლონეთ-რუმინეთის კავშირი. (ადს).

საბჭოთა კავშირის და იემენის ხელშეკრულება

მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ

მოსკოვი, 28 იანვარი. 1928 წლის 1 ნოემბერს იემენის დედა ქალაქში სანააში საბჭოთა კავშირსა და იემენს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის ცაკმა დაამტკიცა 1929 წლის 23 იანვარს.

შენიშვნა: იემენი არაბია დამოუკიდებელი სახელმწიფოა არაბეთის ნახევარ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მსოფლიო ომამდე იემენი ოტომანის იმპერიაში შედიოდა. სახელმწიფოს სათავეში სდგას იმამ იახია, რომელიც არის სახელმწიფოს როგორც საერთო, ისე სასულიერო მეთაური. იემენის მოსახლეობა ორ მილიონ კაცს უდრის. (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობა

კომერციულ სასამართლოს გადაწყვეტილება.

პარიზი, 27 იანვარი. ჰავასი იუწყება:

„კომერციულმა სასამართლომ გამოიტანა საინტერესო გადაწყვეტილება ერთი საქმის გამო, რომელიც შეეხება საფრანგეთის ვაჭრობას საბჭოთა კავშირში. საქმე შეეხება ორ ფრანგულ სააქციო საზოგადოებას, რომელთაგან ერთმა მეორეს დაუთმო თავისი სავაჭრო მარკა და უპირატესობანი რუსეთში. ფულის გადახდა ამ უპირატესობისთვის უნდა დაწყებულიყო მაშინ, როდესაც საფრანგეთსა და რუსეთს შორის ოფიციალურად, დე-იურე სავაჭრო ურთიერთობა განახლდებოდა.

მომჩივანი საზოგადოების სახელით გამოვიდა მილიერანი. იგი იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ საბჭოთა ცნობა მოხდა 1924 წლის 28 ოქტომბერს და რომ კონსულების გაგზავნა ოფიციალური ურთიერთობის განახლებას უდრისო.

მოპასუხე საზოგადოების წარმომადგენელმა როზენმარკმა ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრა. მან განაცხადა, რომ ასეთი თეზისების განვითარებას მოჰყვებოდა იმ შენიშვნების გაბათილება, რომლებიც საფრანგეთის მთავრობამ ცნობის აქტში შეიტანა, ამასთან ეს აქტი ძალზე შეზღუდულიაო.

სასამართლო როზენმარკის თვალსაზრისს დაადგა. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოს, რომელიც სავსებით ახორციელებს ვაჭრობის კონტროლს, თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია გასცეს კონცესიები, უარი სთქვას მათ გაცემაზე და გააუქმოს უკვე გაცემული კონცესიები. დასასრულ, ფრანგულ სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს თავისი პროდუქციაც კი, ამასთან ფრანგული საზოგადოების მიერ დაარსებული ფაბრიკები მას ეკუთვნიან დროებით, რადგან საბჭოთა კავშირში ნამდვილ პატრონად ყოველთვის სახელმწიფო რჩებაო.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა იმ საზოგადოების შუამდგომლობა, რომელიც კრედიტორს წარმოადგენს. (ადს)

ვინ მოჰკლა ჩჟან-ძო-ლინი?

ტოკიო, 27 იანვარი. პრესა ეხება პრემიერ ტანაკას პასუხს ოპოზიციონური პარტიის მინსეიტოს დეპუტატის ნაკანოს შეკითხვაზე, თუ რატომ გადასცა იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ ჩინელებს იმ ვიადუკის დაცვა, რომელზედაც აფეთქდა ჩან-ძო-ლინის მატარებელი. პრემიერმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა ჩინეთში მყოფ იაპონელთა ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებისათვის. სამხედრო მინისტრმა სირაკავამ განაცხადა, რომ მთავრობა გამოიძიებს, თუ რამდენად არის დამნაშავე ამ საქმეში იაპონიის ჯარის სარდალი ჩრდილოეთ ჩინეთში მურაკა.

გაზეთ „კოკუმინ“-ის აზრით, ეს პასუხი უდრის იმის აღიარებას, რომ **მურასკას მიუძღვის დანაშაული ჩან-ძო-ლინის მკვლელობაში.**

სიმბუნ რენგოს სააგენტო აღიარებს, რომ **„მთავრობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ჩან-ძო-ლინის მკვლელობის შესახებ შეტანილი შეკითხვების გამო“.** (ადს).

გერმანიის კომპარტიის მუშაკთა კონფერენცია

ბერლინი, 27 იანვარი. გაიხსნა გერმანიის კომპარტიის მუშაკთა კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში 3 მუხლია: ეკონომიური ბრძოლა, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მოძრაობის პლატფორმა და ტაქტიკა და მუშაობა პროფკავშირებში. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ჰეკერტმა. მომხსენებელი დაეყრდნო მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობის ანალიზს, რომელიც მოცემულია პროფინტერნის მეოთხე კონგრესის და კომინტერნის მეექვსე კონგრესის მიერ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა შეიცვალოს ტაქტიკა პროფკავშირების მიმართ, საჭიროა ენერგიული ბრძოლა რეფორმიზმის წინააღმდეგ. ამასთან ეკონომიურ ბრძოლას ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად უნდა გაეწიოს. ჰეკერტმა გამოააშკარავა მემარჯვენეთა ოპორტუნისტული პოლიტიკა.

„უკანასკნელი ეკონომიური ბრძოლების დამახასიათებელი თვისება,—განაცხადა ჰეკერტმა,—იყო ის, რომ ისინი თავდაცვით ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ ამავე დროს უკვე შეიცავდნენ თავდასხმის ელემენტებს. თავდასხმა სწარმოებდა სამთა კავშირის — სახელმწიფო ხელისუფლების, მწარმოებლების და რეფორმიზმის კავშირის—წინააღმდეგ. ამ ბრძოლებმა აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლების მეორე მეტად დამახასიათებელი თვისება იყო ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მუშათა მასების მედგარი მონაწილეობა მათში“.

კამათში გამოსულმა ორატორებმა მოიწონეს მოხსენების ძირითადი ხაზი და ამავე დროს აღნიშნეს პროფკავშირებში წარმოებული მუშაობის კონკრეტული დეფექტები.

საბოლოო სიტყვაში ჰეკერტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ომის საფრთხეს და ორგანიზაციულად შეკავშირებული და შეუკავშირებელი მუშების ურთიერთი დამოკიდებულების პრობლემას.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა—რევოლიუციონური სალამი გაუგზავნოს პროფკავშირთა რევოლიუციონური უმცირესობის კონფერენციას შვეციაში.

კონფერენციას მიესალმნენ საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელნი, რომელთაც აღნიშნეს, რომ საჭიროა მთლიანი ფრონტის შექმნა ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ორატორებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ საფრანგეთში ისე, როგორც გერმანიაში, რეფორმისტები შეეხორცნენ სახელმწიფო აპარატს. (ადს-.

პროტესტი რაკოშისადმი მხეცური მოპყრობისათვის

ბერლინი, 28 იანვარი. გერმანიის კომუნისტური პარტიის პარტმომუშავეთა სრულიად გერმანიის კონფერენციამ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა უნგრეთის პრემიერ მინისტრს ბეტლენს რაკოშისადმი და მის საქმესთან მისჯილ უნგრელ რევოლიუციონერებისადმი მხეცური მოპყრობის გამო. დეპეშაში ნათქვამია, რომ რაკოშისადმი მოპყრობა ატარებს ისეთ განსაკუთრებულ ხასიათს, რომ იგი გაკვირვებას გამოიწვევდა ამ მხრივ განთქმულ ბალკანეთზედაც. დეპეშაში მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ასეთი უმსგავსოებანი.

ასეთივე ხასიათის საპროტესტო რეზოლიუცია გაუგზავნა ბეტლენს 30000 კაცის მუშათა კულტურულ-სპორტიულმა გაერთიანებამ—მუშა ფიზკულტურელების, მუშა ატლეტების და რევოლიუციონური სტუდენტობის სახელით. რეზოლიუცია მიღებულ იქნა დიდ მიტინგზე, რომელიც შესდგა ლენინის, ლიბკნეხტის და ლიუქსენბურგის ხსოვნის აღსანიშნავად.

ემიგრაციაში მყოფმა უნგრელმა კომუნისტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი, პროტესტი განაცხადონ რაკოშისადმი ასეთი სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. უნგრეთის მისიამ ბერლინში მიიღო მოწერილობა ელჩისაგან, რომ მისიაში არ შეუშვან არავითარი დელეგაციები. რემდასის საოლქო ორგანიზაციის დელეგაციას უარი განუცხადეს მისიაში მიღებაზე. მისიაში არ მიიღეს აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუციები, რომლებიც გამოტანილი იყო ბერლინის მრავალ წარმოებებში. (ადს).

პროკურატურის შეურაცყოფისათვის

ვენა, 27 იანვარი. სოფიიდან (ბულგარეთი) გადმოცემული ცნობის თანახმად, მუშათა ორგანოს „ნოვინი“-ს რედაქტორს დრაგომანოვს, რომელსაც ერთხელ, სახელმწიფოს დაცვის კანონის თანახმად, უკვე მიესაჯა 6 წლით დაპატიმრება, ამ დღეებში პროკურატურას შეურაცხყოფისათვის, კვლავ მიესაჯა ერთი წლით დაპატიმრება. შეურაცხყოფა გამოიხატა იმაში, რომ დრაგომანოვი თავის წერილში პოლიტიკური პატიმრის ილიევის სიკვდილისათვის მთელ პასუხისმგებლობას პროკურატურას აკისრებდა. ავადმყოფი ილიევი დააპატიმრეს 1923 წლის ზაფხულში. იგი სატუსაღოში გარდაიცვალა, რადგან მას საექიმო დახმარება არ აღმოუჩინეს. (ადს).

ცენტრალური გაზეთების რედაქტორთა თათბირი

პრესის ამოცანების შესახებ გაზაფხულის თესვის კამპანიაში

მოსკოვი, 28 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან შესდგა ცენტრალური გაზეთების რედაქტორთა თათბირი პრესის ამოცანების შესახებ გაზაფხულის თესვის კამპანიაში.

ამხ. ყოლიფმა (საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისია) და კვირინგმა (საბჭოთა რუსეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი) გააკეთეს მოხსენებები გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადებისა და მთავრობის ღონისძიებების შესახებ.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია:

„მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას საფუძვლად უდევს ორი უმნიშვნელოვანესი დირექტივა: სამრეწველო პროდუქციის დირებულების 7 პროცენტით შემცირება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის 10 პროცენტით გადიდება. ერთ-ერთი ამ დირექტივის ნაწილობრივი შეუსრულებლობაც კი ჩაშლის მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას და ნიადაგს მოუმზადებს ეკონომიურ დაბრკოლებებს. პრესის მთავარ ამოცანას თესვის კამპანიასთან დაკავშირებით შეადგენს ის, რომ განავითაროს მუშათა და გლეხთა მასების უდიდესი აქტივობა მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებისა და გაზაფხულის თესვის კამპანიის კონკრეტული ამოცანების გარშემო. პრესამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის ნამდვილ საწარმოო განვითარებას და მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის გადაქცევას მასიურ კამპანიად, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ფართო მოძრაობას სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებისათვის. კამპანია პრესაში დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს საკავშირო კომპარტიის ცეკას ნოემბრის პლენუმის იმ დადგენილების საფუძველზე, რომელიც შეეხება მოსავლიანობის გადიდებას 3 პროცენტით და მარცვლეულის კულტურის სათესი სივრცის გაფართოებას 7 პროცენტით. პრესამ თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ სწორად იქნას განაწილებული ამ ამოცანის შესასრულებლად გადადებული მატერიალური სახსრები.

თესვის კამპანია, ისე, როგორც საბჭოების საარჩევნო კამპანია, ჩატარებული იქნება გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის (სოფლად) პირობებში. მთელი კამპანია უნდა ჩატარდეს ისე, რომ მან შედეგად მოჰყვეს განსაზოგადოებული სექტორის ზრდის გაძლიერება, სოფლის ღარიბი მოსახლეობის ორგანიზაციულად შეკავშირების უზრუნველყოფა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობის გადიდება სათესი სივრცის გაფართოებისათვის ბრძოლაში, მოსავლიანობის გადიდება და კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვა. ყველაფერი ეს მოითხოვს, რომ პრესამ გაზაფხულის თესვის კამპანიას მისცეს უაღრესად მძაფრი ხასიათი. საბჭოების არჩევნებთან ერთად ეს კამპანია უნდა გადაიქცეს მახლობელი პერიოდის მთავარ კამპანიად. ყველა მუშურმა, გლეხურმა და ხელმძღვანელმა გაზეთმა ეხლავე უნდა შემოიღოს თესვის კამპანიის მუდმივი განყოფილება. პრესამ ამ საქმეში უნდა გამოიყენოს რედაქციის საკუთარი ძალები, მუშგლეხკორები, მსუბუქი კავალერიის რაზმები, იგი უნდა დაეყრდნოს საბჭოებთან არსებულ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების მუშაობას. პრესამ თვალყური უნდა ადევნოს იმ ორგანოების მუშაობას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ თესვის კამპანიის მომზადებასა და გატარებაში, სისტემატიურად უნდა შეამოწმოს ამ ორგანოების მუშაობა ცეკას ნოემბრის პლენუმის და საკავშირო ცაკის მესამე სესიის დადგენილებებისა და საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტის თვალსაზრისით. კერძოდ, პრესამ თვალყური უნდა ადევნოს უბრალო აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას, სათესლე მარცვლის გაწმენდას, ტრიერების გამოყენებას, მავნებლების წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს, მან ყოველდღიურად კონტროლი უნდა გაუწიოს იმას, თუ როგორ ტარდება დახარისხებული თესლის მიწოდება, სოფლის მანქანებით მომარაგება (არის თუ არა კლასობრივი, პროლეტარული პოლიტიკის დამახინჯება ამ დარგში), საკმაოდ გამოყენებულია თუ არა ტრაქტორები ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად, როგორ ტარდება კრედიტის გამოყენება, როგორ მიმდინარეობს მუშა საქონლის ერთი რაიონიდან მეორეში გადაყვანის საქმე, როგორ ემზადებიან კამპანიისათვის კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, კერძოდ, როგორ უწევენ ისინი დახმარებას მეზობელ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებს, როგორ უწყობენ ხელს კოლექტივიზაციის ზრდას, როგორ არის შეთანხმებული კონტრაქტაციის პრაქტიკა სათანადო რაიონების საწარმოო დავალებებთან და სხვ.

იმავე ძალებისა და ორგანიზაციების დახმარებით, აგრეთვე სოფლის კედლის გაზეთებისა და საშეფო საწარმოთა გაზეთების გამოყენების გზით პრესამ სისტემატიურად უნდა გააშუქოს ქვედა საფეხურის საბჭოთა ორგანოების მუშაობა, რათა სათანადო კონტროლი გაეწიოს თესლეულის, მანქანების, მუშა საქონლის, კრედიტის, მინერალური სასუქის გამოყენებას, გამქირავებელი და მარცვლის დასაწმენდი პუნქტების მუშაობას და აგრეთვე იმას, თუ როგორ ახორციელებენ სათემო აღმასკომები და სასოფლო საბჭოები დადგენილებას აგრიკულტურული ღონისძიებების შესახებ.

პრესის ამოცანაა ყოველმხრივად ხელი შეუწყოს ინდივიდუალურ მეურნეობათა მთელი სახსრების გამოყენებას გაზაფხულის თესვის კამპანიის გატარებაში. პრესაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვით გლეხობა არის ეკონომიურად დაინტერესებული სათესი სივრცის გაფართოვებასა და მოსავლიანობის გადიდებაში. პრესამ ორგანიზატორული როლი უნდა ითამაშოს მატერიალური რესურსების სისწორით გამოყენების საქმეში; მან ხელი უნდა შეუწყოს იმ ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია ღარიბი მოსახლეობის ჩაბმა თესვის კამპანიაში. ამასთან ერთად პრესამ თვალყური უნდა ადევნოს, რომ ღარიბ გლეხობისათვის ინვენტარის და მუშა საქონლის მიწოდება ხდებოდეს გლეხთათვის მისაღებ პირობებში. პრესა უნდა ეცადოს, რომ თესვის კამპანიას გაძლიერებული ყურადღება მიაქციოს ყველა პარტიულმა, პროფესიონალურმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციამ.

გაზაფხულის თესვის კამპანიის მომზადებას და გატარებას აქტიურად ხელი უნდა შეუწყოს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ, განსაკუთრებით თავდაცვა-ავიაქიმის და საშეფო საზოგადოების ორგანიზაციებმა. თესვის კამპანიის გეგმები უნდა გაირჩეს მომავალ საოლქო, სათემო და, განსაკუთრებით, სასოფლო ყრილობებზე. პრესამ ფართოდ უნდა გააშუქოს ამ ყრილობების და თათბირების მუშაობა. გაზეთების რედაქციებმა კამპანიის სისწორით და ყოველმხრივი გაშუქებისათვის ადგილებზე უნდა დაგზავნონ რედაქციის პასუხისმგებელი წარმომადგენლები და მუშგლეხკორებს და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს უნდა მისცენ საჭირო საინსტრუქციო მითითებები“ (ადს).

წერილი საფრანგეთიდან

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რადიკალების ბრძოლა სამინისტრო ხელისუფლებისათვის. — ფროსარის კიდევ ერთი გამცემლობა.—რეაქციის თვალსაჩინო გამარჯვება.—კომუნისტების გამოსვლა—საგაფიცვო ტალღის ახალი აზვირთება

საფრანგეთის პარლამენტში გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს. რადიკალები, რომლებიც პუანკარემ გააძევა სამინისტროდან (თუმცა რადიკალ-მინისტრები ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს თვითონ წავიდნენ სამინისტროდან), ვერ შერიგებიან თავიანთ ახალ მდგომარეობას. ისინი თითქმის 30 წელი იდგნენ „საქმის“ სათავეში. ეხლა კი იძულებულნი არიან ოპოზიციის მწარე ხვედრი გაიზიარონ. და აი, გაჩაღდა მკაცრი ბრძოლა, გადამწყვეტი, მაგრამ არა უკანასკნელი ბრძოლა. წვრილბურჟუაზიული რადიკალები ცინიკური გულახდილობით მიმართავენ პუან[illegible] კითხვით: ვისთან გნებავთ პოლიტიკის წარმოება.—ჩვენთან თუ რეაქციას[illegible]

რადგან რეაქციონური პოლიტიკის წარმოება უფრო ადვილი შეიქნა აშკარა და თანამიმდევარ რეაქციასთან ერთად, ამიტომ პუანკარე საბოლოოდ დაემორჩილა მემარჯვენე მონარქისტებს და მეტად ზომიერ რესპუბლიკანელებს, ე. ი. ისეთ ხალხს, რომელსაც ძალიან ცოტა სცხიათ ბურჟუაზიული რესპუბლიკანიზმისაც კი.

ჩვენს გარდამავალ ხანაში, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც სოციალურ წინააღმდეგობებს უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია უკიდურეს საზღვრამდე, პარლამენტი, როგორც სარკე, გამოხატავს ამ დროებით გაურკვევლობას. პალატა, რომელიც 612 წევრ. შესდგება, იყოფა ორ მთავარ, რიცხობრივად თითქმის თანასწორ სექტორად: მემარჯვენე კოალიცია უკიდურესი მემარჯვენე მონარქისტული ფრთით და მემარცხენე კოალიცია, რომელშიაც აქტიურ როლს თამაშობენ ეგრედწოდებული სოციალისტები, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ—ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთა. არც მემარჯვენე და არც მემარცხენე კოალიციას თავისთავად არ შეუძლია უზრუნველჰყოს უმრავლესობა არც მემარჯვენე და არც ეგრედწოდებული მემარცხენე მთავრობისათვის. ყოველი მთავრობის ბედ-იღბალს არა პროპორციონალური საარჩევნო სისტემით არჩეულ პალატაში სწყვეტს ჯგუფი, რომელიც თავის-თავს უწოდებს რადიკალურ—მემარცხენე ჯგუფს და რომელიც 50-მდე წევრისაგან შესდგება. თუ ეს პატარა ჯგუფი, რომლის ბელადია მილიარდერი ლუშერი, (რომელიც რატომღაც დანიშნულია: შრომის და არა კაპიტალის მინისტრად), გადაიხრება მარცხნივ, მას შეუძლია უზრუნველჰყოს „მემარცხენე“ მთავრობის სიცოცხლე. ამ ჯგუფის კავშირი პალატის მემარჯვენე კოალიციასთან უზრუნველჰყოფს და ამაგრებს აშკარა რეაქციონური მთავრობის მდგომარეობას. რასაკვირველია, ლუშერის ჯგუფის კაპიტალისტური სულისკვეთება აიძულებს მას გადაიხაროს მარჯვნივ. ამ გადამწყვეტი ჯგუფის ერთად-ერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მისი წევრები უფრო პრაქტიკული და გონიერი ხალხია, ვიდრე პარლამენტის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის გონება-ჩლუნგი ზუბრები. რადიკალებთან და სოციალისტ-რეფორმისტებთან ერთად ისინი საჭიროდ სცნობენ რეფორმისტული ძვალის გადაგდებას ხალხისათვის მათი აზრით, საჭიროა ზოგიერთი ზერელე დათმობები, რათა მოთმინებიდან არ გამოვიდნენ მუშები და გლეხები, რომლებსაც ჰყვლეფენ. და ეხლაც, ლუშერის ჯგუფმა, რომელმაც ხმა მისცა პუანკარეს, გადასწყვიტა 1928 წ. 22—29 აპრილს არჩეული პალატის ბედ-იღბალი და იგი უკიდურეს რეაქციას ჩაუგდო ხელში. ნამდვილი ზრახვების დასაფარავად და „საქმისათვის კანონიერი სახის მისაცემად“ პუანკარეს მთავრობამ წამოაყენა „რეფორმების პროგრამა“. ამ პროგრამაში აღნიშნულია მხოლოდ გაურკვეველი და ბუნდოვანი დაპირებები, რომლებიც ორმოცდაათი წლის წინედ იყო წამოყენებული (გადასახადების ტვირთის შემსუბუქება, ზრუნვა მიწადმოქმედებისათვის, სოციალური რეფორმებისათვის და სხვ.). ამასთანავე, ამ უბადრუკ დაპირებებსაც კი გერმანიის სარეპარაციო გადასახადს უკავშირებენ. თუ გერმანელები მთელ თანხას გადაიხდიან უკანასკნელ სანტიმამდე, რეფორმები განხორციელდება—ხოლო თუ არ გადაიხდიან, ამ დაპირებებს ეწევა ისეთივე ბედი, როგორიც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეწვია.

საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის საპარლამენტო ბრძოლაში მინისტრობისათვის აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენმა ყოფილმა ამხანაგმა ფროსარმა, რომელიც 1920 წელს კაშენთან ერთად დაბრუნდა მოსკოვიდან და რომელმაც მაშინ საგრძნობლად შეუწყო ხელი სოციალისტებისაგან რევოლიუციონურ ელემენტების გამოთიშვას და საფრანგეთის კომპარტიის შექმნას. ეხლა ეს ვაჟბატონი ბურჟუაზიული მემარცხენე ბლოკის დასაყრდენს და იმედს წარმოადგენს. თავის სიტყვაში ამ რენეგატმა განაცხადა, რომ მისი პარტია მზად არის „იკისროს დიადი და მძიმე პასუხისმგებლობა“ — მიიღოს მონაწილეობა ბურჟუაზიულ სამინისტროებში. მთელი მისი სიტყვა გამსჭვალული იყო „საპარლამენტო კრეტინიზმის“—სულისკვეთებით. მან, რასაკვირველია, მხარი დაუჭირა „მისმა ხალხმა“, მაგრამ რენეგატის დებიუტის საერთო შთაბეჭდილება მაინც საკმაოდ სუსტი იყო. ფროსარი ხომ ერთ დროს სოციალისტური მიტინგების და ყრილობების ნიჭიერ ორატორად ითვლებოდა და იტაცებდა მუშათა მასას, რომელიც ხშირად ხვდებოდა მას მხურვალე ტაშით. ბურჟუაზიულ ბანაკში გადასვლის შემდეგ მან თავისი ნიჭიც დაჰკარგა. დარჩა მხოლოდ პოლიტიკანის გაქნილობა.

ერთად ერთი ოაზისი ამ საპარლამენტო უდაბნოში იყო კომპარტიის წარმომადგენლის ამხ. კაშენის გამოსვლა. მან დამშვიდებით და გადაჭრით გამოააშკარავა სამინისტრო პორტფელებისათვის ბაყაყური ბრძოლის მთელი არარაობა და უბადრუკობა. ირგვლივ გაჩაღებულია კლასობრივი ბრძოლა, როცა თითქმის ყოველ დღე მატულობს მუშათა გაფიცვების ტალღა, მუშათა მასების უკმაყოფილება იზრდება არა დღეებით, არამედ საათობით, საერთაშორისო მდგომარეობა ახალი ომების, ახალი კატასტროფების საფრთხეს გვიმზადებს. ასეთ დროს კომუნისტებმა კაშენის პირით მოითხოვეს ჯარების გამოწვევა მემაღაროეთა რაიონიდან, სადაც მუშები იბრძვიან ლუკმა პურისათვის, მემაღაროეთა მთელი რაიონი, სადაც ათი ათასობით გაფიცულებმა დასტოვეს მაღაროები, გავსილია ჟანდარმებით, რადგან რეგულიარულმა ჯარებმა უარი განაცხადეს იარაღით ჩაეხშოთ მუშათა მოძრაობა. ეს უფრო საპარლამენტო ბრძოლის მეტად საინტერესო მომენტი. კომპარტიის წარმომადგენლის გამოსვლამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მოწინააღმდეგეებზედაც კი. უსოციალიზმო სოციალისტები პალატაში, თავის პრესაში არამც თუ არ იცავენ მემაღაროებს, არამედ ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ ზურგში ჩასცენ მახვილი გაფიცულ მუშებს; ისინი მთელ მოძრაობას აცხადებენ მხოლოდ კომუნისტების საქმედ, რომლებსაც მიზნად აქვთ კომპარტიის პოლიტიკური პრესტიჟის გადიდებაო. ძველმა მოღალატე რენოდელმა—მომხსენებელმა საჰაერო ომის შესახებ, მუშათა კლასისა და კომუნიზმის დაუძინებელმა მტერმა, ისარგებლა შემთხვევით და საბჭოების წინააღმდეგ გაილაშქრა საქართველოს „დამოუკიდებლობის“ დაცვის საბაბით. მან საკადრისი პასუხი მიიღო და ის იძულებული გახდა გაჩუმებულიყო.

რა იქნება შემდეგ? უკმაყოფილო რადიკალები ჯერ-ჯერობით ოპოზიციაში გადავიდნენ „სოციალისტებთან“ ერთად. ისინი „სოციალისტებთან“ ერთად ენერგიულად შეეცდებიან მოამზადონ ნიადაგი ახალი წვრილბურჟუაზიული ბლოკისათვის. პუანკარესათვის საშიშია მხოლოდ კონკურენცია მისივე კოლეგებისა სამინისტროდან, მაგალითად, კონკურენცია ტარდიესი, რომელიც უფრო გაბედულად და გადაჭრით წავა რეაქციონური გზით, ვიდრე პუანკარე. 22—29 აპრილის პალატა, როგორც წყალის ორი წვეთი, ისე ჰგავს 1919 წლის 16 ნოემბრის პალატას, იმ ხანის პალატას, როდესაც გაიმარჯვა ნაციონალურმა ბლოკმა, რომელსაც იგივე პუანკარე მეთაურობდა. მიუხედავად რესპუბლიკანური ფრაზებისა, პუანკარე ყოველთვის მუშაობდა რეაქციის და მსხვილი კაპიტალის სასარგებლოდ.

სამინისტრომ შეიძლება კისერი მოიტეხოს რეპარაციების და საერთაშორისო ვალების საკითხში. თუ არ მოხდა ბერანჟე-მელონის შეთანხმების რატიფიკაცია, საფრანგეთმა ზაფხულზე უნდა გადაიხადოს ეგრედწოდებული კომერციული ვალი 10 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, ე. ი. ვალი, რომელიც საფრანგეთს ეკისრება ამერიკული სამხედრო მარაგის გამოუყენებლობისათვის. (ეს სამხედრო მარაგი უგუნურად გაფლანგეს ყოფილმა მინისტრმა კლოცმა, რომელიც ეხლა ციხეში ზის, და მისმა მემკვიდრეებმა). საერთაშორისო ვალების საკითხში უთანხმოება არსებობს თვით პუანკარეს კაბინეტში. ამბობენ, რომ პუანკარე ხელისუფლებას ებღაუჭება სწორედ იმიტომ, რომ სურს შეავიწროვოს გერმანელები და რაც შეიძლება მეტი რესურსები გამოაცალოს მათ.

პუანკარეს დაცემა შესაძლოა კიდევ იმიტომ, რომ მას არ სურს საბოლოოდ გახდეს რეაქციის ტყვე, რადგან ამ მოკლე ხანში მოხდება საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც იგი კვლავ წამოაყენებს თავის კანდიდატურას რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

რა უბადრუკობას და საძაგლობას წარმოადგენს ყოველივე ეს კაპიტალის და შრომის იმ გიგანტურ ბრძოლასთან შედარებით, რომელიც ომის შემდეგ თანდათან მწიფდება. საფრანგეთში, რადგან საფრანგეთი, მიუხედავად წვრილბურჟუაზიული ელემენტების მრავალრიცხოვანობისა, მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნად გადაიქცა.

ხ. რაპოპორტი.

პარიზი, 1929 წ. 19 იანვარი.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

უგეგმო მშენებლობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 28 იანვარი. „პრავდა“ დღევანდელ ნომერში ეხება იმ უგეგმობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ საამშენებლო სეზონში და აღნიშნავს: მორიგ საამშენებლო სეზონამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. სამეურნეო ორგანოები აქედანვე უნდა მოემზადონ პროექტებისა და ესკიზების დამუშავებისათვის.

შემჩნეულია, რომ მეტად ჭიანურდება კაპიტალურ მშენებლობათა პროექტების დამუშავება. დამაკმაყოფილებელი არაა ლიმიტის ფარგლებში მოქცეულ მშენებლობათა გეგმების მომზადების საქმეც. საჭიროა საგეგმო ორგანოების ენერგიული ჩარევა საქმეში, რომ წარსულ წლის საამშენებლო სეზონის შეცდომები აღარ განმეორდეს.

თამბაქოს კულტურის განვითარებისათვის

მოსკოვი, 28 იანვარი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ განიხილა მეთამბაქოობის მეურნეობის კრედიტით უზრუნველყოფის საკითხი და დაადგინა, სესხი თამბაქოს მეურნეობას მიეცეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის საშუალებით. ამასთან ერთად შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა კავშირთა კავშირს გააძლიეროს თამბაქოს პროდუქციის გასაღების საქმე და მეთამბაქოების კოოპერატიულად დარაზმვისაკენ მიმართული მუშაობა. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს ევალება ღონისძიებების გამონახვა მეთამბაქოთა კოლექტივების შესაქმნელად.

ვინ უნდა აწარმოოს ჩაით ვაჭრობა

მოსკოვი, 28 იანვარი. საკავშირო ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ჩაით ვაჭრობის საქმის მოწესრიგებას. აღნიშნულ დადგენილების თანახმად კერძო პირთ და დაბალი საფეხურის კოოპერატივებს ეკრძალებათ ამიერ-კავკასიაში მოყვანილ ჩაის ცალკე პარკებში დანაწილება და მათი ბაზარზე გასასყიდათ გამოტანა.

ეს დადგენილება გამოიწვია იმ გაუგებრობამ, რომელსაც მრავლად ჰქონდა ადგილი უკანასკნელ ხანებში ჩაის ბაზარზე, ვინაიდან ჩაის შეხვევა - გასაღებას მასიურად აწარმოებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები და კერძო პირებიც კი. არ იყო იმის შესაძლებლობა, რომ ვინმე პასუხი ეგო ჩაის ღირსებისა, წონის სისწორისა და ასეთ შემთხვევაში სხვა სავალდებულო პირობებისათვის.

„კაბუკი“-ს პროცესი

მოსკოვი, 28 იანვარი. უკვე საბოლოოდ გამოირკვა, რომ გარყვნილებისა და ლოთობის ორგანიზაციის „კაბუკი“-ს საქმე დაიწყება მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოში მიმდინარე წლის 30 იანვარს. ბრალდებულთა სკამზე ზის „კაბუკი“-ს ორგანიზაციის 11 აქტიური წევრი. პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს ორგანომ—გაზეთ „ტრუდ“-მა გამოჰყო საზოგადოებრივი ბრალმდებელი. პროცესი დიდ და საყოველთაო ინტერესს იწვევს.

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

ესტონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

რეველი, 28 იანვარი. პრესის ცნობებით, ესტონეთის მთავრობის მიერ გამოყოფილ კომიტეტს, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის ეკონომიური ურთიერთობის საკითხი, სხდომა ჰქონდა 26 იანვარს. სხდომას თავმჯდომარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ლატტიკ. სხდომას დაესწრო აგრეთვე ვაჭრობის მინისტრი ოინას.

ქვე-კომისიის მოხსენებათა შემდეგ კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს ესტონეთის მთავრობას დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ (ადს).

ფიცი ამანულა ხანის ერთგულებაზე

პარიზი, 28 იანვარი. ჰავასის სააგენტო ატყობინებს: ავღანისტანის მისიამ პარიზში გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ ამანულა დასთანხმდა კვლავ მიიღოს ფადიშახის ხელისუფლება და ხელახლა შეადგინოს მთავრობა. ხედრან, მომანდის, სუფეის, ვარდაკის და სხვა ტომებმა ყველა ოლქებიდან, რომლებიც მდებარეობენ ლოგარიდან სამხრეთით, ფიცი მიიღეს ამანულასათვის ერთგულებაზე. ყველა ეს ტომები წარმოადგენენ თითქმის მთელ ავღანისტანს (ადს).

მდგომარეობის შესახებ

კონსტანტინოპოლი, 28 იანვარი. თურქეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს ამანულა ხანის მდგომარეობის გაუმჯობესებას და გამოსთქვამს აზრს, რომ ამანულა ხანი შესძლებს დაბრუნდეს კვლავ ქაბულში (ადს).

ჩემბერლენი კელოგის პაქტის რატიფიკაციის შესახებ

ლონდონი, 28 იანვარი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრს—ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა, თუ როდის იქნება პარლამენტში წარდგენილი კელოგის პაქტი რატიფიკაციათ. ჩემბერლენმა თავის პასუხში განაცხადა: — მთავრობას განზრახული აქვს კელოგის პაქტი წარადგინოს პარლამენტში რატიფიკაციათ მაშინ, როდესაც მისი რატიფიკაციისათვის მზად იქნებიან დომინიონების მთავრობები (ადს).

ბიუტოში მოხდება ხელახალი კენჭის ყრა

პარიზი, 27 იანვ. ჰავასის სააგენტო ატყობინებს, რომ ბიუტოში დამატებით არჩევნებში მარტიმ მიიღო 6.553 ხმა, გეტრომ (მემარჯვენე პარტიების კანდიდატი) 5.638 ხმა და ტორესმა (სოციალისტი) 4.298 ხმა. მოხდება ხელახალი კენჭის ყრა (ადს).

მარტის გამარჯვებას მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ

პარიზი, 28 იანვარი. პიუტოს ოლქში დამატებით არჩევნებში მარტის გამარჯვების ცნობას მთელი ოლქის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ. პიუტოში, ნანტერრეში და სურენში ადგილობრივ მუნიციპალიტეტების შენობების წინ გაიმართა მუშათა დემონსტრაციები.

საარჩევნო ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ სწარმოებდა არა მარტო აგიტაციით, არამედ სხვა ღონისძიებებითაც. შაბათს ღამით პიუტოში, ვილიე უცნობებმა სროლა აუტეხეს კომუნისტების ჯგუფს, მაგრამ სროლის დროს არავინ დაშავებულა.

მსროლელები მიიმალნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სამი მსროლელთაგანი პოლიციამ დააპატიმრა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ განთავისუფლეს (ადს).

ხელისუფლება სამხედრო წრეების ხელში

ვენა, 28 იანვარი. როგორც ბელგრადიდან იტყობინებიან, გუშინ იქ გამოქვეყნდა მეფის ახალი დეკრეტი, რომლითაც მინისტრთა კაბინეტის მთელი ხელისუფლება ეცისრება ერთ პრემიერ მინისტრს. პრემიერთან შექმნილი იქნება ე. წ. სათათბირო კორპუსი, რომელშიაც შევლენ ფინანსთა მინისტრი და ორი სხვა უფუნქციო მინისტრი.

ეს ღონისძიება არის ახალი ნაბიჯი მთელი აღმასრულებელი ძალაუფლების სამხედრო წრეების ხელში გადაცემისა (ადს).

ელზასელ ავტონომისტების ბრძოლა

პარიზი, 27 იანვარი. ელზასელმა ავტონომისტებმა ბრომმა და ვალტერმა დეპუტატთა პალატაში შეკითხვა შეიტანეს. მათ პროტესტი განაცხადეს მთავრობის უნიფიკატორული, ცენტრალისტური პოლიტიკისა და იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ელზასელი მოსახლეობის გაფრანგებას ისახავენ.

ელზასის მოსახლეობის სახელით, კერძოდ ქალაქის საშუალო ფენებისა და გლეხობის სახელით ორატორებმა მოითხოვეს რეპრესიების შეწყვეტა და ამნისტია კოლმარში გასამართლებული ავტონომისტებისათვის.

იმ რეფორმების პროგრამაში, რომლებიც ორატორებმა ელზასისათვის მოითხოვეს, არის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ელზასელებს მიენიჭოთ გერმანიასთან ეკონომიური ურთიერთობის სრული თავისუფლება. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ავტონომისტური მოძრაობა, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან, არ მისწრაფის ელზასის შეერთებისაკენ გერმანიასთან და მის ჩამოშორებას საფრანგეთისაგან; იგი მიზნად ისახავს ელზასისათვის თვითმართველობის მოპოვებას მთლიანი საფრანგეთის ფარგლებში (ადს).

სომხეთის კომპარტიის მე-6 ყრილობა

ერევანი, 28 იანვარი. 26 იანვარს სომხეთის კომპარტიის ყრილობის დილის სხდომაზე ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სომხეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ამირხანიანმა.

ამხ. ამირხანიანი შეეხო შინაპარტიულ ბრძოლას და აღნიშნა, რომ ახალმა ხელმძღვანელობამ სწორად შეაფასა „ძველი" ხელმძღვანელობის შეცდომები (მემარჯვენე ნაციონალისტური გადახრა) და აქედან გამოიყვანა სათანადო ორგანიზაციული დასკვნები.

შემდეგ ამხ. ამირხანიანი შეეხო პარტიის წმენდის საკითხს და განაცხადა, რომ „პარტიის წმენდა ერთად მნიშვნელოვანი ამოცანაა და ეხლა ჩვენ უნდა დავიწყოთ სათანადო წინასწარი მუშაობა ამ წმენდის მოსამზადებლად. ჩვენ შევძლებთ განვაცხადოთ, რომ სომხეთის კომპარტია საკმაოდ ძლიერი და მტკიცე ორგანიზაციაა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამით არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა თვალყური ვადევნოთ იმას, რომ პარტია მუდამ ჯანსაღი დარჩეს, საჭიროა ბრძოლა ავადმყოფური მოვლენების—კინკლაობის, ჯგუფობების და გადახრის წინააღმდეგ.

„რევოლუციის შემდეგ ჩვენს პარტიაში შემოვიდნენ ბურჟუაზიულ ფენებიდან გამოსული ინტელიგენტები, ხოლო სოფლად, როგორც დამტკიცდა, მაგალითად, ბაიაზეთის ორგანიზაციის გამოკვლევამ, ჩვენს ორგანიზაციის რიგებში შემოიპარენ კულაკები. არის შემთხვევები, როცა თვით სამოქალაქო ომის მონაწილე კომუნისტები გადაიქცნენ კულაკებად და პარტიაში არ უშვებენ ღარიბ გლეხებს. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა წვრილ ბურჟუაზიულ გავლენის წინააღმდეგ. ასეთი გავლენის მაგალითები ბევრია".

შემდეგ ამხ. ამირხანიანი აჩვენებს ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობას პარტიის გაჯანსაღების საქმეში. 26 იანვრის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ამირხანიანის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა.

27 იანვრის დილის სხდომაზე ამხ. ამირხანიანმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა (ადს).

ერევანი, 28 იანვარი. 26 იანვარს, პარტიის ყრილობის მე-9 სხდომაზე სამეურნეო საკითხების შესახებ მოხსენება წაიკითხა სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტერ-გაბრიელიანმა.

ამხ. ტერ-გაბრიელიანმა აღნიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმა გამომდინარეობდა სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი მადნებისა და წყლების ექსპლოატაციის პერსპექტივებიდან; მან ყრილობის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მრეწველობის ხვედრითი წონა წლითი-წლობით იზრდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში. მაგალითად, 1926-27 წ. სომხეთის მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 29,9 პროცენტს, 1928-29 წელს 37,2 პროცენტს, ხოლო ხუთი წლის დამლევს იგი მიაღწევს 46,8 პროცენტს. სომხეთის სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ელექტრო-ენერგიის ბაზის განვითარებას, რომელიც 1927 წელს უდრიდა სულ 15,5 მილ. კილოვატს, 1928 წ. 25.864.000 კილოვატს, ხოლო 1932 წელს მიაღწევს 175.145.000 კილოვატს. უკვე დაწყებული ელექტრო-სადგურების გარდა, ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია შეუდგეთ მეორე მძლავრი, კანაკირის ჰიდრო-სადგურის აგებას; მისი ენერგია გამოყენებულ იქნება ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, რამდაც დღევანდლამდე დაბანდებულია 835.000 მან., ხოლო 1932 წლამდე დაბანდდება 2.694.000 მან.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამუშავების საქმე და განაცხადა, რომ ხუთი წლის დამლევისათვის გათვალისწინებულია ბამბის სათესი ადგილებისა და ბაღების დიდად გაფართოება, ხოლო ამასთან დაკავშირებით გადამუშავებელი მრეწველობის—კონიაკის, საკონსერვო და საფეიქრო მრეწველობის განვითარება. საფეიქრო მრეწველობას ხუთი წლის დამლევისათვის ექნება 100.000 ჯარა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების დარგში თვალსაჩინო როლს შეასრულებს შაქრის ქარხნის აგება და ტყავეულობის ქარხნების გაფართოება.

მომხსენებელი გადავიდა სამთო მრეწველობაზე და აღნიშნა—პირველ რიგში საჭიროა შევისწავლოთ სპილენძის მარაგი—ახალი ბუდეები, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სპილენძის მრეწველობას, რომელმაც ომის წინდროინდელი პროდუქციის მხოლოდ 42 პროცენტს მიაღწია, თუმცა ამ საქმეზე დაბანდებულ 6 ნახევარი მილიონი მანეთი.

„ჩვენ შევეცდებით,—ამბობს მომხსენებელი,—სპილენძის ამოღება 1932-33 წლისათვის გავადიდოთ 7.600 ტონამდე; ამისათვის საჭიროა სპილენძის მრეწველობის მთელი საქმის რეკონსტრუქცია და 15 მილ. მან. დაბანდება.

შემდეგ ამხ. ტერ-გაბრიელიანი ამბობს, რომ საამშენებლო მასალების დარგში არსად მთელ საბჭოთა კავშირში არ არის იმდენი სიმდიდრენი, როგორიც სომხეთში.

„ჩვენ უნდა გავამართლოთ ის იმედები, რომლებსაც ჩვენზე ამყარებს კავშირის მთელი მრეწველობა. უკვე დაიწყო ლენინაკან-არტიკის რკინის გზის გაყვანა, რომელიც დამთავრებულ იქნება მიმდინარე წელს. ამ რკინის გზის საშუალებით ჩვენ შევძლებთ 250.000 კუბომეტრი ტუფის ამოღებას ამ წელში".

მომხსენებელი დაწვრილებით ახასიათებს არტიკის ტუფის და პემზის, როგორც საამშენებლო მასალების, მარაგს და ხარისხს და აღნიშნავს, რომ ხუთი წლის განმავლობაში საკავშირო გეოლოგიური კომიტეტი დეტალურად გამოიკვლევს ამ მადნებს ნორ-ბაიაზეთის მაზრის მთებში. ხუთი წლის ბოლოს დავალუში აგებული იქნება ცემენტის ქარხანა. მრეწველობის კაპიტალური ხარჯები ხუთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 88 მილიონი მანეთის რაოდენობით.

საბინაო მშენებლობისა და კულტურული მშენებლობისათვის გადადებულია 10 მილიონი მანეთი.

ამხ. ტერ-გაბრიელიანი შემდეგ ეხება ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობებს მრეწველობაში და აღნიშნავს, რომ ეს პირობები მეტად მძიმეა. მუშების კულტურული ჩამორჩენილობა და შრომის დისციპლინის დარღვევა ცუდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. მთელ რიგ წარმოებებში განზრახულია შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. რაც შეეხება საბინაო პირობებს, „მხოლოდ ხუთი წლის ბოლოს გვექნება საშუალება საბინაო ფართობით დავაკმაყოფილოთ სომხეთის მუშების მხოლოდ 55 პროც. მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი სომხეთის მრეწველობაში ყოველ წლობით იზრდება; 1932-33 წელში მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი მიაღწევს 92.642-მდე, მაშინ, როდესაც 1927-28 წელში იგი უდრიდა 48.818-ს".

მომხსენებელი ეხება რეკონსტრუქციის ამოცანებს შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში და აღნიშნავს, რომ მთავარი ამოცანებია: მემალაროეთა სამუშაო ხელფასის გადიდება, გადამწყვეტი ბრძოლა სამუშაოს გაცდენასთან, ნებდელებთან და საათობის ხარჯებთან, სწორი ანგარიში, ნორმალური ურთიერთობის შექმნა ტექნიკურ პერსონალთან, ფრთხილი მოპყრობა სპეცების მიმართ, დიდი ყურადღების მიქცევა საწარმოო თათბირებისადმი.

ეხება რა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, მომხსენებელი აღნიშნავს ტექნიკურ ჩამორჩენილობას და გლეხობის უკულტურობას. სოფლის მეურნეობაში ხუთი წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნება 2,5 მილიონი მანეთი, რის შედეგადაც საგრძნობი პროგრესი. მაგრამ ეს არ არის საკმაო, საჭიროა კაპიტალური ხარჯების გადიდება სოფლის მეურნეობაში, რათა მოვახდინოთ მესაქონლეობის სრული რეკონსტრუქცია და გავადიდოთ მთელი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა. მორიგ ამოცანებს სოფლის მეურნეობის დარგში შეადგენს ზომების მიღება ორმინდვრიანი სისტემის ლიკვიდაციისათვის, გადამწყვეტი ბრძოლა კულაკებთან და სხვ.

„ხუთი წლის ბოლოს,—ამბობს მომხსენებელი,—მარცვლეულის ნათესი სივრცე 1913 წელთან შედარებით გადიდებული იქნება 25,7 პროცენტით, ხოლო ტექნიკური კულტურების 150—220 პროცენტით.

ამხ. ტერ-გაბრიელიანი შეეხო სარიგაციო სამუშაოებს და აღნიშნა, რომ ხუთი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს მუშაობა მცირე სარდარაბადის არხის გასაყვანად. დასმულია წყალთა მეურნეობის კოდექსის შემოღების საკითხი. ირიგაციისათვის ხუთწლიანი გეგმით გადადებულია 29 მილიონი მან. (ადს).

უერთდებიან პროფინტერნის მეოთხე კონგრესის დადგენილებებს

სტოკჰოლმი, 27 იანვარი. დასრულდა პროფკავშირების კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო „მრეწველობაში მშვიდობიანობის" კამპანიის წინააღმდეგ საბრძოლველად და პროფკავშირების მთლიანობისათვის ორგანიზაციული მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ შვეციის პროფმთლიანობის მოძრაობა უერთდება პროფინტერნის მე-4 კონგრესის დადგენილებებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის პროფმთლიანობასთან თანამშრომლობის საკითხს. კონფერენციაზე ცალკე რეზოლუციაა მიღებული ომიანობის საშიშროების შესახებ.

კონფერენციამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი.

„აზნევთის" ბათომის მშენებლობის გამოკვლევის შედეგები

მოსკოვი 28 იანვარი. სამრეწველო ბანკის გამგეობამ მოისმინა ბანკის ინსპექტორის მოხსენება, რომელმაც გამოიკვლია აზნევთის ბათომის მშენებლობა. გამგეობამ დაადგინა: მიუთითოს „გლავგორტოპს", რომ საჭირო არ არის მეორე ზეთის საწმენდი განყოფილება და საკუთარი სათბობი ელექტრო სადგური, რადგან ჯერ ერთი მშენებლობას აძვირებენ, და, მეორე—ენერგიის მიღება მომავალში შესაძლებელი იქნება აჭარის წყლის ჰიდრო-სადგურიდან. სამრეწველო ბანკმა საჭიროდ მიიჩნია უცხოეთის ფირმებთან მოლაპარაკების დაჩქარება საჭირო საგნების მიღების შესახებ (ადს).

მიწადმოწყობის და მიწადმოქმედების მუშაკთა თათბირი

პირველი დღე

კვირას, 27 იანვარს, სახალხო წითელ დარბაზში გაიხსნა მიწადმოწყობის და მიწადმოქმედების მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი, რომელსაც ესწრებიან საქ. ავტონომიური რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახკომისარიატების წარმომადგენლები, სამაზრო აღმასკომების მიწადმოქმედების განყოფილებების გამგეები, სამაზრო აგრონომები, ყველა მაზრების მიწადმომწყობნი და მიწის მზომელნი.

თათბირი გახსნა მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ჯუღელმა, რომელმაც თათბირის მუშაობას შემდეგი სიტყვა წარუმძღვარა.

ამხ. ს. ჯუღელის სიტყვა

— მიწადმოქმედების სახკომისარიატმა მოიწვია თათბირი იმ მიზნით, რომ ადგილობრივ მუშაკებთან ერთად განვიხილოთ და გადავწყვიტოთ ფრიად ძნელი და მნიშვნელოვანი საკითხები. სასოფლო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება უზრუნველყოფილი იქნება, თუ ჩვენ შევქმნით ნამდვილ მტკიცე კავშირს ცენტრსა და ადგილობრივ მუშაკებს შორის. დღემდე ცოცხალი კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან სუსტი იყო, ის ყურადღება, რომელსაც აქცევს პარტია და ხელისუფლება სასოფლო მეურნეობას ამჟამად, გვავალებს გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ საქმიანი ურთიერთობა ცენტრსა და ადგილებს შორის, გავაძლიეროთ ადგილობრივ მუშაკთა უშუალო მონაწილეობა იმ საჭიროებათა საკითხების გადაჭრაში, რომლებიც ეხება ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას, ამას გვავალებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის წარმოებული მუშაობა, ინდუსტრიალიზაციის განვითარება ემყარება ნედლ მასალას, რომელსაც უმთავრესად იძლევა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებს დიდი ადგილი უკავია აგრეთვე ჩვენს ექსპორტში. იგივე მეურნეობა არის ქალაქებისათვის სურსათის მომარაგების მთავარი წყარო. ცხადია, ინდუსტრიის განვითარება წარმოუდგენელია, თუ ფეხზე არ დავაყენეთ ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომელიც დღევანდელი თავისი სახით ვერ მოგვცემს იმას, რასაც მისგან მოვითხოვთ. ჩვენი მეურნეობის წინსვლისათვის აუცილებელია მისი რეკონსტრუქცია, რაც მეტად მძიმე და რთული საქმეა. ამ საკითხის გადაჭრა ჩვენგან დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას მოითხოვს. თუ ჩვენ რეკონსტრუქცია ისე არ მოვახდინეთ, რომ გლეხმა ვერ დაინახა მისი დადებითი მხარეები, დავკარგავთ ავტორიტეტს და დიდხანს შევაჩერებთ დასახული მიზნების ცხოვრებაში გატარებას. მით უმეტეს გვმართებს შეთანხმებული მუშაობა იმ მუშაკებთან, რომელნიც წლობით მუშაობენ სოფლად და რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება.

თათბირის წინაშე სდგას სამი დიდი საკითხი. პირველია მიწადმოწყობის და მიწადსარგებლობის საკითხი, რომელიც ერთი მნიშვნელოვანთაგანია. თუ ჩვენ არ გამოვიმუშავეთ მიწადმოწყობის ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ სოფლად სოციალისტური სექტორი, მოვაწყოთ კოლმეურნეობები და სხვა, ჩვენ ვერ გავატარებთ პარტიისა და ხელისუფლების მიერ მოცემულ დირექტივებს. მიწადმოწყობის არსებული სისტემა ჩვენს ძირითად მიზანს არ უწყობს ხელს. დღემდე ჩვენ მოწყობილი გვაქვს ყველა ჩვენი მიწების 26,7 პროცენტი, აქედან მოწყობილად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის მიწები, რომელთა მოწყობა ჩატარდა 1927 წელს. ჩვენ ძირიან-ფესვიანად უნდა შევცვალოთ ეს სისტემა, რომ საშუალება მოგვეცეს დავაჩქაროთ მიწადმოწყობა და მით ხელი შევუწყოთ სოციალისტური ელემენტების გაძლიერებას სოფლად.

მეორე საკითხი—მოსავლიანობის გადიდება—არა ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ მას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ჩვენ გვაქვს დირექტივა, თუ რამდენი პროცენტით უნდა ავსწიოთ მოსავლიანობა და რამდენი პროცენტით უნდა გავაფართოვოთ ნათესები. ამ დირექტივის გატარება თხოულობს დიდ დაკვირვებას და ენერგიას. ამ დირექტივის გატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმატებით ჩავატარებთ ჩვენ საგაზაფხულო თესვის კამპანიას. ეს მესამე თესვის კამპანია არის საქართველოში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი ორი კამპანია ჩატარდა უხეიროდ, ამაში დამნაშავეა, როგორც ცენტრი, ისე ადგილობრივი ამხანაგები, რადგან ამ საკითხს ისეთ მნიშვნელობას არ ვაძლევდით, როგორსაც იგი მოითხოვს. ამ თათბირზე გამორკვეული უნდა იქნეს ის შეცდომები და დეფექტები, რომლებთაც დააბრკოლეს ორი პირველი კამპანია, ამხანაგებმა უნდა ისარგებლონ წარსული გამოცდილებით, რომელიც საფუძვლად უნდა დაუდვან ჩვენი მუშაობის გამოსწორებას. ჩვენი თხოვნა ყველა აქ მოსულ ამხანაგებისადმი—მიიღონ უშუალო და მხურვალე მონაწილეობა ყველა ამ საკითხების გაშუქებაში; მათ მიერ მოწოდებული ცნობები და გულახდილად აღნიშნული ნაკლოვანებანი იქნება საუკეთესო მასალა იმისათვის, რომ გამოვიმუშაოთ სწორი გზა ჩვენი თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხების მიზანშეწონილი გადაჭრისა და მათი ცხოვრებაში გატარებისათვის.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

— ამხანაგებო, ეს თათბირი შესდგება სოფლის მეურნეობის იმ მუშაკებისაგან, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან სასოფლო მეურნეობასთან, როგორც აგრონომები, მიწადმომწყობნი, საადგილმამულო განყოფილებების, საკრედიტო ამხ.-ბების ხელმძღვანელნი და სხვ. ეს ამხანაგები წარმოადგენენ იმ არმიას, რომელიც მუშაობს, იბრძვის სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის. თათბირის წინაშე წამოჭრილი საკითხები, თქვენგან მოითხოვს იმ გამოცდილების და პრაქტიკის გამოყენებას, რომელიც აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებსაც, განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთს. მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის საკითხი ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში დღემდე არ არის გატარებული, ამ უკანასკნელ ხანებში გამოიცა საკავშირო ცაკის ახალი კანონი—მიწადსარგებლობის მთავარი დებულებანი; იგი წარმოადგენს, ყველა იმ მუშაობის ჯამს, რომელიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში წარმოებულა უკანასკნელ დროში.

მიწადმოწყობა და მიწადსარგებლობა წარმოადგენს მიწის კოდექსის მთავარ დებულებას, თქვენ იცნობთ ჩვენი მიწის კოდექსს. როცა თქვენ ამ კოდექსის განხილვას შეუდგებით, არ უნდა დაივიწყოთ, თუ ჩვენი განვითარების რომელ საფეხურზედ წარმოიშვა და მიღებულ იქნა იგი. ამ კოდექსში გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის პირველი პერიოდი. ეს ის დრო იყო, რომელიც თხოულობდა ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენას ომის წინანდელ დონემდე. ეს ის ხანა იყო, როცა ჩვენში არ არსებობდა გარდა კერძო ინდივიდუალური მეურნეობისა მიწადსარგებლობის სხვა ფორმები. საბჭოთა ხელისუფლება უნდა დაეყრდნობოდა მას, რაც სინამდვილეში არსებობდა. სოფლის მეურნეობის აღდგენის ეტაპი ჩვენ უკვე განვლეთ. ამის შემდეგ წარმოიშვა საკითხი, თუ რა გზით უნდა წავიდეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება. ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის არსებული დონე ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, მეორე მხრივ მისი განვითარება უნდა შეუთანხმდეს ქალაქის მრეწველობის განვითარებას, რომ მათ შორის გათიშვა არ მოხდეს. აქედან აშკარაა, სოფლის მეურნეობა უნდა დაადგეს იმავე გზას, რომელზედაც სდგას ქალაქის მრეწველობა, ე. ი. სოციალისტურ გზას. დაქუცმაცებული კერძო ინდივიდუალური მეურნეობები ამ გზით სიარულს ვერ შესძლებენ, ეს ყველასათვის აშკარაა. ამავე დროს ჩვენი მიწის კოდექსი უკვე არ შეესაბამება იმ გზას, რომელზედაც ჩვენ უნდა გადავიყვანოთ სოფლის მეურნეობა, ცხოვრებამ უარყო ეს კოდექსი და გვკარნახა შევქმნათ ახალი, რომელიც დაექვემდებარება ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ განვითარების ტენდენციებს.

სოფლის მეურნეობისათვის სოციალისტურ გზაზე გადასვლა ადვილი არ არის, იგი თხოულობს ხანგრძლივ მუშაობას, ხელის შეწყობას. ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში ჩვენ იძულებული ვიქნებით საქმე დავიჭიროთ ცალკე მეურნეობებთან. ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დაქუცმაცებულ მეურნეობათა გადასვლას სოციალისტურ საფეხურზე. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ჩვენი სამომხმარებლო და სას.-სამ. საკრედიტო კოოპერაციის სისტემები აწარმოებენ ცალკე მეურნეობათა შეკავშირებას. შემდეგი საფეხურები არის უფრო რთული შეკავშირების ფორმები, კოლექტივები, კომუნები და სხვ. ჯერ-ჯერობით გლეხი უნდა შევაჩვიოთ მარტივ კოოპერატიულ შეკავშირებას, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველა ის სახსრები, რომლებიც ჩვენ მოგვეხმარება. ჯერ-ჯერობით ჩვენ გლეხობისათვის მისაწვდომი უნდა გავხადოთ კრედიტები, მუშა-საქონელი, სას.-სამ. იარაღები, ტრაქტორები და ამ სახსრების მიწოდების და მოხმარების გარშემო შევაკავშიროთ სოფლის ღარიბი და საშუალო შეძლების მოსახლეობა. თქმა ამისა, რომ დღეიდან ვძლიოთ ინდივიდუალურ მეურნეობას, შეუძლებელია. თქვენ კარგად იცით, თუ რა მაგრად არის გამჯდარი გლეხში მესაკუთრის ფსიხოლოგია, რომლის გარდაქმნა შეიძლება ზომიერწონილ ზომების თანდათანობით გატარებით. ყოველივე ამას უნდა ითვალისწინებდეს მიწის კოდექსი, რომელიც უნდა შესწორდეს იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომლებსაც ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა გვკარნახობს. დღევანდელ თათბირს ექნება დიდი მნიშვნელობა თვით ამ კოდექსის საბოლოოდ დამუშავებისათვის. აქ გამოთქმული შენიშვნები, დაკვირვებანი მიღებული იქნება მხედველობაში, მათ ანგარიში გაეწევა კოდექსის შედგენის დროს. ამ მიზნით არის მოწვეული დღევანდელი თათბირი. საჭიროა მხოლოდ ამ თათბირზე ადგილი ექნეს რაც შეიძლება ფართო კრიტიკას და თვითკრიტიკას, ყველა ამხანაგებმა უნდა გამოსთქვან ბოლომდის თავისი აზრი, დაკვირვება. საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ არაფერი არ იქნეს თქვენგან დაფარული, მე მოგიწოდებთ ამ კრიტიკისა და თვითკრიტიკისაკენ, ღრმად დარწმუნებული, რომ ადგილი არ ექნება აზრის გამოთქმას, შეფარდებით იმისა, თუ ვის რა ესიამოვნება, (ტაში).

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საბჭოთა რუსეთის მიწსახკომის სამიწათმოწყობო განყოფილების გამგეს ამხ. გენძეხაძეს.

მიწათმოწყობისა და მიწის სარგებლობის საკითხები

მომხსენებელი ამხ. გენძეხაძე

ჩემი მოხსენება,—ამბობს ამხ. გენძეხაძე შეეხება მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საკითხებს, მე ვილაპარაკებ იმაზე, რაც ჩემის აზრით, უნდა გაკეთდეს ამ დარგში. გზა და გზა შევეხები არსებულ მდგომარეობასაც. ამ თათბირზე მე გამოვდივარ არა როგორც საბჭოთა რუსეთის მიწსახკომის მუშაკი, არამედ როგორც მიწათმოწყობის სპეციალისტი, რომლის მოხსენებასაც ექნება კონსულტაციის ხასიათი.

მე შევეხები მიწათმოწყობისა და სარგებლობის მხოლოდ ძირითად მომენტებს და წამოვაყენებ იმ საკითხებს, რომლებსაც ხაზი უნდა გაესვას საქ. მიწათმოქმედების სახკომისარიატის შემდგომ მუშაობაში.

მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საკითხების განხილვა არ შეიძლება სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხებთან დაუკავშირებლად. თუ სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხებსა და მიწათსარგებლობის ფორმებს შორის დარღვეულია კავშირი სასოფლო მეურნეობის განვითარება შეფერხებულია, ამიტომ ჩემი მოხსენების ძირითად თემას შევეხები სასოფლო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.

სასოფლო-მეურნეობის განვითარების სამი ეტაპი

რევოლუციის შემდეგ სასოფლო მეურნეობამ სამი პერიოდი განვლო. პირველი პერიოდი—ეს არის სასოფლო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დარღვევისა და ლიკვიდაციის პერიოდი; მეორე პერიოდი—არის სასოფლო მეურნეობის აღდგენის პერიოდი. მესამე პერიოდი—ეს ის პერიოდია, როცა ჩვენ მივაღწიეთ სოფლის მეურნეობის ომის წინანდელ დონეს და შევუდექით სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციას, მის საფუძვლიან გარდაქმნას იმ მიზნით, რომ შევქმნათ პირობები სოფლად სოციალისტური ელემენტების გაძლიერებისათვის.

თუ ჩვენ განვიხილავთ საბჭოთა მიწის კანონმდებლობას, დავინახავთ სრულ შეთანხმებას სოფლის მეურნეობის განვითარების ეტაპებსა და ამ კანონმდებლობის განვითარების ეტაპებს შორის. ავიღოთ მაგ. პირველი პერიოდი—ძველი კაპიტალისტური მიწათმფლობელობის სისტემის ლიკვიდაციის პერიოდი. ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ღონისძიებანი ამ პერიოდში მიზნად ისახავს მიწათსარგებლობის ძველი ფორმების, არაშრომითი და ნახევრად შრომითი მიწათმფლობელობის ფორმების მოსპობას. იგივე ითქმის მეორე პერიოდზე. ამ პერიოდშიაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მიერ გატარებული ღონისძიებები მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის დარგში შეესაბამებოდა სასოფლო მეურნეობის აღსადგენად გატარებულ ღონისძიებებს. ამ პერიოდში მიწის კოდექსები მუშავდებოდა ისეთი პირობების შექმნის თვალსაზრისით რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სოფლის მეურნეობის უმტკივნეულო აღორძინებას, მის აღდგენას რევოლუციის წინ არსებულ დონემდე. ამ ხანებში ყველა კოდექსების მთავარი მიზანი იყო არაშრომითი და ნახევრად შრომითი მიწათსარგებლობის ლიკვიდაციის შემდეგ წარმოშობილი მიწათსარგებლობის დაცვა, ამიტომ ყველა რესპუბლიკების და, მათ შორის, საქართველოს მიწის კოდექსში აღიარებულია მიწათსარგებლობის ფორმის თავისუფალი არჩევა.

მიწის კანონთა კოდექსის შესწორების აუცილებლობა

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, მისი რეორგანიზაციის პერიოდში რასაკვირველია არ შეიძლება დარჩეს მიწათმოწყობა და მიწათსარგებლობა იმ მდგომარეობაში, რომელსაც გულისხმობს სასოფლო მეურნეობის აღდგენის პერიოდში წარმოშობილი მიწის კოდექსი. რადგან რეკონსტრუქციის პერიოდი ითვალისწინებს მეურნეობის ფორმების ძირეულ რეორგანიზაციას და მიწის სარგებლობის ფორმების სათანადო შეცვლას.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, საკავშირო ცაკის მიერ დამტკიცებული დეკრეტი, რომელიც განსაზღვრავს იმ ძირითად ხაზს, რომლის მიხედვით უნდა გადაწყდეს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში, თუ თქვენ ამ კანონს განიხილავთ დაინახავთ, რომ ამ დეკრეტის მიზანია ისეთი პირობების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირებას.

რომ ეს ძირითადი ხაზი დაცული იყოს საქართველოს მიწის კოდექსში, რასაკვირველია, საჭირო არ იქნებოდა მისი საფუძვლიანი შეცვლა, მაგრამ საქართველოს მიწის კოდექსი შედგენილია სასოფლო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, და ამიტომ გამოხატავს მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ისეთ ფორმებს, რომლებიც სახ. მეურნეობის აღდგენის პერიოდს შეესაბამებოდნენ.

ამ პერიოდში არსებობდა მიწათსარგებლობის შემდეგი ფორმები: საზოგადოებრივი, ნაჭრობითი და საამხანაგო. საქართველოში კერძოდ, გავრცელებული იყო მიწათსარგებლობის ნაჭრობითი ფორმა; თუმცა კოდექსით აღიარებულია ყველა ფორმები მაგრამ საქ. მიწის კოდექსი შემუშავებულია სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ დაცულ იქნეს მიწათსარგებლობის ნაჭრობითი ფორმა, კერძოდ მიწის ნაჭრების მეპატრონეთა ინტერესები. იგივე კოდექსი ნაკლებად ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომელნიც მიმართულია მიწათსარგებლობის ამ ფორმის შეცვლისაკენ და სხვა საზოგადოებრივი ფორმების შემოღებისაკენ. პირიქით, კოდექსში არის მუხლები, რომელიც აბრკოლებს ასეთი ფორმების შექმნას.

თუ მიწათსარგებლობის ნორმებს განვიხილავთ დავინახავთ, რომ კოდექსი ითვალისწინებს ნორმებს ცალკე კომლის მიხედვით, ნორმებს მიწათსარგებლობის ხარვეზობითი ფორმასთან შეფარდებით. სამიწათმოწყობო მუშაობაც მიმართული იყო სწორედ ამ ხარვეზობითი ფორმის განმტკიცებისაკენ. თვით საპერსპექტივო გეგმაც მიწათმოწყობას ითვალისწინებს ცალკე კომლების მიხედვით. ცხადია, დღეს არსებული კოდექსის ძირითადი მუხლების უცვლელად დატოვება არ შეეფარება იმ ამოცანებს, რომელსაც აყენებს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი სოციალისტურად გარდაქმნის საჭიროება.

შემდეგ, ამჟამად მოქმედი მიწის კოდექსი არ გულისხმობს ისეთ ორგანოს რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს გლეხობაში მიდრეკილებას საერთო მუშაობისაკენ, მისწრაფებას გაერთიანებული მშენებლობისაკენ. არსებულ კანონმდებლობაში სოფელი წარმოდგენილია, როგორც განცალკევებული გლეხური მეურნეობანი, რომელთაც არაფერი საერთო აქვთ მეურნეობის წარმოების საკითხებში.

ამჟამად საქართველოს სოფელში არ არსებობს ისეთი სამიწათმოქმედო ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებდა ამ დაქსაქსულ ცალკე გლეხურ მეურნეობებს. მიწით მოსარგებლენი, რომლებთაც საქმე აქვს მიწის მესაკუთრეს—სახელმწიფოსთან, წარმოადგენენ ცალკე გლეხურ მეურნეობას. მთლიანად სოფელს კი არ მოეპოვება ორგანო, რომელიც შეაჩვევდა მას კოოპერატიულ ცხოვრებას, გააძლიერებდა სოციალისტურ ტენდენციებს. სხვა რესპუბლიკებში ასეთი სამიწათმოქმედო კოოპერატიული ორგანოები არსებობენ, ისინი არიან მიწის უშუალო მოსარგებლენი, რომლებთანაც საქმე აქვს სახელმწიფოს.

შემდეგი ნაკლი, რომელიც ახასიათებს მიწათსარგებლობას საქართველოში და რომელიც დაცულია კოდექსში არის საქართველოში მეტის მეტად გავრცელებული მიწის ხარვეზობა, ზოგიერთ ადგილებში ცალკე მეურნეობაში მიწის ნაჭრების რაოდენობა აღწევს 60-ს, საშუალოდ კი 15—20 ნაჭერს.

მიწის ხარვეზობა ჩვენში

მიწის ნაჭრების ასე დატოვება, ნიშნავს ცალკე მეურნეობების ხელში მყოფ დაქუცმაცებულ მიწის ნაჭრების ხელშეუხებლობას. აშკარაა, ასეთ დაქუცმაცებულ ნაჭრებზე არავითარი ღონისძიების გატარება, მიწის დამუშავების გასაუმჯობესებლად, გლეხთა შეუთანხმებლად არ შეიძლება.

შემდეგი ნაკლი, რომელიც მიწათსარგებლობას ახასიათებს, არის მიწების სიშორე დასახლებულ რაიონებიდან და სოფლებს შორის არსებული ხარვეზობა. მართალია, მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს ამ ნაკლის გამოსწორების აუცილებლობას მაგრამ ნაჭრების გაერთიანება დამოკიდებულია მიწით მოსარგებლეების თანხმობაზე. კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს მიწათმოქმედების ორგანოს ებრძოლოს ამ ნაკლს იმ შემთხვევაში, როცა ამის შესახებ გლეხობის ერთი ნაწილის თანხმობა არ არსებობს.

კიდევ უფრო მეტ დაბრკოლებას ვხვდებით, როცა საკითხი მრავალკომლიან სოფლების განტვირთვას ეხება. ასეთ პირობებში, შეუძლებელია არა თუ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გატარება, არამედ მეურნეობის წესიერი წარმოება. ასეთ პირობებში შეუძლებელია ახალი კულტურების—ახალი თესვის ბრუნვის შემოღება, რადგან ეს მოითხოვს დიდძალ შრომას.

კოდექსით არც მიწათსარგებლობის ნორმებია არის მიზანშეწონილად მოწესრიგებული თვითეული ტერიტორიისათვის კოდექსით გამომუშავებულია ნორმები მიწის ღირსების მიხედვით. მაგრამ თვით ტერიტორიის დაყოფა სასოფლო სამეურნეო რაიონებად, გატარებულია უხეშად. მაგალითად, ქალაქ თბილისი შედის იმ ოთხ რაიონში, რომელსაც გულისხმობს მიწის კოდექსი. ასეთი მსხვილი ცენტრის არსებობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს მის გარშემო სპეციალური სასოფლო სამეურნეო რაიონის წარმოშობა.

ამგვარად, არსებული კოდექსი არ ქმნის ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კოლექტიური მშენებლობისათვის. როგორც ვსთქვით, მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის ფორმებზე დამოკიდებულია სასოფლო მეურნეობის ფორმები, და, მაშასადამე, მიწათმოწყობა უნდა სწარმოებდეს ისე, რომ იგი წინასწარ ქმნიდეს ნიადაგს მეურნეობის სათანადო ფორმებისათვის.

გარდა ამისა საქართველოს პირობებში მიწების ორგანიზაციის დროს გვერდს ვერ აუხვევთ წყლით სარგებლობის საკითხებს. მთელი რიგი რაიონები საჭიროებენ არა დიდ არხებს მოსარწყავად, არამედ მარტივ მელიორატიულ ღონისძიებებს,—ჭაობიან ადგილების ამოსაშრობად, და ზოგიერთი რაიონების წყლით უზრუნველსაყოფად. ეს საკითხი უნდა დავუკავშიროთ მიწადმოწყობას. დღემდე საქ. მიწადმოქმედების კომისარიატთან არ ყოფილა ორგანო, რომელიც მიზნად დაისახავდა მელიორაციის საკითხების მოგვარებას.

საადგილ-მამულო საზოგადოებები

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მიწადმოწყობა და მიწადსარგებლობა შეესაბამებოდეს ამოცანებს, რომელსაც სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია აყენებს?—პირველ ყოვლისა, სოფლად უნდა მოვაწყოთ ისეთი ორგანო, რომელიც საქართველოს გლეხკაცობაში წარმოშობდა და განავითარებდა მიწის საერთო ძალით, საერთო შრომით დამუშავების ინტერესს, გლეხობაში უნდა შეიჭრას ის შეგნება, რომ მიწით მოსარგებლე არის არა ცალკე, ინდივიდუალური მეურნეობა, არამედ ამ მეურნეობათა კავშირი, მათი გაერთიანება. მიწაზე უფლების მქონე სუბიექტად უნდა გამოვაცხადოთ ცალკე კომლთა შენაერთი, რომელსაც უნდა მიენიჭოს მიწის სარგებლობის საკითხების მოწესრიგების უფლება თვითეულ სოფლის შიგნით. ამ ახალ ორგანოს უნდა დაეკისროს კომლობრივი მიწადსარგებლობის, წყლით სარგებლობის და აგრეთვე ყველა იმ საკითხების მოწესრიგების უფლება, რომელიც დაკავშირებულია თესლის ბრუნვის, მრავალ მინდვრიან სისტემის შემოღებასთან. ერთი სიტყვით ეს უნდა იქნეს ორგანო, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს სამეურნეო ხასიათის საკითხები, რომელიც ეხებიან თითქმის სოფლის ყველა მცხოვრებთა სამეურნეო ინტერესებს. ასეთი ორგანოს საშუალებით ხელისუფლებას შეუძლია ადვილად გაატაროს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის გამომუშავებული მთელი რიგი ღონისძიებები.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ასეთი ორგანოს შექმნა არ არის საჭირო, რადგან ამისათვის არსებობს სათემო საბჭოს სასოფლო სამეურნეო სექცია. მაგრამ სექცია ამ ფუნქციებს ვერ შეასრულებს, რადგან სექციის ხელმძღვანელობას მრავალფეროვანი ხასიათი აქვს და იმ საკითხებს, რომელთა მოწესრიგება ახალ ორგანოს უნდა დაეკისროს, იგი თავის განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ შეაჩერებს. სასოფლო საბჭოს შეუძლია მხოლოდ ერთგვარი მეთვალყურეობა აწარმოოს ამ ახალი ორგანოს მუშაობაზე. საბჭომ თვალყური უნდა ადევნოს იმას, თუ რამდენად კანონიერად გაატარებს ახალი ორგანო სხვადასხვა ღონისძიებებს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ ორგანოს მოწყობა შექმნის პარალელიზმს სასოფლო-სამეურნეო სექციისა და ამ ახალი ორგანოს მუშაობაში. ფუნქციების სწორი გამიჯვნა და ამ ორგანოს შორის ურთიერთობის სისწორით განსაზღვრა თავიდან აგვაშორებს ასეთ პარალელიზმს.

ერთი სიტყვით, ასეთი ორგანოს შექმნა, სადაც გასაქანი მიეცემა გლეხობის თვითმოქმედებას, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

მიწების გადაყოფა-გათანაბრება სოფლობრივ

ამ ორგანოში კოოპერატიულად გაერთიანებულ მეკომურთა კრებას უნდა მიეცეს იმ მეკომურთა მიწების გადაყოფის-განაწილების უფლება, რომელნიც ამ გაერთიანებაში შედიან.

რა შედეგს მივიღებთ აქედან? პირველყოვლისა, ადვილად განვთავისუფლებთ თავს მიწადსარგებლობაში იმ მემკვიდრეობიდან, რომელიც ფეოდალური წესწყობილებიდან დაგვრჩა; შესაძლებელი გახდება დაქუცმაცებულ მიწის ნაჭრების გაერთიანება, გამსხვილება. ამ ორგანოს საშუალებით, უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნება თესლის ბრუნვის შემოღება. ამისათვის საჭირო იქნება მხოლოდ დარაზმვა აქტიური გლეხობისა, რომელიც გაიყოლიებს სოფლის დანარჩენ მოსახლეობას, მიწის ასეთი გადაყოფის დროს გაადვილდება ღარიბი და შეუძლებელი გლეხობის კლასიური ინტერესების დაცვა.

მიწის გადაყოფა ისე უნდა მოხდეს, რომ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხებს, რომელთაც კოოპერატიული შეკავშირების სურვილი დაებადებათ, ადვილად შეეძლოთ მიწების გაერთიანება, მიწის ნაჭრების განაწილების დროს თვითეული მეურნეობისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთი უნდა უზრუნველყოფდეს ნორმას, რომ გლეხის მეურნეობას განვითარების საშუალება მიეცეს, თუ კი გლეხს ისე მცირე მიწა მიეცემა, რომ იგი ვერ შესძლებს მეურნეობის წარმოებას, მაშინ მას ასეთი გადაყოფა დაღუპავს. ის ციფრები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ამტკიცებენ, რომ მიწის ფონდი საკმარისია იმისათვის, რომ გლეხმა მიიღოს საკმაო ნორმა თავის მეურნეობის საწარმოებლად. საშუალოდ, მთელს საქართველოში, თვითეულ კომლზე სახლახობით მოდის 5,6 ჰექტარი, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში 8,1 ჰექტარი, დასავლეთ საქართველოში 3,1 ჰექტარი. აღმოსავლეთ საქართველოში, მიწით სარგებლობის ნორმა აღემატება პირველი და მეორე კატეგორიით დაწესებულ ნორმას, დასავლეთ საქართველოში კი მდგომარეობა უარესია: იგი აღემატება მხოლოდ პირველი კატეგორიით დაწესებულ ნორმას.

თუ მიწების გადაყოფას გავატარებთ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში, მაშინ მიწადსარგებლობას გავანთავისუფლებთ ხარვეზობისაგან, გავატარებთ კლასიურ ხაზს სოფლად და ამავე დროს არც მიწადსარგებლობას შევამცირებთ იმდენად, რომ ამან გავლენა იქონიოს გლეხის მეურნეობის განვითარებაზე. დასავლეთ საქართველოში ამ ღონისძიების გატარება შეიძლება მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც პირველი კატეგორიის მიწებია.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის 1927 წლის ცნობებით საქართველოში მოსახლეობის 33 პროცენტს აქვს მიწა 4-დან 7 დესიატინამდე. მაშასადამე, მიწის გადაყოფით ნორმა შეუმცირდებათ მოსახლეობის მხოლოდ ⅓-ს, რომლის ხარჯზეც მიწის სივრცე გაუდიდდება დანარჩენ ჯგუფებს—67 პროცენტს, ე. ი. ამ გადაყოფით მოიგებს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

მიწათსარგებლობის ნორმები და ფორმები

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოდექსით სასოფლო - სამეურნეო რაიონები და მიწადსარგებლობის ნორმები საკმაოდ არ არის დიფერენციაციაქმნილი. ჩაის კულტურის რაიონში ყოვლად მიუღებელია ის ნორმები, რომლებიც კოდექსით არის დაწესებული. ამ რაიონში მიწის სარგებლობის ნორმები უნდა გამომუშავდეს არა მარტო ამ რაიონების სპეციფიური პირობების მიხედვით, არამედ იმ ცვლილებების მიხედვითაც, რომელსაც რეკონსტრუქციის გატარების შემდეგ არის მოსალოდნელი. კოდექსით დაწესებული მიწის-სარგებლობის ნორმები მხოლოდ დაახლოებითია, ის მოითხოვს უფრო სისწორით დამუშავებას. ყოველ რაიონში აგრონომმა, ეკონომისტმა და მიწის მომწყობმა მუშაობის პროცესში უნდა შეიმუშაონ ნორმები ცალკე სოფლებისათვის, თუ სოფელს აღმოაჩნდება ნორმაზე მეტი მიწის ნაჭერი, იგი მას შეიძლება ჩამოერთვას; მაგრამ დაწესებულ ნორმის ფარგლებში ყოველ კომლს უნდა მიეცეს მიწის ნაკვეთი.

მიწადსარგებლობის ფორმების არჩევის უფლება უნდა მიეცეს მოსახლეობას, მოსახლეობა უნდა იქნეს უფლებამოსილი მიწის სარგებლობის საზოგადოებრივი ფორმა დაიწესოს ხანგრძლივი ვადით, იმ მიზნით, რომ სასოფლო მეურნეობა არ დაზარალდეს, მისი განვითარება არ დაბრკოლდეს. ზოგიერთი ამხანაგი შიშობს, თუ მიწადსარგებლობის საკითხების მოწესრიგება დაევალება საადგილ-მამულო კოოპერატიულ საზოგადოებებს, რომელშიაც გაერთიანებულ იქნება სოფლის ყველა მეკომურნი, შეიძლება გლეხობაზე გავლენა მოიპოვონ კულაკურმა ელემენტებმა, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა, რადგან დებულებით, რომელიც შედგენილია ასეთი საზოგადოებებისათვის, გადამწყვეტი ხმის უფლება წართმეული აქვთ ყველა მათ, ვისაც საბჭოთა საარჩევნო ხმის უფლება არის მოკლებული. საადგილ-მამულო კოოპერატიული საზოგადოებანი გაატარებენ ამავე ხაზს, ამავე პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ საბჭოები.

მიწადმოწყობა და აგრონომიული ღონისძიებანი

საქართველოში აღსანიშნავია, კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ მიწადმოწყობის დარგში მიღებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული არ არის სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად გატარებული ღონისძიებები. აგრონომის მონაწილეობა მიწადმოწყობაში განისაზღვრება მხოლოდ მის მიერ მიწის კატეგორიების გამორკვევით. აგრონომის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს ის, რომ მან გამოარკვიოს ამა თუ იმ სოფლის მეურნეობის შემდგომი მიმართულება, შეისწავლოს და გამოარკვიოს მეურნეობის წარმოების ახალი წესების შემოღების შესაძლებლობა; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შემუშავდეს მიწის მოწყობის სათანადო პროექტი. აქედან აშკარაა, სასოფლო სამეურნეო ორგანოების და აგრონომიის კავშირის აუცილებლობა მიწადმოწყობის მუშაობასთან.

შეიძლება საკითხი დაისვას ისეთი აგრონომიული ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც სპეციალურად მიწადმოწყობას გაუწევს სამსახურს. ეს აგრონომები იმუშავებენ მიწადმომწყობ ჯგუფთან ერთად, რაიონის აგრონომთან შეთანხმებით და მისი ხელმძღვანელობით.

თუ ჩვენ მოვახერხებთ ამ ორი ორგანიზაციის შეთანხმებულ მუშაობას, მიწადმოწყობა მოგვცემს ფრიად ნაყოფიერ შედეგებს. მიწადმოწყობა უნდა გავხადოთ ისეთ ღონისძიებად, რომელსაც უნდა დაუკავშირდეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხების მოწესრიგება. რუსეთის გამოცდილებამ დაგვანახვა, იქ, სადაც მიწადმოწყობასთან ერთად ისმება საკითხი კოლექტივიზაციის, მოსახლეობის ორგანიზაციის შესახებ, ნაყოფი ერთიორად მნიშვნელოვანია. მაგალითად, კოლექტიურ გაერთიანებას, რომელიც იქმნება მიწადმოწყობის დაწყების პერიოდში, ეძლევა თავისი მიწების მოწყობის საშუალება, ე. ი. მისთვის იქმნება საფუძველი, რომელზედაც უნდა განვითარდეს მიწადსარგებლობის კოლექტიური ფორმა. მიწადმოწყობას უნდა დაუკავშიროთ ყველა იმ დახმარებისა და შეღავათების გატარება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევს სოფლის მოსახლეობას. მიწადმოწყობას უნდა დაუკავშიროთ სოფლისათვის თესლის, კრედიტების მიწოდების, საუკეთესო თესლის შემოღების საკითხები და სხვ. ჩვენ მეტად ღარიბები ვართ, და პირველ ყოვლისა დახმარება უნდა აღმოუჩინოთ სწორედ იმ სოფლებს, სადაც ტარდება მიწადმოწყობა, და სადაც შეიძლება მეტი ნაყოფის მიღება.

თვით მიწადმოწყობა ორგანიზაციულად უნდა გადავახალისოთ. ამჟამად იგი სწარმოებს ცალკე სოფლების მიხედვით. მიწადმოწყობა უნდა გავავრცელოთ უფრო ფართო რაიონებზე, უფრო ვრცელ სასოფლო სამეურნეო ტერიტორიაზე. მიწადმოწყობა უნდა ჩავატაროთ არა ცალკე მიწისმზომელებით და მიწის მომწყობებით, არამედ სპეციალისტთა მთელი პარტიებით, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ სათანადო კვალიფიკაციის მომზადების პირები. წვრილ მუშაობიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ მთელი რაიონების გეგმიან მოწყობაზე.

გარდა ამისა ჩვენ უნდა გავაღრმავოთ თვით მიწადმოწყობის შინაარსი. მუშაობას ყოველ რაიონში ისეთი ხასიათი უნდა მიეცეს, რომ აღმოვფხვრათ მიწადსარგებლობის ყველა ნაკლოვანებანი და შევქმნათ ხელსაყრელი პირობები სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

მიწადმოწყობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასახლებულ პუნქტის კეთილმოწყობა, ჯანმრთელობის დაცვის, ხანძრის მოთხოვნილება და სხვ. ყოველ დასახლებულ პუნქტზე, ყოველ სოფელში, ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი კოოპერატ. საადგილ-მამულო გაერთიანებაში ისეთი თესვის ბრუნვის შემოღების შესახებ, რომელსაც გვკარნახობს აგრონომია.

ასეთი მუშაობით ჩვენ დროსაც მოვიგებთ და მიწასაც მოვაწყობთ არა ცალკე მეურნეებს, არამედ მთელ ჯგუფებს.

ამასთან ერთად, თუ ჩვენ მოვახერხებთ დავარაზმოთ ამ ჯგუფებს სოციალური მდგომარეობის მიხედვით, ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმების წარმოშობასაც.

დასასრულ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების საჭიროებას მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის საკითხების დაჩქარებით მოწესრიგებისათვის.

—:—

მეორე დღის დილის სხდომაზე ამავე საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდნენ: ამხ. ჭურღულაძე და გიგოლაძე.

შემდეგ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მოხსენებებისა და კამათის შინაარსს მოვათავსებთ ხვალის ნომერში.

რისთვის არის საჭირო პარტიის წმენდა

როგორც ვიცით, ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო, პარტიაში მუშების მიღებისა და პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც პარტიის წმენდის საკითხი მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს მორიგ საკითხად. წმენდის გატარებამ საგრძნობლად უნდა შეუწყოს ხელი იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც სდგანან პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. ცეკას პლენუმმა დაადგინა „გატარებული იქნეს პარტიის ეხლანდელი შემადგენლობის სასტიკი შემოწმება და გადაჭრით გაიწმინდოს პარტია სოციალურად უცხო, მიტმასნებულ, გაბიუროკრატებულ და გახრწნილ ელემენტებისაგან". სწორედ ასევე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ნოემბრის პლენუმმა საჭიროდ სცნო „მომავალ პარტკონფერენციისათვის ზედმიწევნით დამუშავებულ იქნეს ცეკასთან ერთად ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის რიგების გაწმენდას" საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის დადგენილებაში ჩამოთვლილ ელემენტებისაგან.

რით არის გამოწვეული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების ასეთი დადგენილებები?

ყველამ, ვინც ოდნავ მაინც იცნობს კომპარტიის ისტორიას, იცის, რომ მისი რიგების წმენდას ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის ატარებდა თვით პარტია.

ჩვენი პარტიის ისტორია იყოფა ორ ეპოქად. ეს ეპოქები ძირფესვიანად განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან. პირველია ოქტომბრის რევოლუციის წინა ეპოქა, როცა პარტია, იბრძოდა ხელისუფლებისათვის, ხოლო მეორე — ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი ეპოქა, როცა პარტიამ დაიპყრო ხელისუფლება და განაგებს მრავალმილიონიან სახელმწიფოს.

ეს ორი სრულიად სხვადასხვა ეპოქა განსაზღვრავდა პარტიის წმენდის სხვადასხვა ფორმებს, რომელნიც არსებითად ყოველთვის ისახავდნენ ერთ მთავარ მიზანს — კომუნისტური პარტიის იდეური და ორგანიზაციული მთლიანობის და შეკავშირების უზრუნველყოფას, იდეური და ორგანიზაციული მთლიანობისა და შეკავშირების გარეშე პარტია ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას მუშათა კლასის მტრებზე. იდეური და ორგანიზაციული მთლიანობის და შეკავშირების გარეშე ჩვენი პარტია ვერ შესძლებს იმ უდიდეს, მსოფლიო ისტორიულ ამოცანების შესრულებას, რომელნიც სდგანან მის წინაშე.

სწორედ აქედან გამომდინარეობს პარტიის რიგების პერიოდული და სისტემატიური წმენდის აუცილებლობა.

როგორი ფორმები არსებობს პარტწმენდისათვის?

ასეთი ფორმა სულ სამია: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატთა საყოველთაო წმენდა, როცა პარტია ახდენს ყველა თავისი წევრის და კანდიდატის შემოწმებას და აძევებს თავის რიგებიდან უცხო და მიტმასნილ ელემენტებს;

2) ნაწილობრივი წმენდა, როცა პარტია ახდენს სოფლის ან საბჭოთა უჯრედების ან რომელიმე ისეთი ორგანიზაციის წმენდას, რომელიც პარტიის ყურადღებას იქცევს არაკომუნისტურ ელემენტების არსებობით მის რიგებში და, ბოლოს, 3) მუდმივი — განუწყვეტელი წმენდა, როცა ცენტრალური საკონტროლო კომისია ყოველდღე აძევებს კომპარტიის რიგებიდან უვარგის ელემენტებს, რომელთაც ის აღმოაჩენს თავის ყოველდღიურ მუშაობის პროცესში პარტიის დირექტივების შესრულების და მათი ცხოვრების გატარების შემოწმების დროს.

ჩვენი პარტიის ოქტომბრის წინა ეპოქამ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა პარტწმენდის პირველი ორი ფორმა. მაშინ არსებობდა პარტწმენდის მხოლოდ მესამე ფორმა და ეს სავსებით გასაგებიც არის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არალეგალურ პირობებში მყოფ პარტიას არ ჰქონდა შესაძლებლობა ცხოვრებაში გაეტარებია საყოველთაო ან ნაწილობრივი წმენდა, ხოლო მეორე, არალეგალურ მუშაობის პერიოდში პარტიის რიგებში არ იჭრებოდნენ არაპარტიული ელემენტები, ვინაიდგან პარტიის არალეგალური არსებობა უზრუნველყოფდა პარტიის რიგების შევსებას მხოლოდ და მხოლოდ შეგნებული ელემენტებით, უმთავრესად, მუშათა კლასიდან და ინტელიგენციის და გლეხობის საუკეთესო ნაწილიდან (თუმცა იყო შემთხვევება, როცა ჩვენ პარტიაში ახერხებდნენ შეპარვას პროვოკატორები და გამცემლები), და ამიტომ ჩვენს რიგებში შემოპარულ „პარტიულთა" ერთეულების წმენდის სხვა ფორმები არ არსებობდა. წმენდის ეს ფორმა სავსებით აკმაყოფილებდა პარტიის ინტერესებს.

ჩვენი პარტიის ოქტომბრის შემდგომმა ეპოქამ შექმნა პარტიის რიგების წმენდის ორი ახალი ფორმა — საყოველთაო — გენერალური და ნაწილობრივი წმენდა.

რა მიზეზია, რომ პარტია ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიის წმენდას?

კომპარტიის წინაშე სდგას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ჩვენი ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანის ამოცანა, სხვანაირად, რომ ვსთქვათ, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის ამოცანა. ამავე დროს საჭიროა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა, რადგან საერთაშორისო კაპიტალი დაუცხრომლად ემზადება მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს შინაური ხასიათის დაბრკოლებები, რომლებიც გამოიხატება ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობაში. ეს შინაური და საგარეო დაბრკოლებები აყენებენ ჩვენს წინაშე კომპარტიის მთლიანობის და შეკავშირების უზრუნველყოფის საკითხს. ბრძოლა ლენინის კომუნისტური პარტიის მონოლიტობისათვის ნიშნავს საბჭოთა კავშირის დაცვას და მისი გამარჯვებისათვის ხელის შეწყობას, ხოლო საბჭოთა კავშირის არსებობა და მისი გამარჯვება, თავის მხრივ, მეტად გაადვილებს მუშათა კლასის და მთელი ქვეყნის დაჩაგრულ ხალხთა ბრძოლას კლასობრივ მტერთან და მასზე გამარჯვებას.

ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა კლასი გლეხობასთან ერთად კომპარტიის ხელმძღვანელობით დასძლევს ყველა დაბრკოლებას, რომელიც მას ეღობება სოციალიზმის მშენებლობის გზაზე და შეასრულებს, ისე, როგორც აქამდის ასრულებდა, თავის ისტორიულ ამოცანას — სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას — მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ პარტიამ შეინარჩუნოს ლენინური მთლიანობა, რომ პარტია იდეურად და ორგანიზაციულად შეკავშირებული იყვეს, ხოლო ეს შესაძლოა იმ პირობით, თუ პარტია, ერთის მხრივ თავის რიგებიდან გააძევებს მიტმასნილ, უცხო ელემენტებს, რომელთაც იდეური და ორგანიზაციული არევ - დარევა და მერყეობა შეაქვთ ჩვენ რიგებში, ელემენტებს, რომელნიც ჩაეფლენ ყოფა - ცხოვრების ჭაობში, ამის გამო, რომ გაითქვიფენ ანტისაბჭოთა ელემენტებში (ნეპმანები, კულაკები და სხვ.), ხოლო მეორეს მხრივ თავის რიგებს შეავსებს მუშათა ახალი კადრებით, რომლებიც ერთგულნი არიან პარტიის და ხელისუფლების, რომელთაც პრაქტიკული მუშაობით დაამტკიცეს, რომ ისინი სოციალიზმის ნამდვილი მშენებლები არიან. ეს ორი ღონისძიება, ერთი — თავისი რიგების გაწმენდა უვარგის მიტმასნილ ელემენტებისაგან, ხოლო მეორე — კომპარტიის (ბ) რიგებში საუკეთესო მუშების მიღება, უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის წარმატებას. ეს ორი ღონისძიება ჩვენ საშუალებას მოგვცემს რკინის ცოცხით გამოვგავოთ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციებიდან ის უსულ-გულო ბიუროკრატები, გახრწნილი, მერყევი, რწმენა დაკარგული მოხელეები, რომელნიც სახელს უტეხენ პარტიას და ხელისუფლებას და ხშირად „მემარცხენე" ფრაზეოლოგიის საფარით ნამდვილ მენშევიკურ მუშაობას ეწევიან. სოციალისტური მშენებლობის ტემპის ზრდას და განვითარებასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ქალაქში და სოფლად, აყენებს საკითხს, როგორც ქალაქის, ისე სოფლის უჯრედის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, განსაკუთრებით სოფლის უჯრედის, სადაც კომუნისტური ფენა მეტად უმნიშვნელოა და ამავე დროს თვისებით მეტად სუსტია, რაც ნათლად გამოაშკარავა პურის დამზადების კამპანიამ.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის სირთულე, რამაც უდიდესი დაბრკოლებები წარმოშვა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, გავლენას ახდენს პარტიის ზოგიერთ ნაწილზე და ეს გავლენა გამოიხატება ლენინურ - კომუნისტურ ხაზიდან გადახრაში, რომლის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა მთელი პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამჟამად ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენს მემარჯვენე გადახრის საფრთხე, რომელსაც შედარებით უფრო ღრმა სოციალური ფესვები აქვს ჩვენს სინამდვილეში. საჭიროა გადამწყვეტი და დაუზოგველი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა შესწყდეს ბრძოლა „მემარცხენე" გადახრასთან — ტროცკიზმთან, არსებითად, მენშევიზმთან, და აგრეთვე პარტიის ნაწილის შემარიგებელ განწყობილებასთან.

ამგვარად, პარტიის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანები, რომელთა განხორციელებაც დამოკიდებულია თვით პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალების ამოძრავებაზე. ამ ამოცანების განხორციელება უნდა მოხდეს, როგორც შინაპარტიული, ისე პროფკავშირული დემოკრატიის გაბედულად და ფართოდ გაშლილი კრიტიკის და თვითკრიტიკის ნიადაგზე; ამავე დროს საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიურად გამომჟღავნება, სოციალისტურ მშენებლობაში უდიდესი მიღწევების სათანადოთ განმტკიცება და წინსვლა ახალ მიღწევებისა და ახალ გამარჯვებებისაკენ.

ადგილებზე პარტკომები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ (არ უნდა უცადონ ინსტრუქციებს წმენდის დაწყების შესახებ) პარტიის მომავალი წმენდის მომზადებას. მათ უნდა აწარმოონ პარტიის თვითეული წევრის და კანდიდატის დახასიათების აღრიცხვა, უჯრედების ღია კრებებზე უნდა დასვან საკითხი წმენდის მნიშვნელობის შესახებ და უპარტიო პატიოსანი მასა ჩააბან იმ საკითხის გამორკვევაში, თუ რამდენად გამოსადეგია პარტიისათვის ესა თუ ის წევრი და კანდიდატი. პარტკომებმა უნდა გამოჰყონ მუშათა ახალი კადრები პარტიაში მისაღებად. ამ კამპანიას არ შეიძლება ჰქონდეს და არც უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი. მთელი მასალა წმენდის შესახებ ზედმიწევნით უნდა იქნეს დამუშავებული უჯრედებში, უჯრედებმა ამ კამპანიაში ფართოდ უნდა ჩააბან მთელი პარტიული და უპარტიო მასა. მხოლოდ მაშინ მიეცემათ უჯრედებს საშუალება ნამდვილად შეამოწმონ პრაქტიკულ მუშაობაზე ვინ არის ბიუროკრატი, უცხო, მიტმასნილი ელემენტი, რათა გამოსადეგი პირები დასტოვონ პარტიის რიგებში და მით უზრუნველჰყონ პარტიის კომუნისტური რიგების მთლიანობა და მჭიდროთ შეკავშირება.

გ. სტურუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს აგიტპროპთათბირი

პოლიტგანათლება პარტიასა და კომკავშირში

ამხ. დ. ორაგველიძის მოხსენება

ჩვენში ხშირად ადგილი აქვს პარტგანათლების საქმის შეუფასებლობას, როგორც პარტიის ისე კომკავშირის ორგანიზაციაში. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ან სრულიად არ სვამენ დღის წესრიგში პარტგანათლების საკითხებს ან იშვიათად სვამენ მათ. ამის შედეგია პარტგანათლების ქსელის სისუსტე და მასში ჩაბმულთა რიცხვის სიმცირე.

1927—28 სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში ჩაბმული იყო პარტ-ორგანიზაციის შემადგენლობის მხოლოდ 35 პროც. ე. ი. კომუნისტების დიდი უმრავლესობა (65 პროც.) პარტსწავლის გარეშე იმყოფება. ეს გარემოება გვავალებს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ პარტგანათლებას და ენერგიული ბრძოლა გამოვუცხადოთ მის შეუფასებლობას.

ვინ უნდა მოვამზადოთ

პარტგანათლების საქმის მოსაგვარებლად საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორი ფენებისგან შესდგება მომზადების მხრივ პარტიული და კომკავშირელთა მასები.

ჩვენ პარტიაში გვყავს ა) წ. კ. სრულიად უცოდინარნი; ბ) მცირე მცოდნენი; გ) წერა კითხვის კარგად მცოდნენი, მაგრამ პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელნი; დ) სოფლის და თემის აქტივი და ე) საოლქო სამაზრო და საქალაქო აქტივი. თვითეულ ამ ფენისათვის შესაფერი პარტსწავლის ფორმა უნდა არსებობდეს.

პარტიულებისა და კომკავშირელებისათვის არსებობს სწავლის შემდეგი ფორმები: მთლიანი პარტსკოლა ქალაქად და სოფლად. გაზეთის კითხვის წრეები, სადამოს საბჭოთა პარტ-სკოლები, საგნობრივი მიმდინარე პოლიტიკის და თემატიური წრეები. აქტივის კურსები. დაუსწრებელი სწავლება, თვითგანვითარება, დილის საბჭოთა პარტსკოლები და კომუნისტური უნივერსიტეტები. კომკავშირელთა საგრძნობი ნაწილი მოქცეულია პარტქსელში. ამას გარდა კომკავშირს აქვს თავისი განსაკუთრებული ქსელიც: ქალაქის პოლიტ-სკოლები, სოფლის პოლიტ-კითხვის ჯგუფები და სხვადასხვა წრეები.

პოლიტგანათლების ორგანიზაცია.

პარტიული განათლების ქსელის ორგანიზაციისა და სისტემაში ჩვენ ჯერ არა გვაქვს გეგმიანობა. მომავლისათვის ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. პარტგანათლების სისტემაში შეტანილ უნდა იქნას მეტი გეგმიანობა. მეტი წესრიგი. მეტი ერთფეროვნება. სასწავლო წლის დადგომამდი ორი თვით ადრე უნდა დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა. ყველა უჯრედებში უნდა ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი კამპანია პარტიისა და კომკავშირის პოლიტ-განათლების ამოცანების ფორმებისა და მეთოდების შესახებ: უნდა შესდგეს საორგანიზაციო კომისიები, რომლებიც მოახდენენ პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციის წევრთა მომზადების, მოთხოვნილების აღრიცხვას და დააჯგუფებენ მათ პარტსწავლის შესაფერ ფორმებში. წ. კ. უცოდინარნი და მცირე-მცოდნენი პარტქსელში არ უნდა იქნენ მიღებულნი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მათზე არ უნდა ვიზრუნოთ პირიქით, ადგილობრივი ორგანიზაცია დავალებულია მალე მოახდინოს წ. კ. უცოდინარობის და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაცია მათ შორის.

საქ. კომპარტიის ცეკას (ბ) დადგენილებით პარტქსელში სწავლა პარტიის და კომკავშირის წევრებისათვის ნებაყოფლობითია. სავალდებულოა მხოლოდ პარტიის და კომკავშირის იმ კანდიდატებისათვის, რომლებსაც არ აქვთ მიღებული ელემენტარული პოლიტ-ცოდნა. ნებაყოფლობითი პრინციპი იმას არ ნიშნავს თითქოს კომუნისტისათვის სწავლა საჭირო არაა. როგორც ეს ზოგიერთებს გონიათ. პირიქით, ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ დავარწმუნოთ ამხანაგები თავიანთ საზოგადო-თეორიტიულ და პოლიტიკურ ცოდნის გაღრმავების აუცილებლობაში. ჩავაბათ ისინი ისეთ სკოლაში, ან წრეში და შევუქმნათ მათ მეცადინეობისათვის საჭირო ამხანაგური დისციპლინა.

პარტორგანიზაციის მოვალეობაა ანგარიში გაუწიოს კომუნისტების და კომკავშირელების მისწრაფებებს საზოგადო და პოლიტ-ეკონომიური განათლებისაკენ და იზრუნოს მათი სათანადო სკოლებში გაგზავნაზე. თუ დაუკვირდებით მასიურ პარტ-განათლების ქსელის მსმენელთა შემადგენლობას ცოდნის მხრით, დავრწმუნდებით, რომ ქსელის შედგენის დროს არ ხდება ცალკე პარტიულებისა და კომკავშირელების ცოდნისა და მოთხოვნილებათა აღრიცხვა-გათვალისწინება. ზოგიერთ სკოლაში მცირე მცოდნეებთან ერთად სხედან საშუალო ცოდნით აღჭურვილი მსმენელებიც. რასაკვირველია მომზადების სხვადასხვა დონე ხელს უშლის მეცადინეობის კარგად დაყენებას, რასაც შედეგად მოსდევს. ცუდი დასწრება, ცუდი შეთვისება, მსმენელთა რიცხვის საგრძნობლად შემცირება და ზოგ შემთხვევაში სკოლის ან წრის მთლად დაშლა. ადგილებზე უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტგანათლებას და საკმაოდ არ ეხმარებიან პროპაგანდისტებს სკოლების მოწყობაში. საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციებს და განსაკუთრებით პარტუჯრედებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროთ პარტსწავლის მოწყობა-დაყენების საქმეში.

1928—29 წლ. პარტგანათლების ქსელი საშუალოდ ორჯერ გაიზარდა. წრის გაცილებით მეტი რიცხვია ჩაბმული სწავლაში, ვიდრე წინა წლებში. წრის საერთოდ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ მაინც არ შეიძლება ეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ. ჩვენთვის საჭიროა არა მარტო პარტქსელის გაფართოება, არამედ სწავლის თვისების გაუმჯობესება. შეთვისების დონის აწევა და პარტიამზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. შინაარსის მხრით ჩვენს მთლიან პარტსკოლებში და პარტქსელში საკმაოდ ყურადღება არ ექცევა მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს. პარტიის მორიგ ამოცანებს. პარტიის ხაზიდან გადახრებთან ბრძოლას წვრილ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლას, პარტიამზრდელობითი მუშაობას. ადგილობრივ მეურნეობასთან და კულტურულ მშენებლობის საკითხებთან სწავლის დაკავშირებას და სხვ.

შინაარსი და მეთოდები

მთელ პარტგანათ. ქსელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან და მათთან შემრიგებლობასთან ბრძოლას, სოციალისტურ მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე წამოყენებულ უმთავრეს სამეურნეო და პოლიტიკურ პრობლემების ყოველ მხრივ გაშუქებას (სოციალისტური რაციონალიზაცია. სოფლის კოლექტივიზაცია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა. თვითკრიტიკა და სხვ.) პარტქსელში გაშუქებული უნდა იქნეს საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის საკითხები დიალექტიური მატერიალიზმის ძირითადი პრობლემები, ანტირელიგიური საკითხები, კომინტერნის პროგრამა. კულტურული რევოლიუციის საკითხები და სხვ.

ამასთანავე საჭიროა ძირითად პარტგანათლების ქსელში გამოცხოველდეს მეცადინეობის მეთოდები. ლექციური მეთოდი უნდა განიდევნოს და მის მაგიერ ყველგან შემოღებულ იქნას ჯგუფური საუბრის და სწავლის სხვა აქტიური მეთოდები.

პარტაქტივის მომზადება

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს პარტიული აქტივის თეორიტიულ და პრაქტიკულ კვალიფიკაციის ამაღლებას. აქტივს სწავლის დიდათ ხელს უშლის საზოგადოებრივი და პარტიული დატვირთვა, თვითეულ მოწინავე ამხანაგს პარტიის წევრს ან კომკავშირელს სოფლად აქვს 6—7 და ხან 10—12 სხვადასხვა მოვალეობა. ასეთ პირობებში სწავლაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, ეს საკითხი უნდა დაისვას მთელი თავისი სიგრძე სიგანით და გამონახული იქნას გზები პარტიული და კომკავშირული აქტივის განტვირთვისათვის. საჭიროა როგორც სამაზრო და საოლქო ცენტრებში ისე თბილისშიაც პარტაქტივისათვის ეწყობოდეს 1—2 თვიანი გადასამზადებელი კურსები. აქტივისათვის საჭიროა ეპიზოდიური ლექციების მოწყობა მარქსიზმის და ლენინიზმის თეორიის და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ პრობლემებზე. პარტაქტივის თეორიული და საქმიანი კვალიფიკაციის სისტემატიურად ამაღლებისათვის საჭიროა ხელი შეუწყოთ მის თვითგანვითარებაში ჩაბმას. აქტივისთვის უნდა მოეწყოს აგრეთვე დაუსწრებელი სწავლება. ცენტრ. პარტიულ სკოლისა და ა. კ. კომუნისტური უნივერსიტეტის საშუალებით და გამოცემულ იქნას პარტიული ჟურნალი, სადაც გაშუქდება თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები. ის ამხანაგები, რომლებმაც გაიარეს პოლიტ-ცოდნის სკოლა უნდა ჩაებან საგნობრივ, მიმდინარე პოლიტიკის და თემატიურ წრეებში საოლქო პარტსკოლებში და სხვა.

თვითგანვითარება

ჩვენს პირობებში, თვითგანვითარებას, როგორც სწავლის ძლიერ მოხერხებულ და იაფ ფორმას, დიდი როლი ენიჭება თვითგანვითარების მნიშვნელობა თანდათან გაიზრდება მომავალში. ეს ჩვენში ახალი და თან ძნელი მოსაგვარებელი საქმეა. მას ნაკლებად იცნობენ პროპაგანდისტები და აგიტპროპმუშაკები. პირველ ყოვლისა საჭიროა თვით-განვითარების მუშაკების, მასწავლებლების და პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსების სასწავლო გეგმებში შეტანილ უნდა იქნას თვითგანვითარების ორგანიზაციის და მეთოდიკის საკითხები.

პოლიტგანათლება კომკავშირში

როგორ არის კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის მუშაობის საქმე? კომკავშირი აღმზრდელობითი ორგანიზაციაა. ის პარტიის შემცვლელია, ამიტომ პოლიტიკური განათლებას კომკავშირში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ კომკავშირის ქსელის მუშაობა გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე პარტიისა. პროგრამები და სახელმძღვანელოები სკოლებს თავის დროზე არა აქვს. ქსელი გვიან იშლება. მას მოუმზადებელი და მცირე რიცხოვანი პროპაგანდისტები ჰყავს, რომელთაც არ ეძლევათ ხელფასი. წელს ზოგიერთი ადგილების გამოკლებით მეცადინეობა დაიწყო ა. წ. იანვრიდან სახელმძღვანელოებიც იანვარში გამოიცა. არც ცენტრში და არც ადგილებზე პარტიული ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ორგანიზაციულ-მეთოდიური ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელს. ასეთ მდგომარეობას ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს. კომკავშირის ლენინური აღზრდა მომზადება უდიდესი ამოცანაა, რომელსაც პარტიამ ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

პოლიტგანათლება ქალთა შორის

გასული წლის აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ საშუალო ქალთა რიცხვი პარტქსელში 5 პროც. არ აღემატება. პროპაგანდისტთა შორის ქალი იშვიათი მოვლენაა, მუსულმანურ რაიონებში ქალები თითქმის სრულიად არ ებმებიან პარტქსელში. საჭიროა ქალთა ჩაბმას პარტქსელში დიდი ყურადღება მივაქციოთ, ისეთ რაიონებში, სადაც ყოფა-ცხოვრებითი პირობები ხელს უშლის ქალების პარტსწავლაში ჩაბმას, ქსელი უნდა მოეწყოს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქალთა სადელეგატო კრებებს, რომლებიც 11 ათას მუშა და გლეხ ქალს აერთიანებენ დიდი კულტურული პოლიტიკური აღმზრდელობითი, მუშაობის ჩატარება შეუძლიათ, მაგრამ არც მათ და არც დაწყებითი ქალთა წრებს აგიტპროპგანყოფილებები საკმაოდ არ ხელმძღვანელობენ. პროპაგანდისტებად სადელეგატო კრებებს ეძლევიან ყველაზე სუსტ, მოუმზადებელ მუშაკებს, რომლებიც თვითონ ძლივს ერკვევიან, ელემენტარულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიურ საკითხებში. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ პროგრამები და სახელმძღვანელოები სადელეგატო კრებებს დაგვიანებით ან სრულიად არ ეგზავნებათ. მომავალში საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ქალთა ქსელის მუშაობას.

პარტგანათლება ნაცუმცირესობათა რაიონებში

მართალია, უკანასკნელ წელს ნაც-უმცირესობათა რაიონებს მეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ ჯერ პარტიული განათლების საქმე აქ მაინც დიდ დაბრკოლებებს აწყდება. ახალგაზრდა პარტიული ორგანიზაცია, წ.-კ. უცოდინარობა და მცირე მცოდნეობა, სათანადოთ სახელმძღვანელოების და ლიტერატურის უქონლობა ნაც-უმცირესობათა ენებზე, პროპაგანდისტების მცირე კადრი და მათი მოუმზადებლობა დიდათ აფერხებს პარტსწავლის საქმეს. ასეთი მდგომარეობაა აფხაზეთში, ოსეთში, თურქულ, ბერძნულ და ნაწილობრივ სომხურ რაიონებში. ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტების გადამზადებას ნაც-უმცირესობის პარტიული და კომკავშირის ქსელისათვის და სახელმძღვანელოების გამოცემას. თურქ პროპაგანდისტების მოსამზადებლად უნდა გაიგზავნონ თურქი ამხანაგები აზერბეიჯანის თურქულ პარტ-სკოლაში, ამასთანავე ცენტრპარტსკოლასთან უნდა შეიქმნას თურქული სექტორი, რომელიც მოამზადებს არა მარტო თურქ პროპაგანდისტებს, არამედ კანდიდატებს კომუნისტურ უნივერსიტეტში შესასვლელად.

სომეხ-პროპაგანდისტების მოსამზადებლად ამხანაგები უნდა გაიგზავნონ ერევნის პარტიულ სკოლაში.

დანარჩენ ნაც-უმცირესობათა პროპაგანდისტების მომზადება და გადამზადება უნდა სწარმოებდეს ცენტრალურ პარტსკოლაში და პროპაგანდისტთა გადასამზადებელ საზაფხუ-

პროგრამები და სახელმძღვანელოები

1928—29 წლამდე პროგრამა და სახელმძღვანელო ყოველწლიურად იცვლებოდა. ეს გარემოება ძლიერ აფერხებდა პარტგანათლების ქსელის დროზე ჩამოყალიბებას და სწავლის თავის სიმაღლეზე დაყენებას. ამასთანავე პროგრამების და სახელმძღვანელოების ადგილობრივი (საქართველოს) მასალებით შევსება მოკლე დროში არ ხერხდებოდა. ამიტომ როგორც პროგრამები, ისე სახელმძღვანელოები უმთავრესად რუსულიდან ითარგმნებოდა.

ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. სოფლის ძალიან პარტსკოლისათვის საჭიროა მომავალ წლიდან სპეციალური სახელმძღვანელოს გამოცემა ქართულ ენაზე, საჭიროა აგრეთვე თავის დროზე სახელმძღვანელოების გამოცემა საგნობრივ წრეების, სადამოს და დილის პარტ სკოლების, კომკავშირის ქსელის და სადელეგატო კრებებისათვის.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადო და პოლიტეკნიკური განათლების სკოლების, მუშფაკების, უმაღლეს სასწავლებლების და კურსებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემას საზოგადოებრივ პოლიტიკურ საგნებში.

პარტგანათლების ქსელის სახელმძღვანელოების ფასი ძალზე უნდა შემცირდეს, წიგნებზე არსებული დღევანდელი ფასები პირდაპირ შეუძლებლად ხდიან მათ შეძენას მუშურ-გლეხური მკითხველების მიერ.

პროპაგანდისტები

მცირე რიცხოვანობა, დაბალი კვალიფიკაცია, ცვალებადი შემადგენლობა და პედაგოგიურ დარგში გამოუცდელობა, აი რით ხასიათდება ეს კადრი.

პროპაგანდისტული მუშაობა წვრილმან, უბრალო, მეორე ხარისხოვან საქმეთ მიაჩნიათ ზოგიერთ ჩვენ პროპაგანდისტებსაც კი. ასეთ ტენდენციებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყოველწლიურად უნდა ეწყობოდეს საზაფხულო 2—3 თვიანი გადასამზადებელი კურსები. ამას გარდა ჩვენ პროპაგანდისტებს ჭირდებათ სისტემატიური მეცადინეობა თავისი მომზადების დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით ხელი უნდა შეუწყოთ მათ შორის თვითგანვითარების საქმის მოგვარებას, მათ ჩაბმას დაუსწრებელ კომუნისტურ უნივერსიტეტში და სხვ. ყურადღება უნდა მივაქციოთ პარტქსელის საშუალო საფეხურის ქსელის პროპაგანდისტების და ლექტორების მომზადებას.

ცეკას აგიტპროპგანყოფილებამ უნდა გააძლიეროს მეთოდიური ხელმძღვანელობა პროპაგანდისტებზე, მათი კონსულტაციის საქმე სათანადო სიმაღლეზე დააყენოს, მიაწოდოს მეთოდიური წერილები და სხვა მასალები. სამაზრო და საოლქო ცენტრებში უნდა მოეწყოს პარტმუშაობის კაბინეტები და მეთოდიური ბიუროები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ პროპაგანდისტებს ლიტერატურის, და სხვა მასალების მიწოდებით. სასწავლო წლის დაწყების წინ ყველა სამაზრო და საოლქო ცენტრებში უნდა ეწყობოდეს მოკლევადიანი კურს-კონფერენციები იმ პროპაგანდისტებისათვის, რომლებიც ვერ იგზავნებიან პროპაგანდისტთა საზაფხულო გადასამზადებელ კურსებზე. ამასთანავე საჭიროა პროპაგანდისტთა კადრის მუშებით შევსება.

პარტ-ქსელის გაფართოებისა და პროპაგანდისტების მეთოდიურ დონის ამაღლებაში ცეკასთან არსებული პროპაგანდისტთა ჯგუფს ფრიად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. წელს პირველად მოეწყო ეს ჯგუფი. ჯგუფში შედის 12 კაცი და ის დიდ დახმარებას უწევს პარტიულ და კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელს. პროპჯგუფის ნაწილი მუშაობს მაზრებში, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში, 8 კაცი კი თბილისში იმყოფება და თვითეული მათგანი მიმაგრებულია განსაზღვრულ სამუშაოზე. პროპ-ჯგუფის ნაყოფიერ მუშაობას რამდენიმეთ აფერხებს ის გარემოება, რომ მასში არაა საკმაო რიცხვი ისეთ ამხანაგებისა, რომლებსაც შეეძლოთ ქართულ-სომხურ და თურქულ რაიონებში მუშაობა. მომავალ წლისათვის ქართულის მცოდნე მუშაკების რიცხვი პროპ-ჯგუფში უნდა გაიზარდოს 6-მდე. ჯგუფში უნდა იქნას აგრეთვე სომეხი და თურქი მუშაკები.

ცეკას აგიტპროპ. განყოფილება უგზავნის პარტიულ ქსელის პროპაგანდისტებს მეთოდწერილებს, განაკვეთებს, აწარმოებს მათთან მიწერ-მოწერას და სხვა. ეს ღონისძიებანი წელს პირველად ტარდება და შესაფერი ნაყოფიც მოაქვს. მომავალ წლიდან მეთოდიური ხელმძღვანელობა კიდევ უფრო უნდა გამტკიცდეს.

დილის საბჭოთა პარტიული სკოლები

ცალკე სდგას საკითხი დილის საბჭოთა პარტსკოლების შესახებ. მასიური პარტგანათლებასთან ერთად ჩვენ გვაქვს დილის საბჭოთა პარტსკოლები, რომლებიც ამზადებენ პროპაგანდისტებს და პოლიტგანათლების მუშაკებს. საქართველოში გვაქვს 4 პირველი საფეხურის საბჭოთა პარტსკოლა და ერთი მეორე საფეხურის. ამ სკოლებში სწავლობს 500-მდე მსმენელი. მას შემდეგ რაც სადამოს პარტსკოლების ქსელი გაიშალა, რომლებიც დაახლოებით იმავე პროგრამით მეცადინეობენ, როგორც პირველი საფეხურის დილის პარტსკოლები, ამ უკანასკნელთა არსებობას აზრი ეკარგება.

აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთოსეთში პირველი საფეხურის დილის პარტსკოლები ჯერ-ჯერობით უნდა დავტოვოთ, ქუთაისის პარტსკოლა კი უნდა გაუქმდეს. ცენტრალური პარტიული სკოლის სამწლიან კურსზე გადასვლა არ არის მიზანშეწონილი.

მატერიალური ბაზა

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ დიდი გაუგებრობა არსებობს პარტიისა და კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის შესახებ მატერიალურ საშუალებათა გაღების გარშემო. პარტიული კომიტეტები ახორციელებენ და მომავალშიაც უნდა ახორციელებდნენ პარტგანათლებაზე იდეოლოგიურ და პროგრამულ-მეთოდიურ ხელმძღვანელობას, ფინანსიური სახსრები კი გაღებულ უნდა იქნას საბჭოთა ხაზით, პოლიტგანათლების ორგანოების მიერ, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. პარტიული ქსელის გაფართოება პროპაგანდისტების ჯამაგირები და სკოლების ბინების ყველა ხარჯები გათვალისწინებულ უნდა იქნას პოლიტგანათლების ბიუჯეტში.

საწარმოო თათბირების შემოწმებისათვის ა.-კ. რკინის გზეზე

ტრანსპორტი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ერთად-ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძია, მის რაციონალიზაციით დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა, ტრანსპორტის რაციონალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოო კომისიების და საწარმოო თათბირების მუშაობასთან. უკანასკნელი ქმნიან რკინისგზელთა საზოგადოებრივ აზრს წარმოებაზე და წარმოადგენენ საუკეთესო იარაღს მუშათა მასების მონაწილეობის მისაღებად წარმოების წინაშე დასმულ ამოცანების გადაწყვეტაში, ამიტომ საწარმოო კომისიებისა და თათბირების შემოწმებას, რომლის ჩატარებას უდგებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამ შემოწმებით ჩვენ უნდა გავარკვიოთ საკავშირო მასას საწარმოო კომისიებისა და თათბირების მუშაობის როგორც მიღწევები, ისე მტკივანი ადგილები. შემოწმება უნდა მოეწყოს ისე რომ იგი ნამდვილად გამოხატავდეს მასიურ კონტროლს საწარ. მუშაობაზე; მისი საშუალებით ჩვენი წარმოების გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ მუშათა ფართო მასები.

რამდენადაც რთულია რკ. გზის ტრანსპორტის მექანიზმი, იმდენად ძნელია საწარმოო კომისიებისა და თათბირების მუშაობა და მით უმეტეს მასიური საწარმოო შემოწმების ჩატარება რკინის გზაზე. რკინის გზის მეურნეობის ცალკე დარგები იმდენად მრავალ-ფეროვანი არიან, რომ აქ განსაკუთრებით საჭიროა მასიური კონტროლის გაძლიერება, რათა შეუმჩნეველი არ დარჩეს მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ზოგიერთებს შეიძლება „უმნიშვნელოდ" მოეჩვენოს, ბოლოს და ბოლოს „უმნიშვნელო" წინადადებებს რკინის გზისათვის მოაქვს ტეხნიკური გაუმჯობესება და მომჭირნეობა.

საწარმოო კომისიების პრაქტიკაში ჩვენ ხშირად ვხვდებით ისეთ წინადადებებს, რომელთაც მოაქვთ წარმოებისათვის რამოდენიმე ათასი მანეთის სარგებლობა. რამოდენიმე მაგალითი: ამ რამდენიმე ხნის წინად თბილისის საორთქლმავლო-სავაგონო შემკეთებელ ქარხნის სამკვეთლო-სამჭედლოს მეღუმელმა ამხ. ანდრიანოვმა შემოიტანა თათბირზე წინადადება, რომლითაც მოხერხებული გახდა სრულიად უვარგისი ასბესტის მასის გამოყენება ორთქლმავალთა საიზოლაციოდ. წინადადება განიხილა აგრეთვე საგზაო გამოგონებათა და გაუმჯობესებათა ბიურომ, რომელიც დარწმუნდა, რომ მისი ცხოვრებაში გატარებით ამხ. სტალინის სახელობის ქარხანა ყოველწლიურად 2.000 მანეთის ეკონომიას მოგვცემს.

ამავე ქარხნის ზეინკალმა ამხ. ქუთათელაძემ საწარმოო თათბირზე შემოიტანა ორი წინადადება, რომელთა გატარება ეკონომიას 1.500 მანეთამდე მოგვცემს. ზესტაფონის საცუდის მუშამ გორშკოვმა თათბირზე წარმოადგინა ისეთი წინადადება, რომლის განხორციელება სამექანიკო დარგის მე-8-ე უბანს აძლევს — 2.6000 მან. წლიურ ეკონომიას.

ასეთი ფაქტები თითო-ოროლა არ არის ს. კ. და ს. თ.-ს საკავშირო გამოკვლევამ ამიერ-კავკ. რკ. გზაზე დაგვანახვა, რომ ამგვარი წინადადებები ასობით და ათასობით შემოდება რკინის გზის მუშათა მასების მიერ.

მაგრამ როგორ ტარდება ისინი ცხოვრებაში? ეს საკითხი უნდა დაისვას საწარმოო თათბირების შემოწმების ცენტრში.

ამ მხრივ რკ. გზაზე დიდ დაბრკოლებებს ვაწყდებით. საქმის გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმსა და სხვა მიზეზების გამო, რკინის გზელ მუშების წინადადებებს ადმინისტრაცია ხშირად დიდი ხნობით უმიზეზოდ აჩერებს. მუშები აქტივობას იჩენენ, მაგრამ ეს აქტივობა ძალიან მოისუსტებს ჩვენს სამეურნეო ორგანოებში და მაღალ კვალიფიკაციის მუშაობაში, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მუშათა წინადადებებს, ამით ნელდება მასის მისწრაფება ტრანსპორტის ტეხნიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

სამეურნეო ორგანოებს ხელთ აქვთ საკმაო ფონდი ს. კ. და ს. თ.-ის წინადადებათა განსახორციელებლად. 1927—28 წელში ამ მიზნით ამიერ-კავკ. რკინის გზამ მიიღო ფონდი 79.400 მანეთის რაოდენობით. ამ ფონდიდან დაიხარჯა მხოლოდ 17.000 მანეთი, არსებული დებულების ძალით, ნახევარი ხსენებული ფონდისა უნდა დაიხარჯოს სასარგებლო წინადადებების შემომტანთა და გამომგონებელთა დასახმარებლად, ხოლო დანარჩენი ნახევარი კი წინადადებათა სარეალიზაციოთ. მაგრამ ჩვენს გზაზე 1,164 მიღებულ წინადადებისაგან მხოლოდ 865 იქნა გატარებული, რისთვისაც დაიხარჯა სულ 12.000 მან.

საწ. კომ. და საწ. თათ. წინადადებების განხორციელებით მიღებულ მომჭირნეობის აღრიცხვის უქონლობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვარკვიოთ ყველა გატარებულ წინადადებიდან მიღებული საერთო ეკონომია, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ 140 გატარებულ წინადადებიდან რკინის გზას აქვს 52.779 მან. 19 კაპ. ეკონომია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ყველა მიღებულ 1164 წინადადებას გავატარებდით ცხოვრებაში (ამისათვის, როგორც დავინახეთ, ფინანსიური შესაძლებლობა გვქონდა), რკინის გზის ეკონომია რამდენიმე ასი ათას მანეთს გადააჭარბებდა. ეს ანბანური ჭეშმარიტება ჯერ კიდევ გაუგებარია რკინის გზის ზოგიერთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ორგანოებისათვის, რომლებიც საწ. თათბირების წინადადებებს ინახავენ მაუდს ქვეშ, ხოლო რაციონალიზაციის ფონდს ხშირად ხარჯავენ დაუზოგავად ზედმეტი შტატის შესანახად და სხვა საჭიროებისათვის, როგორც ეს გამოარკვია საწარმოო კომისიების შარშანდელმა გამოკვლევამ.

მიღებულ წინადადებათა ცხოვრებაში გაუტარებლობა აყენებს რკინის გზას აუარებელ ზარალს, ახ., მაგ., თბილისის რკ. გზ. ამხ. სტალინის სახელობის სავაგონო-საორთქლმავლო შემკეთებელ ქარხანაში საწარმოო თათბირმა რამოდენიმეჯერ დაადგინა მოაწყოს გადახურული ფარდული სადურგლო სამქროს ნაწარმთა შესანახად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წინადადება მივიწყებას მისცეს, ხოლო სადურგლო სამქროს ნაწარმი წლობით ყრია ღია ცის ქვეშ და ლპება წვიმისაგან. ბაქოს რკ. გზის სახელოსნოებს, როგორც გამოირკვა, შეუძლია ყოველთვიურად გამოუშვან საშუალო შეკეთებიდან 10 ორთქლმავალი, თუ კი გატარდება ცხოვრებაში ყველა ის ღონისძიება, რომლებიც დამუშავებულია ს. კ. და ს. თ. მიერ, ეხლა კი უშვებენ 3, 4 ან 5 ორთქლმავალს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამიერ-კავკ. რკ. გზის დანარჩენ უბნებშიც.

მუშათა გამოგონებანი წარდგენილია განსახილველად საგზაო გამოგონებათა და გაუმჯობესებათა ბიუროში, სადაც მათი განხილვა რამოდენიმე თვეობით ბრკოლდება სათანადო ექსპერტიზის წარმოუდგენლობის გამო.

ასეთია ჩვენი სინამდვილის საერთო სურათი.

საწარმოო შემოწმება ამ დეფექტების გამოსაკვლევად არის მოწყობილი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

ამიერ-კავკ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა უკვე დაარსა საწარმოო შემოწმების ჩასატარებლად ამიერ-კავკ. რკ. გზ. საგზაო კომისია. ამას გარდა, ადგილებზე არსდება ადგილობრივი კომისიები, რომლებიც ჩაატარებენ შემოწმებას რკ. გზ. წარმოებებშიაც.

როგორი ამოცანებია დასმული ჩვენი საწარმოო თათბირებისა და კომისიების შემოწმების წინაშე.

უპირველეს ყოვლისა—**ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან.** ამ სენს ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს რკინის გზების ტრანსპორტზე. განსაკუთრებით მის ხელმძღვანელ ორგანოებში, ზედმეტი მიმოწერა და საქმის გაჭიანურება საწ. კომ. და საწ. თათბირების წინადადებათა გარშემო რკინის გზაზე ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთ და იმავე წინადადების გარშემო მიმოწერა წარმოებს სხვადასხვა დარგებსა და უბნების შორის. რითაც ბრკოლდება წინადადების ცხოვრებაში გატარება, ის რკინის გზას დიდ ზარალს აყენებს.

საწარმოო შემოწმებას არ უნდა გამოეპაროს არც ერთი ასეთი შემთხვევა; სასწრაფოდ უნდა იქნას ზომები მიღებული მათ აღმოსაფხვრელად.

დაუნდობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმს, ე. ი. ზედმეტი ფორმალიზმის და საქმისადმი მშრალ ჩინოვნიკურ დამოკიდებულების წინააღმდეგ. ბიუროკრატიზმი დიდ ზარალს აყენებს ამიერ-კავკ. რკინის გზას, რამდენჯერ ჰქონია ადგილი ისეთ შემთხვევებს ჩვენს რკინის გზაზე, როდესაც ბიუროკრატიზმის წყალობით ათეულ და ასეულს მუშებს დაუკარგავთ გამოგონებათა და გაუმჯობესებათა სურვილი. რკ. გზ. ტრანსპორტის მუშაკთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია შემთხვევები, როცა სრულიად უმიზნოთ და უსაგნოთ მიმართავენ მუშებს: „შემოიარეთ ხვალ", „მიმართეთ იმას და ამას" და სხვ. ბიუროკრატიზმი აყენებს საწარ. კომ. და საწარმოო თათ. მუშაობას უდიდეს ზიანს. იგი უნდა აღმოფხვრათ მთელი ჩვენი ძალღონით.

გარდა ამისა, რკინის გზაზე ზოგჯერ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ქედმაღლურ და დამცინავ მოპყრობას მუშათა გამოგონებებთან ზოგიერთ სპეციალისტების მხრივ. ეს კი მუშებს უკარგავს ყოველგვარ ხალისს გამოგონებისადმი. ამგვარი დამოკიდებულება შემჩნეულია ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა გამოგონებათა და გაუმჯობესებათა საგზაო ბიურო, რაც გადაჭრით დაგმობილ უნდა იქნეს. საწარმოო შემოწმებამ უნდა გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.

საწარმოო შემოწმებამ უნდა გამოარკვიოს, რა მდგომარეობაში იმყოფებიან საწარ. კომ. და საწ. თათბირების მიერ გამომუშავებული წინადადებები, როგორ ტარდებიან ისინი ცხოვრებაში და თუ არ ტარდებიან, ვინაა მიზეზი და რომელი საწ. კომ. და საწ. თათბირშია უკეთ დაყენებული მუშაობა. ამის შემდეგ საუკეთესო ს. კ. და ს. თ. იქნება დაჯილდოვებული სათანადოთ.

ამ გზით ჩვენ გამოვარკვევთ საწ. კომ. და საწ. თათ. მუშაობის ხარისხს და მათი მუშაობის დამაბრკოლებელ მიზეზებს. რომ მივიღოთ სათანადო ზომები, მათ აღმოსაფხვრელად. საწ. კომისიებისა და საწარმოო თათბირების მუშაობა წარმოადგენს მასიურ შემოქმედებას. ამ შემოქმედებას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ ამხ. ლენინის სიტყვები, რომ „მილიონ მშრომელთა ნიჭის შემოქმედება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე თვით უდიდესი და გენიალური წინათმგრძნობის შემოქმედება".

მასიური შემოქმედების ასეთი შეფასებით ჩვენ ენერგიულად უნდა ჩავატაროთ საწარმოო შემოწმება რკინის გზის ტრანსპორტზე და ამით დავეხმაროთ რკინის გზის მუშათა მასას შეიტანოს თავისი წვლილი სატრანსპორტო მეურნეობის რაციონალიზაციის და გაუმჯობესების საქმეში.

პარმენ საბაშვილი.

საბჭოების საანგარიშო კამპანია

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

28 იანვ.-რს სადამოს საქ. ცაკში ამხ. მათიკაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა რომელზედაც მოსმენილ იქნა სხვადასხვა საზოგადოებრივ და მასიურ ორგანიზაციების ინფორმაციები მოხსენებები საანგარიშო კამპანიაში მათი მონაწილეობის შესახებ, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე.

ბორჩალოს მაზრაში საარჩევნო მოსამზადებელი და საანგარიშო კამპანიების ჩატარების შესახებ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ცაკის ინსტრუქტორმა ამხ. შ. ქვირიკაშვილმა, რომელიც მივლენილი იყო ბორჩალოს მაზრაში კამპანიების მსვლელობის გამოსაკვლევად. მომხსენებელი შეეხო უმთავრესად იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ხსენებულ მაზრაში წინასწარ მოსამზადებელი და საანგარიშო კამპანიების ჩატარებისას: მაზრის ზოგიერთი თემების გამოკვლევამ დაადასტურა, რომ შავი სიების შედგენა არ წარმოებდა თანახმად არსებული წესებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ამომრჩეველთა სიებში შეპარული არიან კულაკური ელემენტები, ხოლო მეორე შემთხვევაში საშუალო გლეხები შეტანილი არიან შავ სიებში იმიტომ, რომ „დღეს თუ არა ხვალ ისინიც კულაკები გახდებიან". მაზრის ზოგიერთ თემებში მომხსენებლის გადმოცემით, საანგარიშო კრებებზე ადგილობრივი თემსაბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოდიოდნენ არა თემსაბჭოს წევრები, არამედ სამაზრო საარჩევნო კომისიიდან მივლენილი ხელმძღვანელები, ზოგიერთ თემებში წინასწარი სამზადისი არ იყო ჩატარებული, ამიტომ სათემო საარჩევნო კომისიები ერთი დღის განმავლობაში ატარებდნენ მოსამზადებელ და საანგარიშო კამპანიებს.

ბორჩალოს მაზრაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. გოძალიძე.

მოხსენების შესახებ რეზოლიუციის დამუშავება მიენდო კომისიას.

კომკავშირის მონაწილეობა არჩევნებში

კომკავშირის მონაწილეობის შესახებ არჩევნებში, სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქ. კომკავშირის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. ნესტოროვმა. მან აღნიშნა, რომ კომკავშირელების მონაწილეობისა და როლის შესახებ საანგარიშო და საარჩევნო კამპანიებში საკითხი დასმული იყო ადგილებზე ჩატარებულ კომკავშირის ყველა კონფერენციებზე. გარდა ამისა ადგილებზე მოწვეული იყო საბჭოების წევრ კომკავშირელების თათბირები, რომლებზედაც სპეციალურად საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავდნენ.

კომკავშირელების დახმარებით როგორც ამას მომხსენებელი ამბობდა მთელ რიგ ადგილებში საანგარიშო კამპანია წარმატებით ჩატარდა. ქუთაისის მაზრაში მაგალითად, კომკავშირელებმა მოაწყვეს საზეიმო სვლა სოფლებში და აწყობდნენ მიტინგებს. სადაც ადგილობრივ გლეხობას უმარტავდნენ მომავალი არჩევნების მნიშვნელობას. კომკავშირელები დიდ როლს თამაშობდნენ აგრეთვე კულაკების გამომჟღავნებაში.

ცეკავშირის მონაწილეობის შესახებ საანგარიშო და საარჩევნო კამპანიების ჩატარებაში, მოხსენებით გამოდის ამხ. ა. მაისურაძე. მომხსენებლის გადმოცემით ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები ადგილებზე ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ საანგარიშო კამპანიის ჩატარებაში. ჯერ ერთი კოოპერაციის ხაზით რიგდებოდა და ეხლაც რიგდება ბროშურები არჩევნების მნიშვნელობის შესახებ. დაგზავნილი არის ადგილებზე მრავალგვარი პლაკატები, პროვინციაში მოგზაურობს ცეკავშირის დრამატიული დასი, რომელიც აწყობს საარჩევნო კამპანიისათვის შესაფერი შინაარსის წარმოდგენებს, ამუშავებულია 4 მოძრავი კინო და სხვა.

განათლების კომისარის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილი სხდომას აცნობს იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებულ იქნა საარჩევნო სამზადისისათვის განათლების კომისარიატის ხაზით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს მუშაობა დაყოფილი იყო ორ პერიოდათ. პირველი პერიოდი შეიცავს იმას თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ სკოლებმა ადგილებზე საანგარიშო კამპანიის ჩატარებაში. ამ მიზნით სკოლებს დაეგზავნათ განმარტებები, რომ ისინი (მოწაფეთა და მასწავლებელთა ძალებით) უნდა დაეხმარონ ტეხნიკურად თემსაბჭოებს, საანგარიშო კამპანიის ჩატარებაში. ამ მიზნით სკოლებმა დაამუშავეს დიაგრამები თემსაბჭოს მომხსენებელთათვის, შედგენილ იქნა მოსწავლე ქალებისაგან ე. წ. ძიძათა ჯგუფები, რომლებიც გაიგზავნენ იმ პატარა ბავშვების მოსავლელად, რომელთა დედებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ საანგარიშო კრებებზე.

პროფკავშირების მუშაობის შესახებ საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში მოხსენებით გამოვიდა ამხ. მარკმანი. მან დაახასიათა მთელი ის მუშაობა, რომელიც ჩაატარეს ცალკე პროფკავშირებმა ადგილებზე და პროფსაბჭომ თბილისში.

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ამხ. ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ საანგარიშო კამპანიისათვის ადგილებზე დაიგზავნა ახალი რადიო-აპარატურა. მოძრავი კინოები, ყურადღება მიექცა რომ სამკითხველოების ხაზით ყურადღება საარჩევნო კამპანიისადმი გამოცოცხლებული ყოფილიყო და სხვა.

მომხსენებლები აღნიშნავდნენ აგრეთვე იმ მიზეზებსაც, რომლებმაც ხელი შეუშალეს იმას, რომ უფრო ფართოდ მიეღოთ მათ მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

დასასრულ სხდომაზე მიღებულ იქნა მთელი რიგი წინადადებებისა, რომელთა საფუძველზედაც დამუშავებულ უნდა იქნენ ახალი ღონისძიებები ყველა დამსწრე მასიური ორგანიზაციების მონაწილეობის გასაძლიერებლად მომავალ არჩევნებში. ღონისძიებების შემუშავება მიენდო ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას.

ქალაქის რაიონის შეფბრიგადების თათბირი

ქალაქის რაიონის შეფბრიგადები, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ თავთავიანთ საშეფო სოფლებში საბჭოთა საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად, უკვე დაბრუნდნენ თბილისში, შაბათს, 26 იანვარს, რაიკომის შენობაში შესდგა აღნიშნულ ბრიგადების გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის რაიონის ყველა წარმოება-დაწესებულებების საშეფო უჯრედების წარმომადგენლები. დღის წესრიგში იდგა საშეფო სოფლებიდან დაბრუნებული მუშების მოხსენებები სოფლების მდგომარეობისა და საანგარიშო კამპანიის ჩატარების შესახებ. მოხსენებები ხსენებულ საკითხზე გააკეთა დაახლოებით ოცზე მეტმა კაცმა.

მომხსენებლების აზრით საბჭოთა საარჩევნო კამპანია შედარებით წარმატებით მიმდინარეობს, გლეხები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საანგარიშო კამპანიებში და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ადგილობრივ საბჭოს მუშაობას. ქალთა მონაწილეობაც საანგარიშო კამპანიაში ბევრ ადგილას დამაკმაყოფილებელია.

მიღწევებთან ერთად საბჭოთა საარჩევნო კამპანიას ადგილებზე ნაკლიც აქვს. მთავარი ნაკლი საარჩევნო კამპანიის ის არის, რომ ზოგიერთ საარჩევნო კომისიებში ძალიან ნაკლებათ არიან ჩაბმული ადგილობრივ ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეობა. არის შემთხვევები, როდესაც საარჩევნო კომისია შედგება მხოლოდ თემკომის და თემაღმასკომის პასუხისმგებელ მომუშავეებისაგან და ერთ, ან ორ მასწავლებლისაგან. ამიტომ ბევრ ადგილას საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს, არავითარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არ არის ჩატარებული ადგილობრივ ღარიბ გლეხობაში და კომკავშირთა ორგანიზაციებში, არ არიან მომზადებული საბჭოს წევრები საანგარიშო მოხსენებებისათვის და სხვ.

ასეა მაგალითად საგურამოს თემში. მომხსენებელის სიტყვით ამ თემში საბჭოთა საანგარიშო კამპანია ერთობ სუსტად ჩატარდა, რადგან საარჩევნო კომისიას, ღარიბთა შორის ან სულ არ ჩაუტარებია წინასწარი მუშაობა და თუ ჩაატარა, ძალიან სუსტად. საანგარიშო კრებებზე დამსწრეთა რიცხვიც ბევრ ადგილას ვერაა დამაკმაყოფილებელი, ზოგიერთ საანგარიშო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი, ხმის უფლების მქონეთა 20 პროცენტს ძლივს აღწევს, ეს თითქმის განსაკუთრებით აღბულაღის რაიონზე და გომბორის თემზე.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, გომბორის თემში ქალთა დასწრება ძალიან სუსტი იქნებოდა, რომ თბილისიდან არ ყოფილიყო გაგზავნილი მუშა-ქალი, რომელმაც ყოველგვარი ზომები მიიღო იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ქალები დასწრებოდნენ საანგარიშო კრებას. ზოგიერთი გლეხი ხელს უშლიდა თავისი ოჯახის წევრ ქალებს კრებაზე დასწრებას, ასეთივე მდგომარეობა იყო აღბულაღის რაიონშიც.

სოფლების მდგომარეობის დახასიათების დროს, მომხსენებლების უმრავლესობა ეხებოდა: სწავლა-განათლების, აღმშენებლობის, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, კოლექტივების და სხვა. საკითხებს, როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, ბევრ ადგილას სწავლა-განათლების საქმე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. სასწავლებლები ზოგიერთ სოფლებში ძალიან დიდი მანძილით არიან დაშორებული. ამის გამო გლეხები ვერ გზავნიან თავის შვილს სასწავლებლად. ასეთი მდგომარეობაა საგურამოს თემში; აქ ერთი სასწავლებელი არის საგურამოში, ხოლო მეორე სოფ. გალავანში, ისე, რომ ზოგიერთი სოფელი სკოლიდან 5—6 კილომეტრით არის დაშორებული. ასევეა ბევრ სხვა ადგილებშიაც. აღმშენებლობის მხრივაც ზოგიერთი სოფელი ძალიან ჩამორჩენილია. არ ვარგა გზები, არ არის სასკოლო შენობები და სხვ.

მომხსენებლების სიტყვით თბილისიდან ჩასულმა შეფბრიგადებმა დიდათ შეუწყვეს ხელი საარჩევნო კამპანიის გაცხოველებას და საანგარიშო კრებებზე გლეხების აქტიობის ზრდას.

ვ. წ.

დადგენილება № 1.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1929 წლის იანვრის 28

საბჭოების გადარჩევის დღეს მუშა - მოსამსახურეთა სამუშაოდან ერთი საათით ადრე განთავისუფლების შესახებ

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 77 მუხლისა, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საბჭოების გადარჩევის დღეს მუშა-მოსამსახურენი განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან ერთი საათით ადრე — არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.
2. მუშა-მოსამსახურეებს აღნიშნულ საარჩევნო უფლების განხორციელების დროს ენახებათ საშუალო ხელფასი.
3. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. შრომის სახკომისარი **თოდრია.**

საერთო-სამთ. გან. გამგის მაგ. **რობაქიძე**

შავ სიაში მოხვედრილი კომკავშირელები

(ქუთაისის მაზრა)

ქუთაისის მაზრის კომკავშირის ორგანიზაცია საბჭოთა არჩევნებში განსაკუთრებულ აქტიურ მონაწილეობას იღებს.

კომკავშირის მიერ წინასწარ ჩატარებულ იქნა მოჯამაგირე ახალგაზრდობის კონფერენციები, ღარიბ გლეხთა ჯგუფის წევრ ახალგაზრდობის თათბირები, ახალგაზრდა ქალიშვილთა კრებები; კომკავშირის მაზრკომს აქვს შედგენილი კალენდარული გეგმა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. ყველა უბნებში გამოიცა კედლის გაზეთები, მოწყობილ იქნა სადამოები, ჩატარებულია საუბრები და სხვ.

კომკავშირის სამაზრკომმა, წინასწარ მოახდინა კომკავშირელების შემადგენლობის გადასინჯვა და აღმოჩნდა, რომ კომკავშირის რიგებში შეპარულნი იყვნენ კულაკების შვილები 205 კაცამდე რომელნიც გარიცხულ იქნენ კომკავშირის რიგებიდან.

მიუხედავად ამისა, ამჟამად—ადგილებზე შავ სიების შედგენის დროს, შავ სიებში მოხვდნენ კომკავშირელებიც, რომლებიც აღმოჩნდნენ კულაკების შვილები და დაუყოვნებლივ იქნენ გარიცხული კომკავშირის რიგებიდან:

სია იმ კომკავშირელების, რომლებსაც ჩამოერთვათ საარჩევნო ხმის უფლება და გარიცხულნი არიან კომკავშირის რიგებიდან

ქ. ქუთაისში

1. ძენგელია აკაკი დავითის ძე 2. უგულავა მარგალიტა მათეს ასული, 3. ოკრაინცევი დავით დავითის ძე, 4. ხატელიშვილი გიორგი შელის ძე, 5. სარავა დავით ვასილის ძე, 6. ფხაკაძე ნიკოლოზ ერასტის ძე 7. კუპრეიშვილი აკაკი ანტონის ძე, 8. კუპლაძე შალიკო ანტონის ძე. 9. კაპეტივაძე სერგო ივლ., 10. კუხიანი ძე დათიკო ირაკლისძე 11. თედორაძე იაშა თომას ძე, 12. უკლება დავით სტეფანეს ძე, 13. გოგისვანიძე გრიგოლი მიხეილის ძე, 14. კუდინოვი ანასტასია ისიდორეს ასული, 15. ნიკოლეიშვილი გედეონ სერაპიონის ძე 16. ჩარხხიანცი პეტრე პეტრეს ძე, 17. კაკიტელაშვილი გაბრიელ არონის ძე, 18. ჩიქვინიძე დავით მიხეილის ძე, 19. ქათამაძე პროკოფი კოსტას ძე, 20. ბარათაშვილი ცაცია სიმონის ასული. 21. კუპრაშვილი დავით ბესარიონის ძე, 22 ლეჟავა არტემ პეტრეს ძე, 23. გიდენიძე ვიქტორ გიორგის ძე, 24. დათიაშვილი ნინა ბარნაბის ასული 25. გრიგოლაშვილი შალვა ილიას ძე, 26. პატარიძე მარიამ გრიგოლის ასული, 27. ჯაფარიძე მათიკო ილარიონის ასული

ხონის მცხოვრებნი

28. ბარამიძე დავით ილარიონის ძე, 29. ბახტაძე გიორგი თომების ძე 30. ღაჭავა ქსენია იოანეს ასული, 31. აბესაძე ჟენია კოწიას ასული, 32. ყუფარაძე მიხეილი ანტონის ძე, 33 ბახტაძე აკაკი კოსტა ძე. 34. ხანიძე ტატიანა ქრისტეს ასული, 35. ბალანჩივაძე გიორგი ილიკოს ძე.

სამტრედიაში

36. მაქაძე ვახტანგი მიხეილის ძე, 37. [illegible] ქეთო, 38. გოგინეიშვილი ქეთო, 39. ტაბიძე ირაკლი, 40. ტაბიძე ვლადიმერი, 41 ღლონტი სერგო 42. ძაგრაშვილი ვახტანგი, 43. ხაჯალია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე.

ხვირის თემში

44. ჩოლუხაძე დავითი მოსეს ძე.

პატრიკეთის თემში

45. მაჩალაძე სიმონ ზალიკას ძე.

ოკრიბის თემში

46. ლოხაზერიძე ონისიმე, 47. დათუაძე [illegible]

ხონში მცხოვრებნი

48. ბახტაძე ნატალია ილიას ასული, 49. მონავაძე სერგო 50. შამათავა დავითი, 51. ბახტაძე ვალენტინა, 52. ჯაფარიძე თამარა; 53. ივანე ლაჟავას შვილი—ინდ. ტეხ., 54. წიგწავაძე ისიდორე 55. ყუფარაძე ვლადიმერი, 56. ბახტაძე პეტრე.

ტყიბულში

57. ქასრაშვილი ირაკლი ელიზს ძე, 58. ხვანიძე ლიუდმილა ალექსის ასული, 59. ობოლაძე ალექსანდრე, 60. მერკვილაძე ტირიფონ.

ს. მესხი.

საანგარიშო კამპანია დამთავრდა

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ჩოხატაური, 28 იანვარი. საბჭოების საანგარიშო კამპანია 20 იანვარს ჩატარდა. ყველა უბნებში მომხსენებლებად გამოყოფილი იყო საბჭოს დეპუტატები.

27 იანვარს, კომუჯრედის, კომკავშირის, პროფკავშირების, დელეგატ-ქალთა და ღარიბ გლეხობის გაერთიანებულ კრებაზე მოსმენილ იქნა სამაზრო აღმასკომის მუშაობის ანგარიში.

შეკითხვებისა და კამათის შემდეგ აღმასკომის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად იცნო.

ცინცაძე.

საბჭოთა არჩევნები კუხის თემში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ზუგი, 28 იანვარი. კუხის თემში (ქუთაისის მაზრა) 26 და 27 იანვარს ჩატარდა საბჭოს არჩევნები. საარჩევნო კრებებს დაესწრო გოჩა-ჯახიძეში ამომრჩეველთა—92 პროცენტი, გორდაძეების უბანში—95 პროცენტი, დიდ-კუხში—88 პროცენტი, პატარა კუხში—90 პროცენტი, საერთოდ თემის მასშტაბით დამსწრეთა რიცხვი უდრიდა 91 პროცენტს. საბჭოს არჩევნები ერთსულოვნად ჩატარდა.

აქ. მუქერია.

30 იანვარს, სადამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე

შესდგება

თბილისის საარჩევნო კომისიის რწმუნებულებისა და იმ მუშების თათბირი, რომელნიც მიმაგრებული არიან თემებზე საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად

დღის წესრიგში სდგას:

მოხსენებები ადგილებიდან საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და წინასწარ შედეგების შესახებ.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

საქ. ექიმთა მე-5 კონგრესი ბათომში

26 იანვრის დილის სხდომა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოლიტების ეტიოლოგია. კლინიკა და თერაპია

კონგრესმა 26 იანვრის სხდომებზე მოისმინა მეორე საპროგრამო საკითხი—კოლიტების შესახებ. ამ საკითხზე მოსმენილ იქნა 13 მოხსენება. მთავარ მომხსენებლად გამოვიდნენ დოც. შ. მიქელაძე და პროფ. ალ. ნათიშვილი.

დოც. შ. მიქელაძის მოხსენება

მომხსენებელმა დეტალურად დამუშავებული კლინიკური მასალით სავსებით გააშუქა კოლიტების ეტიოლოგიის, კლინიკის და მკურნალობის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ეს დაავადება ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია, რასაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, სუბტროპიკული ჰავა. იგი არ წარმოადგენს რომელიმე ცალკე დაავადებას, არამედ ეს არის ერთ-ერთი კლინიკური სახე (სინდრომი). კოლიტების გამომწვევ მიზეზებს ითვლება სხვადასხვა სახის ინფექცია. ინფექცია ორგვარია: პროტოზოული (უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველები) და მიკრობული (ბაქტერიები). პირველს ეკუთვნის უმთავრესად ამებები, მეორეს დიზენტერიის ჩხირები. კოლიტების წარმოშობაში სხვადასხვა ჭიები უმნიშვნელო როლს თამაშობენ. მალარიის ნიადაგზე გამოწვეული კოლიტების შემთხვევა მომხსენებელს არ აქვს, თუმცა ამგვარი სახის კოლიტები ჩვენში არაა იშვიათი; გარდა აღნიშნული მიზეზებისა კოლიტების განვითარებას ხელს უწყობს: 1) კოლინჯის (მსხვილი ნაწლავის) ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, 2) საჭმელის მომნელებელი წვენების ნაკლებობა, 3) კოლინჯის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებანი, 4) ადამიანის განსაკუთრებული კონსტიტუცია, 5) პირის ღრუს დაავადება, 6) ცუდი კვება და სხვა მრავალი ფაქტორები.

მომხსენებელი დაკვირვებით ეხება კოლიტების ამოცნობის სხვადასხვა თანამედროვე საშუალებებს და ობიექტიურ კლინიკურ ნიშნებს. რაც შეეხება ამ დაავადების მკურნალობას, საჭიროა ჩატარებული იქნას მიზეზობრივი ხასიათის მკურნალობა. უკანასკნელ ხანებში დამუშავებულია კოლიტების ვაქცინოთერაპია, ბაქტერიოფაგებით მკურნალობა (ორგანიზმში შეჰყავთ ისეთი ბაქტერიები, რომელთაც აქვთ თვისება შთანთქონ ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები).

რაც შეეხება მედიკამენტებით მკურნალობას, მომხსენებელი აღნიშნავს ემეტინს, იატრენს და სტოვარსოლს. რაც შეეხება დიეტას, საჭიროა ყოველ ცალკე შემთხვევაში მხედველობაში იქნას მიღებული საჭმლის კალორიული და ვიტამინური ღირებულება. რაც შეეხება ოყნებით მკურნალობას, მომხსენებელი მას აძლევს მხოლოდ მექანიკურ მნიშვნელობას.

პროფ. ნათიშვილის მოხსენება

განსაკუთრებული ინტერესით კონგრესის მიერ იყო მოსმენილი პროფ. ნათიშვილის მოხსენება კოლიტების ეტიოლოგიის ანატომიური საფუძვლების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა: კოლინჯის აგებულებას ეტყობა მკაფიოდ გამოხატულობა უკუგანვითარების ნიშნები. კოლინჯის სხვადასხვა ნაწილებს თანდათობით ეკარგება ჩვენს ეპოქაში თავისი მნიშვნელობა. მისი მდებარეობის და ფიქსაციის უსაზღვრო მერყეობა და ცვალებადობა არის ერთ-ერთი მიზეზი კოლინჯის ადვილი დაავადებისა. გარდა ამისა მსხვილი ნაწლავის კუნთოვანი შრეს თავისებურება და სისხლძარღვთა რაოდენობის სხვადასხვაობა, რაც თვით კოლინჯის კვების დაქვეითებას იწვევს, აგრეთვე უწყობს ხელს მის ადვილად დაზიანებას და კოლიტების განვითარებას. ასეთსავე თავისებურებას წარმოადგენს კოლინჯის ლიმფური სისტემა და ინერვაცია. კოლინჯის აგებულობის ასეთი მერყეობით აიხსნება ამ ორგანოს მიდრეკილება ვარიანტებისადმი. ასეთი მერყევი ორგანო ნაკლებ წინააღმდეგობის უნარიანია და ადვილად ემორჩილება სხვადასხვა ცუდ ზემოქმედებას: ინფექციას, ინტოქსიკაციას და სხვა.

აღნიშნული ფაქტები ამტკიცებს, რომ კოლინჯის ასეთი მორფოლოგიური სახე არის გამომხატველი იმ ძირიან-ფესვიანი ცვლილებისა, რომელსაც ჩვენ ეპოქაში განიცდის ადამიანის კოლინჯი. ამიტომ უნდა დაუშვათ, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ორგანოს სრული მოსპობა მოელის, თუ ამისათვის სათანადო პირობები შეიქმნება.

კოლინჯის კუნთოვანი გარსის თავისებური განვითარების შესახებ მეტად საინტერესო მოხსენება გააკეთა მედ. დოქტ. ხაყვარელიძემ.

თანამოხსენებები კოლიტების შესახებ

შემდეგ მოსმენილი იქნა მთელი რიგი მოხსენებების კოლიტების ეტიოლოგიის, მკურნალობის, და ამ დაავადების დროს ადამიანის ორგანიზმში, შემჩნეულ სხვადასხვა ცვლილებების შესახებ. ამ მხრივ მეტად საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ექ. დემურიამ, ოქროპირიძემ, ნემსაძემ, გ. დიდებულიძემ, ანდრონიძემ, ცინცაძემ, თალაკვაძემ, ციცქიძემ მაღალაშვილმა.

ექ. ქ. ვეფხაძე.

26 იანვრის სადამოს სხდომა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კამათი

მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ორატორმა.

ექ. მათეიშვილი (თბილისი) ხაზს უსვამს წყლის მნიშვნელობას კოლიტების წარმოშობაში და აგრეთვე ერთგვარ როლს აკუთვნებს [illegible]. ექ. ჯაფარიძე (აფხაზეთი) აზრით მალარიას აქვს დიდი მნიშვნელობა კოლიტების ეტიოლოგიაში. ექ. ლორთქიფანიძე (თბილისი) მოსმენილი მოხსენებებს საინტერესოთ აღიარებს იმ მხრივ, რომ წარმოდგენილი მასალა დამუშავებულია და დასაბუთებული ჩვენი პირობების მიხედვით. საკითხი კოლიტების შესახებ სავსებით ამოწურულია. ექ. ახმეტელი (თბილისი): დოსტაქრებმა უდიდესი ანგარიში უნდა გაუწიონ კოლიტებს ქიაყელა ნაწლავის ანთების ეტიოლოგიაში. ქიაყელა ნაწლავის ამოკვეთა განსაზღვრულ შემთხვევებში მიზანშეწონილია, რადგან ეს ნაწლავი წარმოადგენს არსენალს, სადაც აურიცხელი მიკრობებია მოთავსებული. შესაძლებელია ქიაყელა ნაწლავის ანთება თავის მხრივ გახდეს მიზეზი კოლიტების წარმოშობისა. ექ. ურუშაძე (თბილისი) აღნიშნავს პირის ღრუს და სალეჭი აპარატის დაავადებათა გავლენას კოლიტების წარმოშობის მხრივ. ექ. მაჭავარია (ბათომი) ეხება კოლიტების ქირურგიულ მკურნალობის საკითხს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ექ. ქომოშვილმა (ქუთაისი), ექ. წერეთელმა (თბილისი), ექ. ძიძავამ (თბილისი), პროფ. დოც. ქ. ერისთავმა (თბილისი).

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. წინამძღვრიშვილმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა ის გაცხოველებული მუშაობა, რომელიც მომხსენებლების მიერაა შესრულებული აღნიშნული საკითხის ყოველმხრივ შესასწავლად. ამ მხრივ ეს კონგრესი არ ჩამორჩება საზღვარგარეთის ექიმთა კონგრესებს. სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

ექ. ქ. ვეფხაძე.

ბათომი, 26 იანვარი.

—:—

ბათომი, 28 იანვარი. 27 იანვარს საქართველოს ექიმთა კონგრესის დილის სხდომაზე პროგრამის მესამე საკითხი—„საქართველოს მოსახლეობის მოძრაობის" შესახებ მოხსენებები წაიკითხეს ექიმებმა: ლორთქიფანიძემ, ზედგინიძემ, თოხაძემ, ახლაინიშვილმა, ჟანტიევმა და სხვებმა. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 14 ორატორმა.

კონგრესის სადამოს სხდომამ მოისმინა მოხსენებები პროგრამის მე-4 საკითხის შესახებ: „ჩიყვი აჭარაში" მომხსენებლად გამოვიდნენ ექიმები: ახლაინიშვილი, ბერეჟიანი, მდივანი, რუხაძე და გოგილაძე.

28 იანვარს, დილით დაიწყო ქირურგიულ, ჰინეკოლოგიურ-სამეანო, ტროპიკული, თერაპიული, ბალნეოლოგიური და სხ. სექციების მუშაობა. სექციების მუშაობას მოუნდა დილისა და სადამოს სხდომები.

29 იანვარს მოხდება უკანასკნელი პლენარული სხდომა, რომლის შემდეგ კონგრესი დაიხურება (ალ).

კოლმეურნეობათა ცენტრის საბჭოს მეორე სესია

უკანასკნელი სხდომა

27 იანვარს დილით მოსმენილი იქნა განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენება კოლექტიურ მეურნეობებში განათლებისა და ჯანმრთელობის საქმის მოწყობის შესახებ.

კოლმეურნეობანი და ჩვენი კულტურული ამოცანები

(ამხ. ჩხარტიშვილის მოხსენება)

დღემდე კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ მუშაობის დარგში განათლების სახ. კომისარიატს თითქმის არაფერი გაუკეთებია, ეს იმ დროს, როცა კოლექტიური მეურნეობა უნდა იყოს შეუკავშირებელი გლეხობისათვის მაგალითის მიმცემი არა მარტო მიწის რაციონალურად დამუშავებისა და შრომის განაწილების დარგში, არამედ უნდა წარმოადგენდეს სოფლად კულტურულ ცენტრს სწავლა-განათლების დარგში. ამ მხრივ ჩვენ ძალზე ჩამორჩენილი ვართ და ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე დასმულია მთელი რიგი ამოცანები, რომელთა გადაჭრასაც ის დაუყოვნებლივ შეუდგება. განსაკუთრებით მიაჩნია შემდეგ ღონისძიებათა გატარება: ახალი სკოლები უნდა გაიხსნას ისეთ ადგილებში, სადაც ამ სკოლით სარგებლობა ადვილი იქნება კოლექტივებისათვის. შესაძლებლობის ფარგლებში სკოლებთან უნდა მოეწყოს საერთო საცხოვრებლები, თუ კი სკოლა დაშორებული იქნება კოლექტივებს. კოლექტივებში გაერთიანებულ ქალებს, რომელთაც ბავშვები მოეპოვებათ, მუშაობის საშუალება არა აქვთ, ამიტომ კოლექტივებთან უნდა მოეწყოს, საბავშვო ბაგები. მიღებული უნდა იქნეს ზომები ბავშვთა და მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად არა უგვიანეს 1929—30 სასწავლო წლისა. პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში შესასვლელად კოლექტივის წევრთა შვილებს არავითარი უპირატესობა არ ეძლევა დღემდე. საჭიროა მათი მიღება ისეთივე პირობებით, როგორც ღარიბი გლეხის და მოჯამაგირეთა შვილებისა შემოღებული სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლის გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნეს „კოლმეურნეობათა მშენებლობის" სწავლების შემოღება.

პოლიტგანათლების ორგანოებმა ყოველგვარი ღონისძიებანი უნდა მიიღონ, რომ კულტურული და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა კოლმეურნეობებში სამაგალითოდ იქნეს დაყენებული. კერძოთ საჭიროა: წითელი კუთხეების, სამკითხველო-წიგნსაცავების მოწყობა. გაზეთის ხმა-მაღლა კითხვის, კითხვა-პასუხის სადამოების ჩატარება, საწარმოო კომისიების და სასოფლო-სამეურნეო წრეების ჩამოყალიბება, აგრეთვე რადიოს და მოძრავი კინოს შექმნა და სხვ. გარდა ამისა კოლმეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად კოლმეურნეობებში პოლიტგანის განყოფილებებმა უნდა გამოიყენონ ზაფხულობით დათხოვნილი ან კურს დამთავრებული საბჭოთა პარტიული სკოლებიდან და კომ. უნივერსიტეტის სტუდენტები, აგრეთვე სოფლის ინტელიგენცია, როგორიცაა: სამკითხველოს გამგე, ექიმი, მასწავლებელი, აგრონომი და სხვ. ყველა ამ ღონისძიებათა გატარებისათვის საჭირო თანხები, გაღება უნდა იკისრონ როგორც კოლმეურნეობებმა, ისე განათლების სახ. კომისარიატმა.

—:—

ამხ. ჩხარტიშვილის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. ჩხიკვიშვილის მოხსენება კოლმეურნეობებში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ სესია დაიხურა.

ქრონიკა

ამხ. ვ. დუმბაძის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის გეოდეზიური სამმართველოს უფროსად დანიშნა ამხ. ვ. დუმბაძე. მის მოადგილედ კი ინჟ. კარსი.

ა.-კ. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი

დღეს, 29 იანვარს, ა.-კ. საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება ამიერ-კავკასიის საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში.

თათბირი მეგამბეობის საკითხებზე

27 იანვარს, საღამოს შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები და პრაქტიკული ღონისძიებები, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

ამ.-კავკასიის კომიტეტი საბჭოთა კავშირის კინოპროდუქციის რეალიზაციისათვის

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სახ. კინომრეწველობას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც დაარსდება მთლიანი კომიტეტი საბჭოთა კავშირის კინო-პროდუქციის რეალიზაციისათვის ახლო აღმოსავლეთში. ახლო მომავალში ამ საზოგადოების წარმომადგენლები გაიგზავნებიან ანგორასა, სტამბოლსა, თეირანსა და თავრიზში.

ახალი სავაჭრო პუნქტების გახსნის წესი

თბილისის აღმასკომმა მიიღო დადგენილება ქალაქის უბნებში სხვადასხვა კოოპერატიულ დაწესებულებების მიერ ახალი სავაჭროების გახსნის წესის შესახებ. დადგენილების თანახმად ყველა სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს აკრძალული აქვს ახალი სავაჭრო პუნქტების გახსნა, თუ საამისო ნებართვა არ ექნებათ აღმასკომის სავაჭრო განყოფილებისაგან.

ღონისძიება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღემდე კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები თავის სავაჭრო პუნქტებს ხსნიდენ უმთავრესად ქალაქის ცენტრალურ უბნებში, მაშინ, როდესაც სავაჭროების გახსნა უფრო საჭირო იყო მუშათა უბნებში. სავაჭროების გახსნის ახალი წესის ცხოვრებაში გატარებით შესაძლებელი გახდება კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო პუნქტების განაწილების მოწესრიგება ქალაქის მასშტაბით.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **კურსების გახსნა.** ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით თბილისში გადაწყვეტილია გაიხსნას კოლექტიურ მეურნეობებში დაარსებულ საბავშვო ბაგების მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.

◆ **სამკურნალო დახმარება მწყემსებს.** ჯანმრთელობის კომისარიატი ხსნის საექიმო პუნქტებს მეჯოგეობის რაიონებში—მწყემსებისათვის უფასო სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად. პუნქტები სეზონური ხასიათის იქნება.

თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებაში

◆ **მესამე საავიაციო ლატარიის ბილეთები.** თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცნობით დღემდე საქართველოში გასაღებულია მესამე საავიაციო ლატარიის 20.000 ბილეთი.

◆ **ინსტრუქტორების მომზადება.** თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო ხსნის საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის ინსტრუქტორთა მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებს 60 კაცისათვის. კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან ქიმიური რაზმების ხელმძღვანელებად.

◆ **თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მონაწილეობა არჩევნებში.** საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა მისწერა თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს ადგილებზე, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა არჩევნებში.

სხვადასხვა

◆ **თხილის დამზადება.** სოფლის კავშირმა დაამზადა 130.000 ფუთი თხილი. ამ რაოდენობიდან 70.000 ფუთი დამზადებულია საექსპორტოდ.

◆ **წყალსადენი სოფლად.** ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში მიღებული ცნობით, თელავის აღმასკომმა დაადგინა სოფ. კისისხევში გაიყვანოს წყალსადენი. წყალსადენის გასაყვანი ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 32.783 მანეთის რაოდენობით.

◆ **გამოკვლევის ჩატარება.** შრომის კომისარიატს გადაუწყვეტია აქ ჩაატაროს გამოკვლევა, თუ რამდენათაა შესრულებული ცალკე წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად დადებული ხელშეკრულებები.

◆ **„გლაველექტროს" კომისიის გამგზავრება.** საკავშირო ს.მ.უ.ს.-თან არსებულ „გლაველექტროს" კომისია, რომელიც ჩამოსული იყო აჭარისწყალის ჰიდროელსადგურის შესამოწმებლად, გაემგზავრა უკან მოსკოვში.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სომეხი აშუღების ჩამოსვლა.** ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში მოელიან სომეხ აშუღების დასტას დამკვრელ შარა-ტალიანის მეთაურობით.

◆ **ახალი პრემიერა.** რუსთაველის თეატრმა დაასრულა მზადება რობაქიძის პიესა „უდეგა"-ს დასადგმელად. პიესა წავა თებერვლის პირველ რიცხვებში.

გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის

კრედიტები უკვე განაწილებულია

ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ბ. კარახანიანმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ თანახმად ცენტრიდან მიღებული დირექტივისა, ყველა კრედიტები გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის სავსებით განაწილებულია.

ბანკის საშუალებებიდან გახსნილია შემდეგი კრედიტები: მუშა საქონლის შესაძენად—400.000 მანეთი (აქედან საქართველოს—150.000 მანეთი, აზერბეიჯანს—100.000 მანეთი, სომხეთს—150 ათასი მანეთი) თესლისათვის—685.000 მანეთი (აქედან საქართველოს — 385.000 მანეთი, აზერბაიჯანს—100 ათასი მანეთი, სომხეთს—200 ათასი მანეთი), მავნებლებთან ბრძოლისათვის—200. ათასი მანეთი, (საქართველოს — 50. ათასი მანეთი, აზერბეიჯანს—100 ათასი მანეთი, სომხეთს — 50.000 მანეთი). და თესლის საწმენდ პუნქტებისათვის—148.000 მანეთი, აზერბეიჯანისათვის—100.000 მანეთი და სომხეთს—48 ათასი მანეთი).

გარდა ამისა გამოყოფილია მანქანების მისაწოდებლად საქართველოსთვის—226.000 მან., აზერბაიჯანისათვის—432.000 მანეთი და სომხეთისათვის—102.000 მანეთი. ტრაქტორებით მომარაგებისათვის საქართველოს მიეცა — 67.000 მანეთი, აზერბეიჯანს—218.000 მანეთი და სომხეთს—45.000 მანეთი.

ამ კრედიტების გარდა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს მიცემული აქვთ წინადადება გამოჰყონ თანხები გაზაფხულის თესვისათვის საკუთარ საშუალებიდან. ამ წინადადების თანახმად, საქართველოს ბანკმა უნდა გამოჰყოს—972.000 მანეთი, აზერბეიჯანისამ—898.400 მან. და სომხეთისამ—714.000 მანეთი.

საბიუჯეტო თანხები განაწილებულია შემდეგნაირად: საბჭოთა მეურნეობებს—150.000 მანეთი, გადასახლებისათვის—300 ათასი მანეთი, საკრედიტო სისტემის ძირითად ქსელის თანხების გასაძლიერებლად—200.000 მანეთი, ღარიბებისათვის—400 ათასი მანეთი, კოლექტიურ მეურნეობებისათვის—245.000 მანეთი და სათესლე ფონდის შესაქმნელად—150.000 მანეთი.

ბანკმა გაანაწილა აგრეთვე საკავშირო ფინსახკომის მიერ მელიორაციისათვის გადადებული 312.000 მანეთი; საქართველოს მიეცა — 68.000 მანეთი, აზერბეიჯანს—113 ათასი მანეთი და სომხეთს—32.000 მანეთი. ამავე მიზნით გაიცა ამიერ-კავკ. ფინსახკომის მიერ საქართველოსათვის გადადებული 200,000 მანეთი.

წვრილი სადღეკო კრედიტი მუშა-მოსამსახურეებს

მუშა-მოსამსახურეებისათვის წვრილი სადღეკო კრედიტის გეგმაშეწონილად მიწოდების მიზნით ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება წვრილი სადღეკო კრედიტის ხელფასის ანგარიშში ჩათვლის შესახებ.

წვრილი სადღეკო კრედიტის მიწოდების განხორციელება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც მომუშავეებსა და სამეურნეო ორგანოებს შორის მიღწეულია შეთანხმება. კრედიტის ვადათ დაწესებული უნდა იქნეს არა უმეტეს ორი კვირისა და კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ორი კვირის ხელფასის 50 პროცენტს, თუ ამა თუ იმ მუშაკს ამავე დროს არ ეძლევა გრძელვადიანი კრედიტი. უკანასკნელ შემთხვევაში წვრილი სადღეკო კრედიტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორი კვირის ხელფასის 30 პროცენტს.

წვრილი სადღეკო კრედიტი ითვლება ხელფასის ანგარიშში წაღებულ ავანსად და მისი გასტუმრება ხდება ხელფასის გაცემის დროს მთლიანად. წვრილი სადღეკო კრედიტი არ შეიძლება ჩათვლილ იქნეს გასასვლელ დახმარების, გამოუყენებელ შვებულების კომპენსაციის, სპეცტანისამოსის და სხვ. ანგარიშში.

წვრილი სადღეკო კრედიტის გაცემა შეუძლიათ მხოლოდ მუშკოოპს და სატრანსპორტო კოოპერატივებს.

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა ამიერ-კავკ. პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ორი კვირის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების გამოსაყენებლად.

ჭიათურა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შავი ქვის ექსპორტი

მარგანეცის ტრესტის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, 30 იანვარს ფოთში მოვა გემი „რიბერა", რომელიც გაიტანს ინგლისში 6.400 ტონა გარეცხილ მადანს.

ფოთში მოელიან გემ „გილდა"-ს, რომელიც გაიტანს ამერიკისათვის 8. 400 ტონა გარეცხილ მადანს.

მუშათა სახლების მოწყობა

მუშების საცხოვრებელ ბინებისათვის შავიქვის ტრესტი ამზადებს მაგიდებს, სკამებს, განჯინებს და სხვა.

ამ დღეებში ტრესტმა მიიღო თბილისიდან ლეიბების ერთი პარტია.

ქარხნების რემონტი

ამჟამად მიმდინარეობს რემონტი ქარხნებში № 13, 31 და 28.

მოკლე ხანში დაიწყება ქარხანა № 4 (ყოფ. პანასიუს) კაპიტალური შეკეთება.

დამთავრებულია რემონტი და ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას ქარხანა № 11.

დაიწყო რემონტის შემდეგ მუშაობა ქარხანა № 6.

500 მუშა

ამ დღეებში ამუშავდება მღვიმევის მიდამოებში უდიდესი და მძლავრი მაღარო.

ამ მაღაროსათვის საჭიროა ხუთასი ახალი მუშა.

მარგანეცის ტრესტმა გამოითხოვა შრომის ბირჟიდან მუშების ხსენებული რაოდენობა.

ნახევარი თვის განმავლობაში

1 იანვრიდან 16 იანვრამდე ამოღებულია მაღაროებიდან 41.194 ტონა მარგანეცი. გარეცხილია 14.143 ტონა.

16 იანვრისათვის მაღაროებში დაბანდებული იყო 8.244 მუშა, ქარხნებში კი—557 მუშა.

შემთხვევები

მგელი სოფ. გულიანში

17 იანვარს სოფ. გულიანში (გურია) შეიჭრა მგელი, რომელმაც დაგლიჯა მრავალი შინაური ცხოველი. სოფლელები მგელს თოფებითა და კეტებით დაედევნენ. დევნის დროს მგელი შეხვდა მოქ. დომენტი ბერიძეს, რომელმაც მგელი დასჭრა წალდით, მაგრამ თითონაც მიიღო რამოდენიმე ჭრილობა. შემდეგ გაქცეულმა მგელმა დაკბინა მოქ. ბ. ჯიჯეიშვილი. დასახმარებლად მისვარდნილმა გლეხებმა მოკლეს მგელი.

ბორის სიმჟავის შესხმა

კვირას 27 იანვარს, ილინი ბესარიონის ასულმა ხუნდაძემ (მცხ. გრიბოედოვის ქ. № 34). ბორის სიმჟავი შეასხა თვალებში მოქ. პოლიკარპე ლავრენტის ძე მახარაძეს (მცხ. პუშკინის ქ., 29), რომელსაც დაუზიანდა პირისახე. ხუნდაძე დაპატიმრებულია.

ხანძარი

გუშინ, პეროვსკაიას ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 3. ხანძარი ჩააქრეს შინაური საშუალებით.

ხანძარით გამოწვეული ზარალი ირკვევა.

დაჭრა

მუშათა ახალ კლუბის ტირში რევოლვერის ტყვიით მოულოდნელად დაიჭრა მოქ. გიორგი გასპარიანი. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა: ალი ჯალილ ასკაროღლი მუსა სოლომონ-ოღლი, ირაკლი მათსურაძე (15 წლისა). რამაზ მათიასიძე განაროვა, ივანე ანტონისძე ეკაიყიძე (უბინაო მოში გიორგის ძე მჭედლიშვილი (უბინაო და კერბალონ გასან გაჯი-ოღლი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

ან. ჩერნიავსკის თბილისის სადგურში მოპარეს ჩემოდანი, რომელშიაც იყო 600 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ცეხსაქმელების სახელოსნო (კალინინის ქ. 47). წაიღეს სხვადასხვა ნივთები;—გარდა ამისა, 27 იანვარს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6

ნაპოვნი დოკუმენტები

საქართველოს ბინათ-კავშირის შენობის შესავლთან (შუა ბაზარი 6.) ნაპოვნია მოქ. აირაპეტ ასლანის კუთვნილი შემდეგი დოკუმენტები: ურთიერთ დამხმარე სალაროს წიგნაკი № 216, მოწმობები № 539 და № 1024 და სხვადასხვა დოკუმენტები.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

საჭირო განმარტება

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველ ტირაჟთან დაკავშირებით ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ყველა ობლიგაციები დაყოფილია 11 თანრიგად (4 თანრიგი პროცენტიან სესხის ობლიგაციები და 7 თანრიგი უპროცენტო სესხის ობლიგაციები) და თვითეული თანრიგი წარმოადგენს თითქმის დამოუკიდებელ გამოცემას.

თვითეულ თანრიგში ობლიგაციების და სერიების ნომრები იწყება პირველიდან, ისევე, როგორც თვითეულ სერიაში ობლიგაციების ნომრები.

წვრილი მოგებები ხვდება რომელიმე სერიის ყველა ობლიგაციებს და ვინაიდან თვითეულ სერიას აქვს 25 ნომერი, იგებს ამ სერიის ყველა 25 ობლიგაცია.

მსხვილი მოგების გათამაშების დროს კი მოგება ხვდება ამა თუ იმ სერიის და თანრიგის ერთ რომელიმე ობლიგაციას.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟი

გურჯაანი, 27 იანვარი. 16 თებერვალს გურჯაანში გაიმართება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟი. სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ქალაქსა და მაზრაში. მოსკოვიდან მიღებულია სატირაჟო მანქანები. ტირაჟს დაესწრებიან გლეხთა დელეგატები ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკიდან. ტირაჟი მოხდება რკინისგზელთა კლუბში. (ადს).

ფართალის განაწილება

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ამიერ-კავკასიისთვის გამოყოფილია 215 ვაგონი ბამბის ქსოვილები და 150.000 მანეთის შალეული. ამ რაოდენობიდან მიზნობრივი დანიშნულებისათვის გამოყოფილია 45 ვაგონი ფართალი რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: მებამბეთა მოსამარაგებლათ გადადებულია 32 ვაგონი (საქართველოს მებამბეთათვის—3 ვაგონი, აზერბეიჯანის მებამბეთათვის 22 ვაგონი და სომხეთის მებამბეთათვის—7 ვაგონი).

მატყლის დასამზადებლად გადადებულია—10 ვაგონი (საქართველოსთვის—4 ვაგონი, აზერბეიჯანისთვის—4,75 ვაგონი და სომხეთისთვის—1,25 ვაგონი); მეთამბაქოეთა მოსამარაგებლათ—3 ვაგონი (აფხაზეთისთვის—2,5 ვაგონი და საქართველოს დანარჩენ რაიონებისთვის 0,5 ვაგონი).

დანარჩენი ბამბის ქსოვილები 170 ვაგონის რაოდენობით გადადებულია ბაზრის დასაკმაყოფილებლად და რესპუბლიკათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოსთვის გამოყოფილია—74 ვაგონი აზერბეიჯანისთვის—77 ვაგონი და სომხეთისთვის—19 ვაგონი.

საქართველოსთვის გამოყოფილი 74 ვაგონი ფართალი ორგანიზაციათა შორის განაწილებულია ასე: მუშკოოპს მიეცემა—17,5 ვაგონი, ცეკავშირს—32,5 ვაგონი, „ზაკტპო"-ს—5 4 ვაგონი, „ზაკვოენპო"-ს—3,6 ვაგონი, აფხაზეთის კოოპკავშირს—3,5 ვაგონი, სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას—7 ვაგონი და სამხედრო ვაჭრობას—4,5 ვაგონი.

მატყლის ქსოვილების მთელი რაოდენობა (150.000 მანეთის) რესპუბლიკათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს მიეცემა—36.860 მანეთის ქსოვილები, აზერბეიჯანს—84.600 მანეთის და სომხეთს—8.540 მანეთის.

შალეულის რეალიზაცია საქართველოში დავალებული აქვს მუშკოოპს და „ზაკტპო"-ს. საქართველოსთვის გამოყოფილ 36.860 მანეთის შალეულიდან მუშკოოპს გადაეცემა 28.000 მან. და „ზაკტპო"-ს 8.860 მანეთის შალის ქსოვილები.

სასამართლო

უცნაური შურისძიება

როგორც ვსწერდით, ეს ამბავი მოხდა გასულ წლის სოფელ ლისში (თბილისის მაზრა).

ბაგრატ სანდროსძე ოგანეზოვს მოსწონდა მარლანის ქალი კატო, რომელსაც რამდენიმეჯერ სთხოვა ცოლად გაყოლა.

ქალი ყოველთვის უარით უპასუხებდა ოგანეზოვს.

ოგანეზოვის სიძობის წინააღმდეგნი იყვნენ აგრეთვე ქალის მშობლები და ძმები. ოგანეზოვი მაინც არ ეშვებოდა ქალს. ზოგჯერ მუდარით და ზოგჯერ მუქარით ცდილობდა ქალის დათანხმებას, მაგრამ უნაყოფოდ ჩაუარა ყოველივე ცდამ.

კატო დაინიშნა სხვაზე. მარლანის ოჯახში უკვე შეუდგნენ სამზადისს ქორწილისათვის.

ბაგრატ ოგანეზოვმა დაჰკარგა ყოველივე იმედი, იგი დარწმუნდა, რომ სამუდამოდ ხელიდან გაუსხლტა კატო, მაგრამ როდი შეურიგდა თავის ბედს. გადასწყვიტა მისი გულის დატანჯვისათვის. დაეტანჯა კატოს გულიც.

ოგანეზოვი ხვდება კატოს რამდენიმე დღით ადრე ქორწილამდე და ასეთი მუქარით მიმართავს მას: „თუ ბიჭი ვარ, ქორწილს ტირილით შეგიცვლით".

ბაგრატს გადაწყვეტილი აქვს რაიმე დიდი უბედურება დაატეხოს თავს მარლანის ოჯახს და მით ჩაშალოს ქორწილი.

თავისი მიზნის განსახორციელებლად ოგანეზოვმა მსხვერპლად აირჩია კატოს ძმა ვანო მარლანი. გადასწყვიტა მისი მოკვლა რადგან დარწმუნებული იყო, რომ ვანოს მოკვლა დიდათ დაამწუხრებდა მარლანის ოჯახს და გულს დაუკოდავდა კატოსაც.

17 ოქტომბერს ვანო მარლანმა საქონელი გარეკა საძოვარზე, რომელიც კარგა დიდი მანძილით იყო დაშორებული სოფლიდან.

შურისძიების გრძნობით გამსჭვალულ ოგანეზოვისათვის დადგა ხელსაყრელი მომენტი, ბოროტი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად როგორც კი გაიგო ვანო მარლანის მთაში წასვლა, შეიარაღდა ხანჯლით, მოისხა ჩოხა და უკან გამოუდგა.

საძოვარზე ოგანეზოვმა „ტკბილი" საუბარი ჩამოუგდო მარლანს, რათა გაეტყუებინა იგი უფრო მოფარებულ ადგილისაკენ.

მარლანი, რომელიც არავითარ საფრთხის მოლოდინში არ იყო, გაჰყვა მას წყნარი ნაბიჯით, თითონაც მოხიბლული იყო, რომ მოსაუბრის წააწყდა.

მაგრამ უცებ გააძრო ხანჯალი და გული გაუფატრა მარლანს. გამხეცებული ოგანეზოვი სასიკვდილოდ დაჭრილ მარლანის კიდევ ათამდე ჭრილობას აყენებს სხვადასხვა ადგილას და როცა რწმუნდება, რომ საბოლოოდ მოკლა, სტოვებს დაჩეხილ გვამს და გარბის.

მეორე დღის გამთენიისას ნახეს ვანო მარლანის დაჩეხილი გვამი. ამბავი ეცნობა მილიციას. დაიწყო ბოროტმოქმედის ძებნა. ეჭვით დააპატიმრეს ოგანეზოვი, რომელიც არ გამოტყდა დანაშაულში.

ოგანეზოვი საპატიმროში უახლოვდება ერთ პატიმარს ოშაყმაშვილს, რომელსაც ღამით, როცა სხვა პატიმრებს ეძინათ უყვება დაწვრილებით, როგორ მოჰკლა მან მარლანი და სთხოვს ყოველივე ეს ნამუსად შეინახოს.

მაგრამ ნამუსის შენახვა შეუძლებელი გახდა. ოგანეზოვის ლაპარაკს გარედან ყურს უგდებდა მცველი, რომელმაც ოგანეზოვის ნაამბობი გადასცა გამომძიებელს.

ბაგრატ ოგანეზოვი გუშინ გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო უფლებების წართმევა 5 წლით.

—:—

გაფლანგვა

თბილისის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. თაბაშიძის თავმჯდომარეობით გაასამართლა მოქ. პავლე პეტრესძე გაგნიძე.

გაგნიძე გასული წლის აგვისტომდი ინვალიდთა კოოპერატიულ კოლექტივ „გლარჯა"-ს თანამშრომლად ითვლებოდა.

გაგნიძეს ჯამაგირი კარგი ჰქონდა. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ 200 მანეთი თვიურად კარგი ფულია!

მაგრამ დიდ ჯამაგირს მადის გაშლა სცოდნია, როგორც ეს გაგნიძემ დაამტკიცა.

თამბაქოს ტრესტიდან საზოგადოება „გლარჯა" იღებდა კრედიტს და ეს კრედიტი მოქალაქე გაგნიძემ თავის კეთილდღეობის გასაუმჯობესებელ წყაროდ გაიხადა.

გაგნიძე არ ჩქარობდა ანგარიშის გასწორებას თამბაქოს ტრესტთან და არტელის გამგეობასთან, რადგან ყოველთვიურობით მატულობდა მისი დეფიციტი და რაიმე მსხვილი კომბინაციის გაკეთებამდე, არ იყო მაინცდამაინც „მიზანშეწონილი" ანგარიშის ჩაბარება.

გაგნიძეს არ დასცალდა მსხვილი კომბინაციის გაკეთება რადგან კარზე მოადგა სარევიზიო კომისიამ, რომელმაც გაგნიძეს აღმოუჩინა გაფლანგული 1500 მანეთი.

გათავდა გაგნიძის კარიერა. მან თავი დაუკრა 200 მანეთიან ჯამაგირს და გამსახლის საკანში ამოჰყო თავი.

სასამართლომ პავლე გაგნიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. მსჯავრდადებულმა უნდა აანაზღაუროს გაფლანგული ფული.

ზერ.

—

განმარტება: ჩვენი გაზეთის 15 დეკემბრის №-ში მოთავსებულ ანგარიშში, დასახელებული ისაკი კუპრავა არ არის სენაკის მაზრ. სოფ. ნოჯიხევის მცხოვრები ისაკი ზეგლარისძე კუპრავა.

ამინდი საქართველოში

27 იანვარს ნაშუადღევიდან მთელს საქართველოში ტემპერატურამ დაწევა იწყო.

28 იანვარს: თბილისში დილის 7 საათზე სუსტად თოვდა. შემდეგ თოვლი შესწყდა და დადგა წყნარი და მოღრუბლული დარი. ტემპერატურა—7 გრად. უდრიდა. 27 იანვარს ღამით ტემპერატურა—10 გრადუსამდი დაეცა. თოვლის სისქე უდრის 10 სანტიმეტრს.

დანარჩენ ადგილებში ამინდი ასეთია:

ბორჯომი. ჩრდილო აღმოსავლეთის სუსტი ქარი, მოწმენდილი. ტემპერატურა—14 გრად. თოვლის სისქე 10 სანტიმ.

აბასთუმანი. მოწმენდილი დარი, ტემპერატურა—17 გრად., თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

ლიბანი. მოწმენდილი ამინდი. ტემპერატურა—14 გრად. თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

გორი. ჩრდ. აღმ. ზომიერი ქარი. მოწმენდილი, ტემპერატურა—7 გრად. თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

გუდაური. ჩრდ.-აღმ. სუსტი ქარი, ტემპერატურა —13 გრად., თოვლის სისქე 60 სანტიმეტრი.

წიფა. ჩრდ.-აღმ. ქარი, მოწმენდილი, ტემპერატურა—8 გრად. თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

ჭიათურა. ჩრდ. ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, მოწმენდილი, ტემპერატურა—2 გრად, თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

საგარეჯო. მოღრუბლული, ტემპერატურა—8 გრად., თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

ლიუქსემბურგი. მოღრუბლული. ტემპერატურა—7 გრად. თოვლის სისქე 10 სანტ.

სამტრედია. აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, მოწმენდილი, ტემპერატურა—1 გრად. (27 იანვარს+6 გრად.).

ფოთი. აღმოსავლეთის ძლიერი ქარი. მოწმენდილი, ტემპერატურა—2 გრად.. (27 იანვარს+6 გრად.).

ბათომი. სუსტი ქარი. მოწმენდილი ტემპერატურა+5 გრად. (27 იანვარს+9 გრად.).

სოხუმი. მოწმენდილი, სიწყნარე. ტემპ.+6 გრად. (27 იანვარს+12 გრად.).

—:

ლენინგრადში და მოსკოვში

საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მიღებული ცნობით ლენინგრადში 28 იანვარს ქროდა აღმოსავლეთის სუსტი ქარი. ტემპერატურა უდრიდა—16 გრადუსს. ღამე თოვდა. მოსკოვში ქროდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურა უდრიდა—19 გრადუსს.

რკინის გზებზე

ხაზზე მომუშავე ადმინისტრაციის უფლებების გაფართოება

ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობასთან შესდგა გზის სამმართველოს განყოფილებების უფროსების თათბირი. თათბირზე განიხილეს ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობის გაფართოების საკითხი.

თათბირზე გამოირკვა, რომ მრავალ განყოფილებებში ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციის უფლებები დიდი ხანია, რაც გაფართოებულია, მაგრამ აქამდე არ არის შეგროვებული და დამუშავებული ამ საქმესთან დაკავშირებული მასალები. ამის გამო ზოგ ადმინისტრატორს ჯერ კიდევ მტკიცედ არა აქვს შეგნებული თავისი უფლება-მოვალეობანი.

თათბირმა საჭიროდ სცნო, ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციას მიენიჭოს მეტი დამოუკიდებელი მუშაობის და ინიციატივის გამოაშკარავების საშუალება. ამისათვის მრავალი საკითხები, რომლებიც აქამდე სწყდებოდა ცენტრში, გადაწყვეტად გადატანილი იქნება ხაზებზე.

გამოყოფილია განსაკუთრებული სამეული, რომელსაც დავალებული აქვს ორი კვირის განმავლობაში შეაგროვოს ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობის გაფართოებასთან დაკავშირებული ყველა მასალები, რათა შესაძლებელი გახდეს სპეციალური დებულების შემუშავება ამ საკითხზე.

ახალი კურსები

ა. კ. რკინის გზების პროფესიონალური განათლების განყოფილება მიმდინარე წელში გზებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის აწევის მიზნით ხსნის შემდეგ კურსებს:

თბილისში: მემანქანეთა კურსები—36 კაცისათვის, სადგურის უფროსების თანაშემწეთა კურსები—28 კაცისათვის, მახანძრეთა ხელმძღვანელების კურსები—25 კაცისათვის და ცენტრალიზაციის მონტიორების კურსები—14 კაცისათვის.

ბაქოში: მემანქანეთა თანაშემწეების კურსები—21 კაცისათვის, ტელეგრაფისტ—29 კაცისათვის, სადგურის უფროსების თანაშემწეებს—31 კაცისათვის დიზელებზე მომუშავეების—32 კაცისათვის და საბილეთო და საბარგო მოლარეების—30 კაცისათვის.

ლენინაკანში: გაიხსნება გზის ოსტატების კურსები 11 კაცისათვის.

ყველა ახალ და უკვე არსებულ კურსების შესანახად წელს დაიხარჯება—259.491 მანეთი.

ტურიზმის განვითარება

ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობამ საქციო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი"-საგან მიიღო განცხადება ტურისტების რკინის გზით გადაყვანის შესახებ.

საზოგადოებას 1-ლ ივნისიდან—1 სექტემბრამდე განზრახული აქვს მოსკოვიდან—ბაქომდე ყოველ ორ კვირაში გაგზავნოს ოცი-ოცი ექსკურსანტი, რომლებიც იმოგზაურებენ მატ. № 18-ით.

ამასთან ერთად, ყოველდღიურად თბილისიდან-ბათომამდე მატ. № 64 და 60-თ გაიგზავნება 60 ექსკურსანტი

გზის გამგეობის მიმართვა

ამიერ-კავკ. გზ. გამგეობამ მიმართა თხოვნით გზათა სახ. კომისარიატს გაადიდოს ამიერ-კავკ. გზებისათვის საჭირო თანხები და დააჩქაროს ახალი სამუშაოების ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტუროსნების დემონსტრაცია

საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის დამთავრების აღსანიშნავად. კვირას, 3 თებერვალს საქპროფსაბჭო თბილისში აწყობს ყველა კავშირების კლუბების და ფიზკულტურის წრეების სადემონსტრაციო შეჯიბრებას ამანათ რბენში. დილის 10 ნახ. საათისათვის თბილისის აღმასკომის წინ იკრიბება ყველა კავშირების და კლუბების ფიზკულტურის წრეები, სხვადასხვა სიმღერები, სიმებიანი ორკესტრები, სასიმღერო გუნდები, ცოცხალი გაზეთები, პიონერები და ახალგაზრდები. მოედანზე გაიმართება მოკლე მიტინგი, რომლის შემდეგ (დღის 12 საათზე) დაიწყება გასამხედროებული ამანათ რბენი ქალაქის ირგვლივ. ამანათ რბენის დროს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გაიმართება სამხატვრო წრეების გამოსვლა.

ამანათრბენი იმართება წრეების გუნდების და კავშირების პირველობაზე; თვითეულ გუნდში შედის 10 კაცი.

ამანათ რბენი იმართება წრეების გუნდების ფლების მოედანზე.

გადარბენის პუნქტებია: საქართველოს მუზეუმი, სახელმწიფო ოპერა, ყოფ. ზემელ ს აფთიაქი, თბილისის მუშათა თეატრი, ხელოსანთა კლუბი, კარლ მარქსის მოედანი, კომუნართა ბაღი. შუა ბაზარი, მუხრანის ქუჩის შესასხვევთან და სასტუმრო „პალას"-ი.

ამ პუნქტების შემდეგ მორბენლები უბრუნდებიან ქალაქის აღმასკომის შენობას, სადაც პირველად მოსული გუნდის მორბენალი გადასცემს ამანათს (უხმურ თოფს) იქვე მოლოდინე ფიზკულტუროსანს, რომელიც აცილდება თოკზე და გადასცემს საბჭოს თავმჯდომარეს ფიზკულტუროსნების ნაკაზს.

წრე, რომელიც უკეთესად ჩაატარებს კამპანიას ჯილდოთ მიიღებს ერთი წლით ორ სასპორტო ჟურნალს.

გუნდი, რომელიც პირველი გადასცემს ამანათს (თოფს) მომდინარე ფიზკულტუროსანს, მიიღებს ჯილდოს 10 სასპორტო ხალათს (მაიკას) და ათ მოკლე შარვალს.

მეორე ადგილზე გამოსული გუნდი მიიღებს 10 ხალათს. მესამე ადგილზე გამოსული გუნდი—10 მოკლე შარვალს.

დანარჩენ გუნდებს მიეცემათ დიპლომები. კავშირი, რომელიც გამოიყვანს ყველაზე მეტს ფიზკულტუროსნებს მიიღებს გარდამავალ ჯილდოს.

ამანათ რბენის სასპორტო ნაწილის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს თბილისის ფ. კ. საბჭოს და ს. პ. კ. ს. ფ. კ. ბიუროს მძლეოსნურ სექციას.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 29 იანვარი

დღეს, 29 იანვარს, თბილისის 4 [illegible] ტიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაიცემა [illegible] გლეხთა რადიო-გაზეთი; [illegible] სახალხო კომისარის ამხ. გ. კუჭაიძის მოხსენება—„სახალხო ჯანმრთელობის დაცვა 2 წლის განმავლობაში"; გაზეთი „პროლეტარი" რადიოთი; ტეხნიკური კონსულტაცია; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე; ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი; უკანასკნელი ცნობები; კონცერტის გაგრძელება (პოპულიარული მუსიკა); სამხედრო ორკესტრი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ევსევი გოგიჩაიძე, ისაკ რაპოპორტი მარიამ სუგაროვა, გრიგოლ მახათაძე.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ნიკოლოზ მღებროვი, მანუკ ადამოვი, ალექსანდრე ცოტაძე.

მედსექციიდან: ნადეჟდა ნიჟარაძე, ლიუბა სიტნიკოვა, ნანული ბაბილოვა, მარიამ თუხარელი, ელენე ჩარკვიანი, სოფიო გუნდიევა, მარიამ დემოსოვა, ლიუდმილა კლინიცკაია, ვერა ლეგავა, კრასილიეცკაია.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: არჩილ ძამაშვილი ბარბალე. აბულაძე გრიგოლ, ბერუაშვილი, ნადეჟდა ლორთქიფანიძე, ქსენია მემინიშვილი, ნიკოლოზ თარხნიშვილი, მარიამ მუჯირი ქულუჯანოვი, იაროვი, ჯიქია, სანოვა.

შავ მუშათა სექციიდან: ტიგრან ასატუროვი, ეკატერინე კორაჩენკო, კონსტანტინე ჯინჭარაძე, გარეგინ არაპეტიანი, ზარანდია, გიორგი მეგვინაძე, ირემია არეშიძე, ირაკლი ჯიოევი ალექსანდრე შანიძე, მათე კატიევი, სოფიო ვასპარიანი, ვასილ ჭავთარაძე, შიო კოდორაშვილი, დიმიდენკო, ივანე ოუზბაშევი, ალექსანდრე კვანტალიანი, ვახტანგ მარუაშვილი.

პარტიული კალენდარი

დღეს, სამშაბათს, 29 იანვარს, ამხ. ს. მამულიას კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ელბაქიანი ან კაკაბაძე (ს. მ. უ. ს.). ბოჭორიშვილი (საკ. სამმ.), ჩომბურიძე ან ცხაკაია (პროფ. გან. მთ. მმართ.), ხვედელიძე (სამთამადნო მუშათა კავშირი), მარგანეცის ტრესტის წარმომადგენელი და იმხანოვი (კომკ. ცეკა).

—:—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს 29 იანვარს, საღ. 6 საათისათვის დანიშნულია ოდონტოლოგიური ინსტიტუტის მშრომელ კომკავშირელ წევრთა და კანდიდატთა კრება.

დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი დღეს, შუადღის 12 საათისათვის იწვევს ყველა ჯგუფების აგიტპროპების თათბირს.

თათბირს უნდა დაესწრონ კომკავშირის აქტივიც.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დედა მარიამი, ძმები: კოლია და ირაკლი, დები: ნინა და ქეთევანი აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა

ვალოდია (ლადო) ილიას-ძე მაისურაძე

გამოსვენება სამშაბათს, 29 იანვარს, დღის 4 საათზე ბინიდან—არაგვისპირელის (ყოფ. თამარის) ქუჩ. № 40.

265

დამწუხრებული მშობლები კატო და მიტროფანე, ბიძა და ბიცოლა ბახვა და მენიკო, ძმები ვანო და ჟორჟი, დაი თამარა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ

ვახტანგ მიტროფანეს-ძე გელეიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 29 იანვარს, 2 საათზე ქ. სამტრედიაში

266

მეუღლე ტასია ქაიხოსროს ასული, შვილები: გიორგი, კოლია, კესარია, ვერა, ეფროსინე, და აგრაფინა, რძლები: ოლღა და ანიკო, შვილიშვილები: ნუნუ, აჩიკო, ოთარი და მერი შანიძეები, სიძეები: ბესარიონ კიწმარიშვილი და ლადიკო მათითაიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 25 იანვარს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსი გაბრიელის-ძე შანიძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, მგალობლიშვილის ქ. № 18, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 29 იანვარს სამშაბათს 4 საათზე

ახალი წიგნი

პოლიტიკური ეკონომია

ფასი 1 მ. 70 კ.
ყდაში 2 მან.

ზაკკნიგა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში და პროვინციაში მსურველთ ეგზავნება ფასნადები ამანათით. დაკვეთა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, კომინტერნის ქ., № 5, „ზაკკნიგა"

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მხატვრული სურათი მეორე ქორწინება
მინიონი	დადგმის მეორე კვირა უძლეველნი
პალასი სოლეი	მსოფლიო ფილმი „გოსვოენკინო"-ს ნაწარმოები კატორღა რეჟისორი—ი. რაიზმანი ოპერატორი—ლ. კოსმატოვი
არფასტო	დადგმის მეორე კვირა გილიანის ასული სლეზინის რომანის მიხედვით „ბრინჯაოს მთვარე"
აპოლო	დადგმის მეორე კვირა ნამდვილი ჯენტლმენი
დარბაზი	ჯანყი მე-2 სერია
კრომ. ტარი ადლაბარი	კარმენ ბონი მხატვრულ სურათში ნამდვილი მამაკაცი

0—21

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64

დღეს
განახლებული სანახაობა
ფართო პროგრამა 3 განყოფილებად
პოპულიარულ ჰიპნოტიზიორის
ორნალდოს გამოსვლა
(მასიური ჰიპნოზი)
29 და 30 იანვარს ეროსის უკანასკნელი გასტროლები
მონაწილეობს მთელი დასი და ყველა გასტროლიორი
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

3—1 ნ. 2187

მე 2
მხატვრული სურათი
პარიზულის კანონები და ქორწინება ნიქლავზე

2189

შინა-მრეწველ ხელოსან. საზოგადოების
სალიკვიდაციო კომისია
ამით აცხადებს საზოგადოების ყოფილი წევრების საყურადღებოთ, რომ, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე ა. წ. 31 იანვარში მოწვეულია
სალიკვიდაციო კონფერენცია
კონფერენციაზე დასწრება სათათბირო ხმით შეუძლიათ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებსაც (პლეხანოვის პრ. № 66 ხელოსანთა კლუბი)
დღის წესრიგი:
1) საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2) შინა მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიის საანგარიშო მოხსენება (მომხსენებელი ამხ. დ. ნასარიძე)
3) თბილისის საბჭოს არჩევნების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ნასარიძე)
4) მიმდინარე საკითხები.
ნ. 2191 2—1 სალიკვიდაციო კომისია

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ, სპეც. ტეხნიკ. და ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
214 6—5

გაზეთ „კომუნისტი"-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ
ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში
თებერვლის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.
იანვრის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება.
0—7 „კომუნისტი"-ს კანტორა

საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის თბილისის რადიო-გადაცემის ცენტრი აცხადებს
შეჯიბრებას ქართული ენის დიქტორზე — (მიკროფონთან წამკითხავზე)
ცნობების მიღება შეიძლება რადიო-გადაცემის ცენტრის კანცელიარიაში—აღმასკომის ქ. № 8, მეორე სართული (ყოფ. სოლოლაკის ქ.) დღის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 5 ნახ. საათიდან 8 საათამდე.
244 2—2

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის უფროსი აღმასრულებელი
კ. დ. ასანიშვილი
აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ა. წ. 4 თებერვალს დღის 12 საათზე ქ. თბილისში სამხედრო ქუჩაზე მდებარე ქარხანა „თემქა"-ს ქონება სახელდობრ: გერმანულ ფორმის დაზგა ლერძისებური ერთი ცალი, პრტყელი ზოლიანი რკინა 2,3|8 500 ფუთი, ფოლადი სხვა და სხვა ზომების რგვალი 317 ფუთი, ბრტყელი ზოლი რკინა 2.1—200 ფ. აკსანტრიული მუხლუხა სულ შეფასება 12.170 მან. თანახმად სრულ. ად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის 1929 წლის 12 იანვრის დადგენილებისა
გაიყიდება
საჯარო ვაჭრობით
ნ. 2190

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის უფროსი აღმასრულებელი
კ. დ. ასანიშვილი
აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს სოციალურ დაზღვევის კომიტეტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ა/წ. 4 თებერვალს დილის 10 საათზე ქ. თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე № 27 სახლში მდებარე საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ ტრესტის № 1 მაღაზიის ქონება, სხვადასხვა საკანცელარიო ნივთების შეფასებული 24.505 მან. თანახ ად სრ. საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის ა/წ. 12 იანვრის დადგენილებისა
გაიყიდება
საჯარო ვაჭრობით
ნ. 2193

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 ნ. 6 25-12

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.
კბილის ექიმი

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს
მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5-90.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან.
109 25|1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად, ტელეფონი 1—90.
ნ. 25—19.

ექიმი
ა. დ კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ი. კ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ი.
25—9

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე ოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23.
25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილა-საღამოს.
ნ. 8 25—

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი
200 25—

დაკარგა. საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირის წიგნაკი № 2832 ვ. რლამ პართეს-ძე გაგნიძის სახელზე, ჩ. გ.
ნ. 218

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 112 მიღებული მე 11 კომისარიატიდან 1928 წ. 24 მარტს თეოფილე გოლიაძეს სახელზე, ჩ. გ.
23

დაკარგა: წიგნაკები: სამხედრო დაზღვევის, კავშირის და სხვა საბუთები ვალ. ქანთარიას სახელზე, ჩ. გ
26

დაკარგა: თბილ. ლომბარდის ქვითარები № 75680 და № 7564
ჩ. გ.
26

მეტრიკული ამონაწერი № 292 სერგო ფაციას სახელზე, ჩ. გ
26

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 39767 იაკობ ასლამაზოვის სახელზე ჩ. გ.
29

დაკარგა: ლომბარდის ქვითარი № 106081—ანასტასია მიტროფანის ასულ ვოლოშინას სახელზე, ჩ. გ.
27

დაკარგა: ლომბარდის ქვითარები №№ 00124, 060940—ქეთია ბიქტორის ასული ხუციშვილის სახელზე, ჩ. გ.
27

პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა, კამოს ქუჩა № 62.
მთავლიტი № 904.